გაზეთი ზღვრის, „ვერსიის" ერთი

# ვერსია

№14 (770) 8 - 10 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

# „მაგნატის“ გაკოტრების თაღლითური სქემის დეტალები




როგორ ჩაიგდო ბიზნესმენის ქონება დავით კეზერაშვილმა და რა კავშირშია ამ სქემასთან „თიბისი ბანკი“, დათა ახალაია, ახალაიას მოადგილის მეუღლე და ვანო მერაბიშვილის ოჯახის წევრი?

გვ. 5

## თბილისელი მეეზოვეები გაფიცვისთვის ემზადებიან

„ცხვარი ცხვარია, მაგრამ ხმა თუ ამოვიღეთ და გავიფიცეთ, ქალაქი ნაგავში ჩაიხრჩობა!“

## რამაზ ფალიანი: „დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის ყურამდე ჯერ არ მიუღწევია, თუ რა უსამართლობა ხდება კრივში!“

ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბიძინა ივანიშვილს სამართლიანობის აღდგენას სთხოვს და ვოვა ახალაიას, ლევან ყიფიანისა და დავით კვაჭაძის მამხილებელ ფაქტებს წერილობით უგზავნის!



გვ. 7

## რატომ იცავს საქართველოს პარლამენტი სააკაშვილს და რას პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს უარს საქართველოს პატრიოტთა ალიანსი



„კახუჩელასა და სტეფანეს ჰქონდათ რამდენიმე კომპანია, რომელთაც სხვადასხვა დირექტორები ჰყავდათ. ყველა ღონისძიებიდან შემოსული ფული სწორედ ამ კომპანიებში მობილიზდებოდა და მათი საშუალებით თეთრდებოდა. ასე იგებდნენ ყველა ტენდერს. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ კილაძის უახლოესი მეგობარი, ლალი კოზმავა დაინიშნა. ისინი დაქალები არიან და კორუფციულ სქემებსაც ერთად ადგენდნენ. მათ გარეშე არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა, ყველაფრის წილში იყვნენ და დიდი ფულიც ტყდებოდა“.

„დიახ, წინასაარჩევნო ღონისძიებებისთვის 40 მილიონი გამოყვეს. წარმოუდგენელია, რაში სჭირდებოდათ ამხელა თანხა მაშინ, როცა დუეტ „ჯორჯიას“, როდესაც მათ კონცერტში 10 000 ლარი მოითხოვეს, უთხრეს, რომ ამხელა თანხას ვერ გადაიხდიდნენ, თუმცა სიტუაცია ისე დაიძაბა, ნეკა სებისკვერაძეც კი ჩაერია, კილაძისთვის „პადდერჟკა“ რომ მიეცა. მეტსაც გეტყვით, როდესაც რატიმ და მაკამ ფესტივალ „ახალ ტალღაში“ გაიმარჯვეს და მოგვიანებით, ისინი ვარსკვლავის გახსნაზე, იურმალაში მიიწვიეს, ლელა კილაძემ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უბრძანა, ფეხის გადგმა არ გაბედოთ, თორემ არ გაგახარებთო“...

გვ. 8

# მერიაში დასაქმებული „ფეშენმომღერლების“ სკანდალური სია და განტევების ვაცადქცეული თეატრალური კვარტეტი

## გია თორთლაძე: ,,ჩემზე ხორციელდება პოლიტიკური დევნა



პარლამენტის ყოფილი წევრი და „საქართველოს დეოკუპაციის ცენტრის“ ხელმძღვანელი გია თორთლაძე ცენტრში საგამოძიებო სამსახური შესვლას მის მიმართ პოლიტიკურ დევნას უკავშირებს და აცხადებს:

**„დასრულდა პროცესი, წაიღეს ყველა დოკუმენტი. მომიტანეს სასამართლო განჩინება, სადაც წერია, რომ სასამართლომ დაადგინა თანხის არამიზნობრივი მითვისება. ამ დროს, ყველა დოკუმენტი ხელზე მაქვს. სამინისტროს მიღება-ჩაბარების აქტიც ხელთ მაქვს, სადაც პირდაპირ წერია, რომ სასამართლოს არანაირი პრეტენზია არ აქვს ჩემს მიმართ და ის თანხა, რომელიც სამინისტრომ არ ჩამითალა, იძულებულები გავხდით, ცენტრის საკუთრებაში მყოფი მანქანა გაგვეყიდა და ის თანხაც შეგვეტანა. არანაირი დავალიანება არსად არავისთან არ მაქვს. თითიდან გამოწოვილია ეს ყველაფერი. ამ ფაქტს პირდაპირ ვუკავშირებ ჩემს მიმართ პოლიტიკურ დევნას. როგორც ჩანს, არ აწყობთ, დეოკუპაციის ცენტრი არსებობდეს საქართველოში. ეს არის ჩემი დისკრედიტაციის მიზნით განხორციელებული ხმაური. ჯერ არ დაუბარებივარ მათ და ალბათ, მალე დამიბარებენ.“**

*„ნიუპოსტი“*

## დავით კეზერაშვილზე საერთაშორისო ძებნა ცხადდება



პროკურატურაში უკვე მზადდება თავდაცვის ყოფილ მინისტრზე საქმის მასალები. უწყება ყველა საჭირო დოკუმენტს გადაუგზავნის, რის შემდეგაც დავით კეზერაშვილზე ინტერპოლით ძებნა გამოცხადდება,

ამ დროისთვის, კეზერაშვილს ბრალი უკვე წაყენებული აქვს, აღმკვეთი ღონისძიების სახით კი, პატიმრობა შეუფარდეს.

დავით კეზერაშვილს საჯარო მოხელის მიერ დიდი ოდენობით ფულის მოთხოვნისა და ქრთამის აღების ბრალდებით ეძებენ:

,,დავით კეზერაშვილს შეფარდებული აქვს დაპატიმრება აღმკვეთი ღონისძიების სახით და ასევე ქვეყნის შიგნით მის მიმართ გამოცხადებულია ძებნა. ვინაიდან მისი ადგილსამყოფელი დაუდგენელია და არ იმყოფება ქვეყანაში, შესაბამისმა საგამოძიებო ორგანომ მოგვმართა თხოვნით, რომ გამოცხადდეს მის მიმართ წითელი ცირკულარით საერთაშორისო ძებნა“, — განაცხადა მთავარი პროკურატურის სამმართველოს უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა ირაკლი ჩილინგარაშვილმა.

***„ნიუპოსტი“***

# მეეზოვეები გაფიცვისთვის ემზადებიან




## „ცხვარი ცხვარია, მაგრამ ხმა თუ ამოვიღეთ და გავიფიცეთ, ქალაქი ნაგავში ჩაიხრჩობა!“

ნელი თორდია

**ქვეყანაში საპროტესტო აქციების ტალღა არ ცხრება. ვინც დროულად გაფიცვა ვერ მოასწრო, „ბუნტის მამებთან“ გადის კონსულტაციებს და უახლოეს ხანებში, შესაძლოა, რკინიგზელების, პატიმრების, მაღაროელების, სტუდენტების, მუნიციპალური ტრანსპორტისა და საქართველო მოქალაქეობის მიღების მსურველი კორეელების შემდეგ, გაფიცული მეეზოვეებიც ვიხილოთ. „ვერსიისთვის“ ცნობილი გახდა, რომ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლებს შორის, მცირე ხელფასისა და სამუშაო პირობების გამო, უკმაყოფილებამ იმატა. იმ პირობით, რომ გაზეთში მის ვინაობას არ გავამხელდით, „ვერსიას“ დასუფთავების სამსახურის თანამშრომელი ესაუბრა.**

— მეხუთე წელია, დასუფთავებაში ვმუშაობ, რადგან ოჯახური პრობლემების გამო, სამსახურების რჩევის საშუალება არ მქონდა. შვილები მყავდა სარჩენი და მისახედი, ამიტომ რაც გამოჩნდა, იმაზე დავსაქმდი. ესეც რომ არ იყოს, მიმაჩნია, რომ არც ერთი სამუშაო სათაკილო არ არის და ხელგაწვდილი ქუჩაში დგომას ყველაფერი სჯობს. რაც შეეხება პრობლემებს, რამაც თქვენამდე მომიყვანა, ჩვენს სამსახურში ანაზღაურება საათობით არის. ხელფასის სიმცირეს თავი რომ დავანებოთ, გადანაწილების პრინციპი სრულიად უსამართლოა. ცენტრალური ტრასის მეეზოვეებს, რომლებიც დღეში 2 საათს მუშაობენ და მე, რომელიც ობიექტების ეზოებს ვალაგებ და დღეში 5 საათს ვმუშაობ, ერთი და იგივე თანხა, 336 ლარი გვეძლევა. იმათ კვირაში 14 სამუშაო საათი გამოსდით, ჩვენ 41 საათზე მეტი და ერთნაირ ხელფასს რატომ უნდა ვღებულობდეთ, ვერ გამიგია.

**— სამსახურის ხელმძღვანელობასთან თუ სცადეთ გაგერკვიათ, რა პრინციპით ხდება ხელფასების გადანაწილება?**

— ამათთან რა უნდა გაარკვიო? ყველა ზემოდან გვიყურებს და წესიერ პასუხს არავინ გვცემს. თუ რამეს ვიტყვით, ვისაც არ მოსწონს, წავიდესო, — გვეუბნებიან. საერთოდ, ადამიანებად არ გვთვლიან, რაა.. ქალი მთელი დღე ქარში, თოვლში, ყინვასა და წვიმაში ქუჩაში ვდგავარ და სამედიცინო დაზღვევა არა მაქვს, რომ გაციების ან ანთების შემთხვევაში, უფასოდ ვიმკურნალო. ბოდიში და, 5 საათი ქუჩაში ძაღლივით გაგდებულები ვართ. ტუალეტი რომ მოგვინდეს, სადღაც უნდა ვეძებოთ და ასეთი პროფესიის ხალხს სამედიცინო დაზღვევა არ უნდა გვქონდეს? ადრე, რაღაც პოლისები გვქონდა და 17 დეკემბერს გაგვიუქმეს, ეტყობა, ჯანმრთელობა აღარ დაგვჭირდება. სამაგიეროდ, მაქვს სამგზავრო ბარათები მუნიციპალური ტრანსპორტისთვის, რომელსაც არ ვხმარობ, მაგრამ ყოველთვიურად ხელფასიდან 50 ლარს მაჭრიან.

**— ბარათს თუ არ იყენებთ, თანხას რისთვის გაჭრიან?**

— არ ვიცი.. მაგათ რომ ჰკითხო, ჩვენთვის მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობა უფასოა, მაგრამ თუ უფასოა, თანხა ხელფასიდან რატომ გვექვითება? თანაც, არ ვსარგებლობ ამ ბარათით. ერთ „მარშუტკას“ მივყვები და მოვყვები. გული, იცით, რაზე მტკივა? თავდაუზოგავად ვშრომობთ და მაინც ყველანაირი ზეწოლა ჩვენზეა. გვამცირებენ და ადამიანებად არ გვთვლიან. ჩვენმა უფროსობამ, აღარ იცის, რამხელა პრემიები გამოიწეროს და ფული სად წაიღოს და ჩვენ პრემიებსა და წახალისებას რომ თავი დავანებოთ, 26 დეკემბრის შემდეგ, ხელფასი არ აგვიღია. 26 დეკემბერს მოგვცეს წინასაახალწლოდ და იმის მერე ველოდებით... იცით, რა? ცხვარი ცხვარია და ერთხელ ხმა თუ ამოვიღეთ და გავიფიცეთ, ქალაქი ნაგავში ჩაიხრჩობა. „ვერის უბნის მელოდიები“ ხომ გინახავთ? ხომ გახსოვთ, რა ქნა მრეცხავების გაფიცვამ? „მარშუტკებისა“ და ავტობუსების გაფიცვა მონაგონი იქნება.. ქალაქს ნაგავი წაიღებს და მერე დააფასებენ ჩვენს შრომას.

***მეეზოვეების გაფიცვას პროგნოზირებს არასამთავრობო ორგანიზაცია იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვის ანტიკორუფციული კავშირის თავმჯდომარეც. გიორგი ბურჯანაძის განმარტებით, დასუფთავების სამსახურში სერიოზული პრობლემებია და მათი მოუგვარებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მეეზოვეების გაფიცვა და ანტისანიტარია მივიღოთ.***

— ქალაქის დასუფთავების სამსახურში დასაქმებულ ადამიანთა შორის უკმაყოფილებამ იმატა. მეეზოვეებთან დადებულია ერთწლიანი ხელშეკრულებები, სადაც არ არის მითითებული სახელფასო ანაზღაურება. ასეთი გაურკვევლობა მეეზოვეებს შორის უკმაყოფილებასა და უსამართლობის გრძნობას იწვევს და სახელფასო ფონდით ლავირების საშუალებას იძლევა. კარგი იქნება, თუ ამ საკითხით სხვა სამსახურები დაინტერესდებიან, მე კი მერიისა და დასუფთავების სამსახურის მესვეურთა საყურადღებოდ, ვიტყვი, რომ ეს სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემაა. თბილისელები დასუფთავების გადასახადებს კეთილსინდისიერად იხდიან და ნაგავში დახრჩობას ნამდვილად არ იმსახურებენ. მერწმუნეთ, ასე მოხდება, თუ დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები გაიფიცებიან. ყველამ ვიცით, რა ხდება ლილოს დასახლებაში, სადაც მოსახლეობა ქუჩაშია გამოსული და გამორიცხული არაა, ეს პრობლემა თბილისელებსაც დაგვიდგეს.

ვითარებაში გარკვევის მიზნით, „ვერსია“ დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელს, თორნიკე შიოლაშვილს დაუკავშირდა, რომელმაც შეხვედრაზე ყოფნა მოიმიზეზა და მოგვიანებით დაკავშირება გვთხოვა, თუმცა მოგვიანებით, ჩვენს სატელეფონო ზარებს აღარ უპასუხა.

## „საქართველოს ბანკზე“ ყაჩაღური თავდასხმის საქმე გახსნილია



თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, „საქართველოს ბანკის“ დაყაჩაღების ფაქტზე, ორგანიზებული ყაჩაღური დაჯგუფების წევრები: 1987 წელს დაბადებული გიორგი მ. და 1987 წელს დაბადებული ირაკლი ბ. ადგილზევე დააკავეს.

2013 წლის 6 თებერვალს, 16 საათსა და 25 წუთზე ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული სამი ნიღბიანი პირი მუხიანში, ნონეშვილის 10-ში მდებარე „საქართველოს ბანკის" სერვისცენტრს თავს დაესხა. დამნაშავეებმა ბანკის ოპერატორებს, იარაღის მუქარით, სალაროდან 5360 ლარი გასტაცეს. მათ პოლიციელებს შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს. ორმხრივი სროლისას არავინ დაშავებულა, დაზიანდა ბანკის წინ მდგარი ავტომანქანა.

***„ჯი-ეიჩ-ენი“***

## გურამ ოდიშარია ძეგლებთან დაკავშირებით აფხაზურ მხარეს დაუკავშირდება



კულტურის მინისტრი გურამ ოდიშარია აცხადებს, რომ აფხაზურ მხარესთან მოგვის, ილორისა და ბედიის ტაძრებთან დაკავშირებით ისაუბრებს. ოდიშარიას თქმით, ევროპელი სპეციალისტები ამ საკითხის მოგვარებაში ჩართულები არიან და ეს ალბათ განსაზღვრავს პრობლემის მოგვარებას. ამავე დროს, აფხაზებს უნდათ, ამ ტაძრებს ძველი სახე დაუბრუნდეს. ოდიშარიას განმარტებით, ისინი ძალიან მძიმე მდგომარეობაშია და აფხაზურ მხარეს საქართველო აუცილებლად შესთავაზებს თანამშრომლობას.

**„ადრე ჩავდიოდი აფხაზეთში და ბევრ საკითხზე მქონდა კონსულტაციები, ამ ტაძრების საკითხიც იდგა, მაგრამ მაშინ საბოლოო შეთანხმება ვერ შედგა იმ პრინციპზე, თუ საიდან უნდა შესულიყვნენ აფხაზეთში უცხოელი ექსპერტები, ასევე ჭირდა ქართველი სპეციალისტების შესვლაც. დღეს დავუკავშირდები აფხაზურ მხარეს, იმედი მაქვს, ილორი, რომელიც ძალიან ცუდად გაკეთდა, ძველ სახეს დაიბრუნებს, ამიტომაა ანქვაბის განცხადებაში ხაზგასმით ილორზე საუბარი“,** — განაცხადა მინისტრმა.

***„ნიუპოსტი“***

# „პარლამენტში მყოფ თანამებრძოლებს ვეკითხები: რა დაგემართათ, ხალხმა მიშასთვის ხელისუფლების გასახანგრძლივებლად აგირჩიათ?!“



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

**გიორგი პაპუაშვილის საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში არ მიიღო დავით თარხან-მოურავის, იოსებ მანჯავიძისა და ირმა ინაშვილის სარჩელი პარლამენტის წინააღმდეგ, რომელიც პრეზიდენტის უფლებამოსილებას ეხებოდა.**
**თუმცა ეს არც არავის გაუკვირდებოდა, გასაკვირი აქ ისაა, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლის ამ გზას მხარი მანამდე პრეზიდენტის წასვლა-გადაყენებაზე ორიენტირებული აწ უკვე საპარლამენტო უმრავლესობამაც არ დაუჭირა. ამ დროს, სააკაშვილის იმპიჩმენტზე, მისი საპრეზიდენტო ვადების კანონიერ ჩარჩოში მოქცევაზე, მის მიერ გაყალბებულ არჩევნებსა და შეცვლილ კონსტიტუციაზე დიდი ხანია, სხვადასხვა პოლიტიკური ძალები ხან ქუჩიდან, ხანაც ოფისებიდან საუბრობენ. თუმცა მას მერე, რაც ამ თემაზე მოსაუბრე პოლიტიკოსები ქართულ ოცნებაში აღმოჩნდნენ, „ოცნება“ კი — პარლამენტში, ეს საუბრებიც შეწყდა. იმას რომ თავი დავანებოთ, მათი მოთხოვნები სწორია თუ არა, მაინც მნიშვნელოვანია, ბრძოლა ბოლომდე ვინ მიიყვანა: მაგალითად, „ლეიბორისტების“ ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა, ასევე, სახალხო კრებამ, 2010 წლის 25 ნოემბერს. ყოველ შემთხვევაში, მაშინ 15 000 დელეგატისა და მათ უკან მდგომი 800 000 მხარდამჭერის სახელით, სახალხო კრებამ საკუთარი თავი, პარლამენტის წინ, ლეგიტიმურ ორგანოდ სცნო, სააკაშვილს კი ნინო ბურჯანაძემ, ეკა ბესელიამ, ზაქარია ქუცნაშვილმა, პარტია „ეროვნულმა ფორუმმა“ და სხვებმა უნდობლობა გამოუცხადეს. ამის შემდეგ, „ფორუმიც“ აგროვებდა „საიმპიჩმენტო ხმებს“, ბოლო დროს კი კოალიცია „ერთსულოვნება“ აქტიურობდა. დღეს „ფორუმისა“ და ქუცნაშვილის პოზიცია შეცვლილია — სააკაშვილო უკვე წასულია და წასვლაზე როგორღა ველაპარაკოთო.**

მიუხედავად იმისა, რომ „ოცნებაში“ შემავალი ლიდერები, ხან ერთად, ხანაც ცალ-ცალკე, სააკაშვილს პოლიტიკურ მოუსავლეთში უშვებდნენ, დღეს, როცა ამის გაკეთებას პარლამენტსგარეთ მყოფი სხვა ძალა ცდილობს, ახალი მმართველი გუნდი, ყბადაღებული კოჰაბიტაციის სახელით, სააკაშვილს ესარჩლება. ეს სხვა ძალა კი, ამ ეტაპზე, წინააღმდეგობის მოძრაობის ბაზაზე დაფუძნებული საქართველოს პატრიოტთა ალიანსია, რომელმაც კანონის გზა არჩია და საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა. სასამართლოს პირველმა კოლეგიამ სარჩელი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადის თაობაზე, არსებით განხილვაშიც არ მიიღო.

საქმეში: „მოქალაქეები ირმა ინაშვილი, დავით თარხან-მოურავი და იოსებ მანჯავიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, დავის საგანს 2006 წლის 27 დეკემბრის კონსტიტუციური კანონი წარმოადგენდა, რომელმაც სააკაშვილს 5-წლიანი მმართველობის ვადა კიდევ რამდენიმე თვით, 2013 წლის ოქტომბრამდე გაუხანგრძლივა. სასამართლომ მოსარჩელეებს უპასუხა, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ეს სადავო ნორმა უკვე არსებობდა და ყველასთვის ნათელი იყო, რომ მორიგი საპრეზიდენტო არჩევნები 2013 წლის ოქტომბერში შედგებოდაო. პაპუაშვილის უწყებამ ისიც განმარტა, შეუძლებელია, რომელიმე კონსტიტუციური მუხლისთვის უპირატესობის მინიჭება და ამის საფუძველზე, კონსტიტუციის სხვა მოქმედი ნორმის ძალადაკარგულად გამოცხადებაო. სხვათა შორის, თავის მხრივ, სასამართლომ მთელი პასუხისმგებლობა პარლამენტს აჰკიდა — მხოლოდ ხალხის მიერ არჩეული საკანონმდებლო ორგანოა უფლებამოსილი, კანონის მიღების გზით, კონსტიტუციის ტექსტში შესწორებები, ცვლილებები და დამატებები შეიტანოსო და არც შემცდარა. მართლაც, სწორედ პარლამენტარების მესამედს, რომელიც „ოცნებას“ ნამდვილად აქვს, შეუძლია,



**რატომ იცავს საქართველოს პარლამენტი სააკაშვილს და რას პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს უარს საქართველოს პატრიოტთა ალიანსი**

იმპიჩმენტის პროცედურის დაწყება, მაგრამ ამის პოლიტიკური ნება არ არსებობს. როგორც მოსარჩელე მხარის ადვოკატი ირმა ჭკადუა ამბობს, საქმე მართლაც პოლიტიკური ნების უქონლობაშია. სხვათა შორის, სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, ეს პირველი ოფიციალური განცხადებაა, რომელსაც მოსარჩელე მხარე აკეთებს.

**ირმა ჭკადუა: „ჩვენ მივიღეთ უარყოფითი პასუხი საკონსტიტუციო სასამართლოსგან, სარჩელის განხილვის თაობაზე. ჩანს, სასამართლომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, იგი მხოლოდ ფორმალურად გაეცნო ჩვენს საკონსტიტუციო სარჩელს, მიხვდა, რომ იგი აბსოლუტურად დასაბუთებული იყო და თუკი სარჩელს განხილვაზე საერთოდ დაუშვებდა, თავად შევიდოდა ჩიხში და ჩვენი სარჩელის დაკმაყოფილება მოუწევდა. ამიტომ კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა, რომ სასამართლო პოლიტიკურ ზეწოლას განიცდის — ჩვენი პოზიციაა, რომ სასამართლო პოლიტიზირებულია და სარჩელის განხილვაზე უარს სამართლებრივი დასაბუთების გარეშე გვეუბნება. მეორე მხრივ, ჩვენი სარჩელი აბსოლუტურად დასაბუთებულია არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის, არამედ საერთაშორისო კანონმდებლობიდან გამომდინარეც. თან, გერმანული მოდელი ყველაზე ახლოსაა ქართულ კანონმდებლობასთან და სწორედ აქედანაა გადმოღებული ჩვენს მიერ მომზადებული ცვლილებაც. ამიტომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება სასაცილოა და მეტი არაფერი, რადგან მასში ერთი არგუმენტიც არ ჩანს სამართლებრივი სფეროდან... შესაბამისად, ისეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით, ამ განცხადების გაკეთება მიწევს — ახალ ხელისუფლებას ნამდვილად არ აქვს პოლიტიკური ნება და რომ ჰქონდეს, ეს საქმე სულ სხვაგვარად გადაწყდებოდა! ჩვენ ვცდილობთ, ვენეციის კომისიასთან შეხვედრას, მათ ჩვენი სარჩელი ყველაფრის მიუხედავად მაინც გადავუგზავნეთ და სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შესახებაც ვაცნობებთ! სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ჩვენი სარჩელის დასაბუთების ყველაზე დიდი არგუმენტია!“**

პოლიტიკურ განცხადებას აკეთებს მოსარჩელე და საქართველოს პატრიოტთა ალიანსის ლიდერი **სოსო მანჯავიძეც** და ღიად აცხადებს: **„ოცნების“ მხრიდან იმის თქმა, თითქოს დასავლეთს პრეზიდენტის თანამდებობიდან სააკაშვილის გაშვებას ვერ ავუხსნით, სრული აბსურდია! ქვეყანაში გამეფებული ამ უკანონობის აღმოფხვრით, ხელისუფლებაც უნდა იყოს დაინტერესებული. ამიტომ პარლამენტში მყოფ თანამებრძოლებს ვეკითხები: რა დაგემართათ, ხალხმა მიშასთვის ხელისუფლების გასახანგრძლივებლად აგირჩიათ?! პასუხი მარტივია — არ იქნება იმპიჩმენტი, არ შევა ცვლილება კანონში და სააკაშვილი მივა ოქტომბრამდე!“**

ეს პასუხი და რეალობა ერთდროულადაა, რადგან პარლამენტის თავმჯდომარიდან დაწყებული, ყველა რიგითი „ოცნებელით“ დასრულებული, პოზიცია უცვლელია — კოჰაბიტაცია კანონზე მაღლა დგას! ყოველ შემთხვევაში, გუბაზ სანიკიძე და ზაქარია ქუცნაშვილი, რომლებიც ნამდვილად იდგნენ 25 ნოემბერს სახალხო კრების ლიდერშიპში და მაღლა აწეული ხელებით, სააკაშვილს უნდობლობას უცხადებენ, დღეს კომენტარებს ჯიბეში ხელებჩაწყობილნი აკეთებენ. განსხვავებული, ამ შემთხვევაში, **ეკა ბესელიას** პოზიცია აღმოჩნდა, რომელსაც „ვერსია“ საგანგებოდ დაუკავშირდა და ერთი კითხვა დაუსვა — გადახედეთ თუ არა საკუთარ პოზიციას პარლამენტში შესვლის შემდეგ და თუ არა, მაშინ რატომ არ უჭერთ მხარს სააკაშვილის იმპიჩმენტის პროცედურის, მინიმუმ, დაწყებას მაინც: **„ვინ თქვა, რომ არ ვარ მომხრე სააკაშვილის იმპიჩმენტის? რა თქმა უნდა, მომხრე ვარ. მე ახლა საკუთარ პოზიციაზე ვსაუბრობ და ამ პოზიციას უმრავლესობის სხვა წარმომადგენელთა პოზიციაში ნუ ავურევთ. სხვის განცხადებებზე არაფერი მკითხოთ, რაკი მე მეკითხებით პერსონალურად, მაშინ გპასუხობთ: რასაც ადრე ვამბობდი, დღესაც იგივე პოზიცია მაქვს — ჩემი პირადი პოზიციაა, რომ ვუჭერ მხარს სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნას და დღესაც მხარს ვუჭერ სააკაშვილის იმპიჩმენტს! აქ საქმე ისაა, რომ შესაცვლელია პროცედურები, რადგან ახლა, სააკაშვილის მიერ ისეთი მექანიზმია მიღებული, რომ ამ მექანიზმით, მას, პრაქტიკულად, გარანტირებული აქვს ამ პროცედურის წარუმატებლად დასრულება. რაც შეეხება ცვლილებას კანონში, ამას კონსტიტუციური უმრავლესობა სჭირდება, რომელსაც მარტო ჩვენ ვერ მივიღებთ და უმცირესობის მხარდაჭერაც გვჭირდება!“**

აი, თავად უმრავლესობას რაც შეეხება, მართალია, შეეცადნენ, პრეზიდენტი პარლამენტიდან „განედევნათ“, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არცთუ კარგად გამოუვიდათ. მას მერე, რაც ივანიშვილის უმრავლესობამ ნაციონალურ მოძრაობასთან ვაჭრობა დაიწყო, პრეზიდენტის უფლებამოსილების შემკვეცი საკონსტიტუციო ცვლილება გაგვატანინეთ, თორემ სააკაშვილს პარლამენტში ყოველწლიური საანგარიშო მოხსენებით გამოსვლის უფლებას არ მივცემთო, მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციამ განაცხადა: **„იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით, უმრავლესობამ უარი განაცხადა პარლამენტში პრეზიდენტის კონსტიტუციით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიშის მოსმენაზე, პრეზიდენტი, ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმართავს საზოგადოებას იმავე სიტყვით, რომლითაც ის საკანონმდებლო ორგანოდან უნდა წარმდგარიყო!“**

## გრიგოლ ვაშაძე: „რუსეთთან დიალოგის დაწყებამდე, ყველა დიპლომატმა კიდევ ერთხელ ნახოს ჩვენი გაყინული ბავშვები ჭუბერზე“



**„მას შემდეგ, რაც საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა მუშტი აღმართა და შეგვატყობინა, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო, თუ რამე ვისწავლეთ რუსეთთან ურთიერთობაში, ეს არის ის, რომ ამ ქვეყანასთან არავითარ შემთხვევაში, ძალიან მკაცრად განსაზღვრული წესებისა და მედიაციის გარეშე საუბარი არ შეიძლება“,** — განაცხადა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ.

მისივე თქმით, საქართველოში არ ყოფილა მმართველი, ხელისუფალი, საგარეო საქმეთა მინისტრი, პრემიერ-მინისტრი თუ პრეზიდენტი, რომელსაც რუსეთთან დიალოგი არ უცდია და ეს დიალოგი რით დამთავრდა, ყველამ იცის.

**„ამ ქვეყანასთან არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ძალიან მკაცრად განსაზღვრული წესებისა და მედიაციის გარეშე საუბარი იმიტომ, რომ პროპაგანდისტულად ჩვენ მათ ვერასოდეს მოვუგებთ და ყოველთვის უნდა იყოს დამკვირვებელი, რომელიც გამოიტანს სიმართლეს, თუ ვინ, რა თქვა, ვინ რა გააკეთა და ვინ რა განზრახვით შემოვიდა ამ დიალოგში“,** — აცხადებს ვაშაძე და აღნიშნავს, რომ ნურავის ჰგონია, რომ რამე შეიცვალა და ახლა საქართველოს სხვა რუსეთთან აქვს საქმე.

**„ჩვენ ისევ იმ რუსეთზე ვლაპარაკობთ, რომელმაც 15 ათასი კაცი მოკლა მარტო აფხაზეთის ომის დროს და რომელთანაც დიალოგის დაწყების წინ, კარგია, რომ ყველა დიპლომატმა კიდევ ერთხელ ნახოს ჩვენი გაყინული ბავშვები ჭუბერზე. ჩვენ ისევ ამ რუსეთზე ლაპარაკობთ, არაფერი შეცვლილა გარდა, მაპატიეთ, იმ მთავარსარდლებისა, რომლებიც 2008 წელს უკანალში დაიჭრნენ და შემდეგ, რუსეთის არმიიდან გააძევეს, დანარჩენი, ყველა თავის ადგილზეა. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა მივუდგეთ ამ თემებს“,** — განაცხდა საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

## ვერსიანიუსი

## ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონში ცვლილება შედის



საქართველოს მთავრობამ ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ახალი კანონპროექტი დაამტკიცა. როგორც რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა, პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, მომზადებული კანონპროექტით კანონის მოქმედ რედაქციაში ზოგიერთი პოზიციის გადახედვაა გათვალისწინებული:

**„მთავრობამ დაამტკიცა კანონპროექტი, რომელიც განსახილველად პარლამენტს გადაეგზავნება და ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას ეხება. კერძოდ, თუ ადამიანზე, რომელიც დაარღვევს ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესს, თავიდანვე ვრცელდება სისხლის სამართლებრივი დევნა, ჩვენს მიერ მომზადებული კანონპროექტით, შემოგვაქვს ნორმა, რომლითაც თავდაპირველად, პირის დასჯა ადმინისტრაციული წესით მოხდება. დანაშაულისთვის გათვალისწინებული იქნება ჯარიმა და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, თუკი ოკუპირებულ ტერიტორიაზე შესვლის წესს მეორედ დაარღვევს“.**

მისივე შეფასებით, პირის პირველივე დანაშაულის შემთხვევაში, სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა არ მიაჩნია სწორად, რადგან ქართულ ციხეებში ამის გამო სხვადასხვა ქვეყნის არაერთი მოქალაქე ხვდებოდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## ირაკლი ოქრუაშვილი მიხეილ სააკაშვილისგან საჯარო ბოდიშს ითხოვს



ამის შესახებ ოქრუაშვილმა სასამართლო პროცესის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა, სადაც პროკურატურამ ბოლო ბრალიც მოუხსნა.

თავდაცვის ყოფილი მინისტრის განცხადებით, მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება შეთითხნილი იყო და ერთ დღეში გაბათილდა, რის გამოც სააკაშვილმა ბოდიში უნდა მოიხადოს:

**„უახლოეს მომავალში, სააკაშვილისგან საჯარო ბოდიშის მოხდას ვითხოვ, ყველა იმ პერიპეტიებზე, რაც ჩემთან დაკავშირებით ხდებოდა გასული წლების განმავლობაში. მარტივად გამოჩნდა, რომ ყველა ბრალდება იყო შეთითხნილი, დამყარებული იყო ცარიელ ქაღალდებზე. შესაბამისად, მთელი ამ 5 წლის განმავლობაში, ჩემს მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება, რომელზეც ფილმები იყო გადაღებული, ერთ დღეში გაბათილდა. ასე, რომ სააკაშვილისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას ველოდები“.**

სასამართლო პროცესის განსახილველ საქმეზე თავდაცვის ყოფილ მინისტრს ბრალი სახელმწიფოსთვის ფუჭი ვაზნების შეძენაში ედებოდა.

ოქრუაშვილი საქართველოში 2012 წლის ნოემბერში ოთხი ბრალდებით დაბრუნდა. პროკურატურამ ოთხივე მათგანზე ბრალდება მოხსნა.

*„ინტერპრესნიუსი“*

## გურამ დონაძეს ბრალი ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით წაუყენეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ყოფილ ხელმძღვანელ გურამ დონაძეს ბრალი ოფიციალურად სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით წარუდგინეს, — ამის შესახებ პროკურატურასთან ჟურნალისტებს დონაძის ადვოკატმა, კახა შონიამ განუცხადა.

აღნიშნული მუხლი სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს. როგორც შონიამ განმარტა, გურამ დონაძისთვის ბრალის წარდგინება ბუტა რობაქიძის საქმესთან დაკავშირებით მოხდა. ადვოკატის ინფორმაციით, საქმის მასალებს ჯერ არ იცნობს მისი მოცულობიდან გამომდინარე, თუმცა შონია აცხადებს, რომ წინასწარი ინფორმაციით, დონაძე დადანაშაულებულია ოპერატორისთვის მითითების მიცემაში, რომ მას შემთხვევის ადგილზე ჩადებული იარაღი გადაეღო.

ამასთან, კახა შონიას განცხადებით, გურამ დონაძე არ აპირებს, რომ მართლმსაჯულებას დაემალოს და საქართველოში დაბრუნდება ჩვენების მისაცემად. ადვოკატი არ საუბრობს იმაზე, რომელ ქვეყანაში იმყოფება გურამ დონაძე. ამასთან, განმარტა, ბრალის წარდგინების შემდეგ, სავარაუდოდ, ხვალ გურამ დონაძეს აღკვეთის ღონისძიებას თბილისის საქალაქო სასამართლოში შეუფარდებენ. ადვოკატი ვარაუდობს, რომ პროკურატურა დონაძესთან მიმართებაში აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შეფარდებას მოითხოვს.

**„ველოდებით, რომ აღკვეთის ღონისძიებად პროკურატურა პატიმრობას მოითხოვს, თუმცა ჩვენ დავაყენებთ შუამდგომლობას, აღკვეთის ღონისძიების შეფარდება საერთოდ არ მოხდეს“,** — განაცხადა კახა შონიამ.

მისი ინფორმაციით, დონაძისთვის წარდგენილი ბრალი, სისხლის სამართლის 332 მუხლის მესამე ნაწილი 5-დან 8 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. გურამ დონაძე საქართველოში არ იმყოფება.

*„ჯი-ეიჩ-ენი“*

ნელი თორდია

**საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ექსხელისუფლების მიერ გატარებული სისტემური რეფორმების შედეგად, ორი უნივერსიტეტის (ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი) გაერთიანების ბაზაზე შექმნილი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო ცენტრებისა და კვლევითი ინსტიტუტების მსხვილ კონგლომერატად ჩამოყალიბდა.**

# ჩამოართმევენ თუ არა მიერთებულ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს ილიას უნივერსიტეტს



გიგი თევზაძე გია დვალის კომისიის გადაწყვეტილებას ელოდება

2006 წლიდან გიგი თევზაძის დაქვემდებარებაში გადავიდა მეცნიერებათა აკადემიის ყოფილი ინსტიტუტები: პოლიტოლოგიის, ფილოსოფიის, დემოგრაფიისა და სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, ბოტანიკისა და ზოოლოგიის, სპორტის აკადემია, გურამიშვილის სახელობის პედაგოგიური კოლეჯი, გოგებაშვილის პედაგოგიური კვლევითი ინსტიტუტი, აბასთუმნის ობსერვატორია, სეისმოლოგიური მონიტორინგის ცენტრი და ზოოლოგიის ინსტიტუტი და ა.შ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში ჩატარებული „წმენდის“, ათასობით თანამშრომლის „ჩარეცხვისა“ და შენობების გაყიდვის შემდეგ „გადარჩენილებს“ ადმინისტრაციის იმდროინდელი ხელმძღვანელი და დღევანდელი საპარლამენტო უმცირესობის წევრი სერგო რატიანი საგრანტო დაფინანსებაზე გადასვლასა და სამსახურების შენარჩუნებას ჰპირდებოდა, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა და ინსტიტუტები ერთმანეთის მიყოლებით დაიხურა.

გოგებაშვილის სასწავლო ცენტრის ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორი მარიკა ჭუჭულაშვილი ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მათი სასწავლებლის მიზანმიმართულ ნგრევაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ იმ ხალხს, რომელმაც ათობით ინსტიტუტი დახურა და ათასობით მეცნიერ-თანამშრომელი ქუჩაში გამოყარა, პარლამენტის ტრიბუნიდან უმცირესობის წევრის, ირმა ნადირაშვილის დის სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით გამოშვებაზე საუბრის უფლება არა აქვს.

**„ჩვენი ინსტიტუტი სკოლამდელი აღზრდისა და დაწყებითი განათლების პედაგოგებს ამზადებდა, მაგრამ 2007-08 წლებში, რაც გიგი თევზაძის ილიას უნივერსიტეტთან შეგვაერთეს, სასწავლებლის მიზანმიმართული განადგურება დაიწყო. ჯერ თანამშრომლები გამოგვყარეს, შემდეგ სასწავლებელი გააუქმეს და ბოლოს, შენობის გაყიდვაზეც ალაპარაკდნენ. მოგეხსენებათ, დღეს სკოლამდელი აღზრდის სისტემას „ნაციონალების“ ყაჩაღი ბაგა-ბაღის დირექტორები მართავენ. იმის ნაცვლად, რომ მუშაობისა და პროფესიონალი კადრების აღზრდის საშუალება მოეცათ, გვხურავენ და ქუჩაში გვყრიან. ნადირაშვილის დის სამსახურიდან გამოშვებაზე რომ ლაპარაკობენ, ის რატომ არ ახსოვთ, რომ ათასობით ადამიანი ქუჩაში გამოყარეს და ულუკმაპუროდ დატოვეს? ეს ხალხი ვინმეს პოლიტიკურ დევნაზე როგორ ლაპარაკობს?“**

სხვა უწყებებსა და ოფიციალურ პირებთან ერთად, სასწავლებლის თავის ფუნქციებში აღდგენის მოთხოვნით, ქალბატონმა მარიკამ ილიაუნის ადმინისტრაციის ახალ უფროსს დავით აფრასიძესაც მიაკითხა, სადაც გაიგო, რომ მათი სასწავლო ცენტრი გაუქმებულია და მისი აღდგენა უახლოეს მომავალში არ იგეგმება.

**„აფრასიძესთან, დაახლოებით, ორი კვირის წინ მივედი და იქ აღმოვაჩინე, რომ უკვე ქაღალდზეც აღარ ვარსებობთ. ფიქტიურად ხართ დარჩენილი ხელოვნების ფაკულტეტზეო, მახარეს და იმდენად ავღელდი, ილიას უნივერსიტეტიდან გამოყოფის საკითხი დავაყენე. აფრასიძეს არც ეს გაკვირვებია. ჩვენ თვითონ მივმართეთ განათლების სამინისტროს, ვინც შემოგვიერთეს, ყველა უკან წაიყვანონო. გული იმაზე მწყდება, რომ დოქტურანტურაში საკმაოდ მაღალი ქულებით ჩავაბარე. უკვე ბოლო კურსზე ვარ და ჩემი საყვარელი საქმის კეთების საშუალება მომესპო. გავიგე, ჩვენი ინსტიტუტის შენობაში დევნილები შესულან, როცა ილიას უნივერსიტეტს მასთან შეერთებული ინსტიტუტების გაუქმების შემდეგ უამრავი გამოთავისუფლებული შენობა დარჩა. ნაწილი უკვე გაყიდულია და ნაწილი გასაყიდადაა გამზადებული. თევზაძისა და მისი მატყუარა ხელქვეითების დაპირებები დაპირებებად დარჩა, მაგრამ, იმედია, ახალი ხელისუფლება არ დაუშვებს ჩვენი ინსტიტუტის საბოლოოდ განადგურებას“.**

რამდენად რეალურია ილიაუნის ქუდის ქვეშ მოქცეული გაუქმებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების აღდგენა და უკან მეცნიერებათა აკადემიისა და განათლების სამინისტროში დაბრუნება, ამის გარკვევა „ვერსიამ“ ჯერ ილიას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსთან და შემდეგ განათლების სამინისტროში სცადა.

დავით აფრასიძემ განგვიმარტა, **„გოგებაშვილის სასწავლო ცენტრის აღდგენის მხრივ, ჯერჯერობით, არაფერს ვგეგმავთ. რაც შეეხება, შემოერთებული ინსტიტუტების უკან დაბრუნებას, ამასთან დაკავშირებით, ვერაფერს გეტყვით. მხოლოდ ის ვიცი, რომ განათლების სისტემაში არსებობს ე.წ. დვალის კომისია, რომელიც ამაზე მსჯელობს. როგორც ვიცი, განიხილება ბევრი მოდელი, როგორ უნდა იყოს დაკავშირებული ერთმანეთთან უმაღლესი სასწავლებლები და კვლევითი ინსტიტუტები. იმის დაკონკრეტება, რომელ სასწავლებელს შეეხება, არ შემიძლია. უბრალოდ ვიცი, რომ აკადემიის ინსტიტუტებსა და შემოერთებულ ინსტიტუტებთან დაკავშირებით, გარკვეული მოსაზრებები არსებობს. ესაა და ეს“.**

მიუხედავად იმისა, რომ „ვერსიასთან“ საუბარში შემოერთებული ინსტიტუტების აკადემიის სტრუქტურაში დაბრუნებას სრულიად გამორიცხავს, არსებობს ვარაუდი, რომ გიგი თევზაძისთვის (მას შემდეგ, რაც გასაყიდი გაიყიდა) შემოერთებული ინსტიტუტები ზედმეტი ფულის ხარჯვისა და „თავისტკივილის" გარდა, არაფრის მომტანი აღარაა. „ვერსია“ განათლებისა და მეცნიერების რეფორმების სახელმწიფო კომისიის ხელმძღვანელის პოზიციითაც დაინტერესდა. იმედია, გია დვალი საქართველოში დაბრუნებისთანავე ამ საკითხს ნათელს მოჰფენს.




## საქართველოს ახალი პრემიერ-მინისტრი ამბობს, რომ სააკაშვილის ეპოქა დასრულდა

REUTERS

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ის არ დაესწრება პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ყოველწლიურ გამოსვლას პარლამენტში, გამოხატა რა უდიერი დამოკიდებულება ოპონენტის მიმართ, რომელიც დაამარცხა, როგორც ოპოზიციური კოალიციის ხელმძღვანელმა, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში.

ბიძინა ივანიშვილის უხეში განცხადება, რომ პარასკევს სააკაშვილის გამოსვლას არ მოუსმენს, იმ დაძაბულობას ასახავს, რომელიც არსებობს ახალ პრემიერსა და დიდი ხნის მმართველ პრეზიდენტს შორის, რომელსაც ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის უფლება აღარ აქვს.

„რას იტყვის ახალს? ის სავარაუდოდ კვლავ ტყუილებს გვეტყვის“, — განაცხადა ივანიშვილმა პრესკონფერენციაზე. „სააკაშვილის ეპოქა დასრულდა. ტყუილების ეპოქა დასრულდა საქართველოში“.

იმით, რომ შარშან სააკაშვილმა განაცხადა, რომ მისი პარტია ივანიშვილის კოალიცია „ქა-



რთული ოცნების“ ოპოზიცია ხდება, საქართველოში, 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პირველად, მოხდა ხელისუფლების მშვიდობიანი გადაცემა ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილ პარტიებს შორის.

ეს იქნება სააკაშვილის ბოლო მიმართვა პარლამენტისადმი, მისი ვადის ამოწურვამდე, თუმცა ეს იქნება ასევე მისი პირველი მიმართვა ისეთი პარლამენტისადმი, სადაც მისი მოწინააღმდეგეები დომინირებენ.

სააკაშვილის კრიტიკოსები, რომელიც ამ სამხრეთკავკასიურ რესპუბლიკაში 9 წლის განმავლობაში დომინირებდა, ამბობენ, რომ მან საკუთარ ხელში ზედმეტი ძალაუფლების კონცენტრირება მოახდინა, ლახავდა ადამიანის უფლებებს და ახშობდა განსხვავებულ აზრს.

რეპორტაჟებმა ციხეში წამების ფაქტებზე, ამ 4.5-მილიონიან ქვეყანაში საპროტესტო აქციები გამოიწვია საპარლამენტო არჩევნების წინ, რამაც, საბოლოო ჯამში, ხელი შეუწყო ივანიშვილის გამარჯვებას.

ახალმა ხელისუფლებამ ათობით ყოფილი მაღალჩინოსანი დააპატიმრა, რომლებიც მათი თქმით, მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებების დარღვევასა და სხვა დანაშაულებში ქვეყანაში, რომელიც ევროპაში კასპიის ზღვის ენერგორესურსების მიწოდების არხია.

თანამდებობაზე მოსვლის შემდეგ, ივანიშვილმა, რომელმაც თავისი ქონება რუსეთში დააგროვა, პირობა დადო, რომ მოსკოვთან ურთიერთობების გაუმჯობესებისთვის იმუშავებდა, რომელიც შეწყვეტილი იყო 2008 წლის ომის შემდეგ, როდესაც საქართველოს საბჭოთა ეპოქის პატრონმა მისი ორი სეპარატისტული რეგიონი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა.

ორშაბათს, მოსკოვი დათანხმდა ემბარგოს გაუქმებას ქართულ ღვინოსა და მინერალურ წყალ „ბორჯომზე“, პროდუქტებზე, რომელიც, როგორც ჩანს, მალე რუსულ ბაზარს დაუბრუნდება.



მაია მიშელაძე
ეკონომიკა

# „მაგნატის" გაკოტრების თაღლითური სქემის დეტალები

**ნავთობპროდუქტების კომპანია „მაგნატის" გაკოტრების თაღლითური სქემა, მისმა მფლობელმა ჯემალ ლეონიძემ ჯერ კიდევ ციხეში ყოფნის დროს გაშიფრა და დეტალურად აუწყა კიდეც საქართველოს მთავარ პროკურორს, მურთაზ ზოდელავას, მაგრამ უშედეგოდ. 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ახლად არჩეულმა ხელისუფლებამ უკანონოდ დაპატიმრებული ბიზნესმენი ციხიდან გაათავისუფლა და ჯემალ ლეონიძემ საკუთარი ქონების დაბრუნება გადაწყვიტა. „მაგნატის" გაკოტრების სქემა აქტუალურია, რადგან გასულ კვირაში, თავდაცვის ექსმინისტრი დავით კეზერაშვილი, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, დიდი ოდენობით ქრთამის აღების გამო, ბრალდებულად უკვე სცნო. „ვერსიაში" უკვე ვწერდით, რომ სამიოდე წლის წინ, ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძეს, მისი კუთვნილი კომპანია „ელიტ ელექტრონიქსი", „თიბისი ბანკმა" ჯერ წაართვა, შემდეგ გაუკოტრა და ბოლოს, დავით კეზერაშვილს მიყიდა! სამწუხაროდ, „მაგნატის" გაკოტრების სქემაშიც, „თიბისი ბანკი" მონაწილეობს. ბიზნესმენი ჯემალ ლეონიძე დაუფარავად აცხადებს, რომ მისი კუთვნილი კომპანია „მაგნატი", „თიბისი ბანკმა" ხელისუფლების დაკვეთით, მიზანმიმართულად ჩაიგდო ხელში, გააკოტრა და მესამედ ფასად მიყიდა იმავე ხელისუფლების მაღალჩინოსანს, დავით კეზერაშვილს. ამ საქმეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი ბექა გუგეშაშვილი და შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის გამომძიებელი თემურ ტაბატაძე იძიებენ. ჯემალ ლეონიძეს იმედი აქვს, რომ დაკარგულ ქონებას მალე დაიბრუნებს.**




როგორ ჩაიგდო ბიზნესმენის ქონება დავით კეზერაშვილმა და რა კავშირშია ამ სქემასთან „თიბისი ბანკი", დათა ახალაია, ახალაიას მოადგილის მეუღლე და ვანო მერაბიშვილის ოჯახის წევრი?



ნავთობპროდუქტების კომპანია „მაგნატი", ჯემალ ლეონიძემ 2006 წელს დააფუძნა, სადაც წილები შემდეგნაირად გადანაწილდა: ჯემალ ლეონიძე — 75%, თემურ ყარმაზანაშვილი — 15%, გოგი ლოლაძე — 5% და მალხაზ ბაბლიძე — 5%. კომპანიის ძირითადი საქმიანობა ნავთობპროდუქტების შეძენა-რეალიზაცია იყო. ამ მიზნით, „მაგნატს" გააჩნდა 4 ნავთობტერმინალი, 42 ბენზინგასამართი სადგური, რკინიგზის ჩიხი, ორთქლმავალი და სხვადასხვა ტექნიკური საშუალებები. ამავე კომპანიის ბალანსზე ირიცხებოდა არაპროფილური საქმიანობის ობიექტები, მაგალითად რესტორნები — „მწვანე კონცხი", „მაგნატი-გვირილა", „იმერეთი" (რიკოთის უღელტეხილზე) და მეფრინველეობის ფაბრიკა „კოკო".

2008 წლის აგვისტოს ომამდე, „მაგნატის" უძრავ-მოძრავი ქონების ღირებულება დაახლოებით, 70 000 000 აშშ დოლარს შეადგენდა, მაგრამ საომარმა მოქმედებებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, თავისი დაღი დაასვა ამ კომპანიას:

**„2008 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში, „თი ბი სი ბანკის" მესვეურებმა, ბატონებმა ჯაფარიძემ და ბუცხრიკიძემ, კომპანიის შეძენის სურვილი გამოთქვეს. საახლობლო წრიდან მიღებული ინფორმაციების ანალიზით, ეჭვი მეპარებოდა ბანკის კეთილ განზრახვაში. სწორედ ამ მიზნით, ბანკის წარმომადგენლებს ვთხოვე, რომ მოლაპარაკებაში ჩვენს საერთო მეგობრებს, ბატონებს — ზაალ სამხარაძესა და კახა მახათაძესაც მიეღოთ. ჩვენს შორის მოლაპარაკება ვერ შედგა, რადგან ბანკის პირობები კაბალური იყო და ჩემი კომპანიის საბოლოოდ ხელში ჩაგდებას ისახავდა მიზნად. 2009 წლის 27 მარტს, ბანკისა და კომპანიის აუდიტების ერთობლივი შეფასებებით, შედგა მემორანდუმი, რომლითაც „მაგნატის" ქონება (მხოლოდ ავტოგასამართი სადგურები), 29 715 000 აშშ დოლარად შეფასდა. აქედან 42 ბენზინგასამართი სადგურის ღირებულება 21 435 000 აშშ დოლარად, ხოლო 22 ობიექტიდან წილის ღირებულება კი 8 280 000 აშშ დოლარად შეფასდა. ამ დოკუმენტს ხელი „თი ბი სი ბანკის" გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ მოაწერა. სხვათა შორის, ამ ფასში არ შესულა კომპანიის წილები, აქციები, მეფრინველეობის ფაბრიკა, რესტორნები და მიწის ნაკვეთები",** — გვიამბობს ჯემალ ლეონიძე.

2009 წლის 27 აპრილს, „თი ბი სი ბანკის" აქტიურობით, მასთან არსებული სესხების გამო, ჯემალ ლეონიძე ბანკის წინადადებას იღებს და „მაგნატის" 100%-იანი წილით, სრულიად ახალ კომპანიას — ს/ს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაცია" (შემდგომში ნსკ) აფუძნებს, რომელშიც წილები ასე გადანაწილდა: „თიბისი ბანკი„ — 25%, ზაალ სამხარაძე — 31%, გიორგი კიკნაძე — 10%, ბანკი „რესპუბლიკა" — 10%, კობა ბუჩუკური — 24%. აღსანიშნავია, რომ ჯენტლმენური მოლაპარაკებით, ვალების გასტუმრების შემდეგ, საზოგადოების მთლიანი წილი „მაგნატს" უნდა დაბრუნებოდა. ახალი საზოგადოების ერთპიროვნულ ხელმძღვანელად, ვახტანგ ბუცხრიკიძის ინიციატივით, გიორგი ასლანიკაშვილი ინიშნება, რომელიც „თიბისი ბანკის" 25%-იან წილსაც განაგებდა:

„გიორგი ასლანიკაშვილს „თიბისი ბანკთან" არავითარი კავშირი არ გააჩნდა, ის ბანკის ცრუმაგიერი პირი იყო. მიმაჩნია, რომ ასეთი ქმედებით, „თი ბი სი ბანკმა" მის პარტნიორებს (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს — „იბიარდი"), დაუმალა 25%-იანი წილის არსებობა ნსკ-ში. ბანკის მესვეურები — ბუცხრიკიძე და ჯაფარიძე, თაღლითური გზით დაუფლებულ ჩემს ქონებას ანუ 25%-ს ნსკ-ში, გიორგი ასლანიკაშვილის სახელით მართავდნენ. როგორც გითხარით, ახალი კომპანიის დაფუძნებისა და წილების გადანაწილების შემდეგ, ჩვენს შორის, ჯენტლმენური გარიგება შედგა, რომლის საფუძველზე, ახალი კომპანიის მმართველი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ჩემი დაკავების გამო, ეს ჯენტლმენური გარიგება წერილობით ვერ გაფორმდა".

ჯემალ ლეონიძე იმასაც გვიამბობს, რომ ნსკ, რომელსაც დიდი პოტენციალი გააჩნდა, მოგებაზე ემუშავა, მოკლე დროში, „თი ბი სი ბანკმა" წამგებიან კომპანიად აქცია. ხელისუფლების პირდაპირი მითითება იყო, ბანკს კომპანია ჯერ გაეკოტრებინა, შემდეგ იაფად გადაებარებინა დაინტერესებული პირებისთვის:

**„ნსკ-ს დაფუძნებისთანავე, „მაგნატის" ქონება მთლიანად ახალ კომპანიაზე გადააფორმეს. გადაფორმება განხორციელდა ნასყიდობის ხელშეკრულებების სახით, ოღონდ ყოველ ობიექტზე, ეს ხელშეკრულება ინდივიდუალურად ფორმდებოდა. ნასყიდობებში დასახელებული ფასები წინასწარ იყო შეთანხმებული ჩვენს შორის და მემორანდუმის ფასებს არ შეესაბამებოდა. ვაცხადებ, ნასყიდობებში დასახელებული თანხიდან, „მაგნატის" ანგარიშზე არცერთი თეთრი არ შესულა. 2009 წლის 13 აგვისტოს, თაღლითობის ბრალდებით დამაპატიმრეს. თურმე, 4 მიწის ნაკვეთის დოკუმენტაცია გავაყალბე, მიხუდავად იმისა, რომ ბრალდება შეთითხნილი იყო, ვაღიარე, რადგან ბრალდების მხარე, მცირეოდენი თანხის გადახდის შემთხვევაში, საპროცესო შეთანხმების გაფორმებას მპირდებოდა. რამდენიმე დღეში, ბრალდებამ დაარღვია დანაპირები და 2 000 000 ლარის ოდენობის ჯარიმის გადახდა მოითხოვა. მოგვიანებით, ჯარიმის თანხა 1 000 000 ლარამდე შეამცირა, მაგრამ ეს თანხაც ჩემთვის ასტრონომიული იყო. ბრალდებას 400 000 ლარის გადახდა შევთავაზე, საიდანაც 200 000 ლარის საფასური, უძრავი ქონებით ანუ მიწის ნაკვეთებით უნდა დამეფარა. „თი ბი სი ბანკის" მიზეზით, პროკურატურასთან მიღწეული შეთანხმება ვერ შედგა".**

2010 წლის 13 ნოემბერს, პატიმრობაში მყოფ ბიზნესმენს, საკუთარი პარტნიორები — ზაალ სამხარაძე, გია კიკნაძე, თემურ ყარმაზანაშვილი და გოგი ლოლაძე ატყობინებენ, რომ „თიბისი ბანკი" კობა ბუჩუკურის სახელზე რეგისტრირებული 24%-იანი წილიდან, 19%-ის გადაცემას ითხოვდა. დაკავებულ ბიზნესმენს „თიბისი ბანკის" წარმომადგენელმა ულტიმატუმი წაუყენა, წილს თუ არ დათმობდა, ნსკ-ს გააუქმებდნენ და მის მიერ დაგირავებულ ქონებას, აუქციონის წესით შეიძენდნენ. ჯემალ ლეონიძემ ჩათვალა, რომ ეს „თიბისი ბანკის" შანტაჟი იყო მის წინააღმდეგ და ულტიმატუმის პირობებს არ დაეთანხმა:

**„ჩემი პარტნიორები ბანკს უკვე დაშანტაჟებული ჰყავდა, მაგრამ ულტიმატუმის პირობები მაინც არ მივიღე, რადგან აუქციონს თავისი წესები აქვს. რაც მთავარია, ის ქონება, რომლის გაყიდვითაც მემუქრებოდნენ, სამჯერ უფრო მეტი ღირდა, ვიდრე გირაოთი იყო ჩადებული და არ მეგონა, რომ „თიბისი ბანკი" ასეთ ღია რეკეტზე წავიდოდა. 2010 წლის 9 დეკემბერს, „თიბისი ბანკის" ინიციატივით, „მაგნატის" ყოფილ ოფისში, დილის 10.00 საათზე, ნსკ-ს აქციონერთა კრება ჩაატარეს. დღის წესრიგი წილების გადანაწილება იყო, კრება 20.00 საათზე, „თიბისი ბანკის" ოფისში გაგრძელდა, სადაც კობა ბუჩუკური დაითანხმეს და 24%-იანი წილიდან, 19% ბანკის ცრუმაგიერ პირზე, გიორგი ასლანიკაშვილზე გადააფორმეს. შედეგად, „თი ბი სი ბანკმა" მუქარითა და შანტაჟით, „მაგნატის" ქონების 44% მიითვისა. მოგვიანებით, 2011 წლის 25 თებერვალს, შპს „სან ოილ ჯორჯიას" („გალფი") დირექტორს, ადამ იანივსა და ს/ს ნსკ-ს დირექტორს, გიორგი ასლანიკაშვილს შორის, შედგა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ნსკ-მ, მისი კუთვნილი ქონება „გალფს" 13 635 000 აშშ დოლარად მიყიდა. მხარეებს შორის მოლაპარაკებას და მათ შორის ხელშეკრულების გაფორმებას, „თიბისი ბანკის" გენერალური დირექტორი ვახტანგ ბუცხრიკიძეც ესწრებოდა".**

ჯემალ ლეონიძე აცხადებს, რომ ამ თაღლითური სქემის შედეგად, „მაგნატის" 43 ავტოგასამართ სადგურსა და 4 ნავთობტერმინალს, ნავთობპროდუქტების ბაზარზე ახლად გამოჩენილი კომპანია „გალფი" ეუფლება, რომელსაც ხელისუფლების უმთავრესი ხაზინადარი, თავდაცვის ექსმინისტრი დავით კეზერაშვილი ხელმძღვანელობდა; ჯემალ ლეონიძის საკუთრებაში არსებული მცხეთის სახლს (ეს სახლი 1 500 000 აშშ დოლარად იყო შეფასებული) ხელში იგდებს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ-ი) უფროსის, დათა ახალაიას ერთ-ერთი მოადგილის მეუღლე, ნათია ჩაჩუა; ჯემალ ლეონიძის საკუთრებაში არსებული ავტომანქანა „ტოიოტა 200"-ს (შეფასებული იყო 65 000 აშშ დოლარად) დათა ახალია ეუფლება; რესტორან „გვირილას" (ეს რესტორანი 1 256 000 აშშ დოლარად იყო შეფასებული) ფაქტობრივი მფლობელი კი ვანო მერაბიშვილის ოჯახის წევრი, თამარ მერაბიშვილია. მართალია, თაღლითური სქემის ცენტრალური ღერძი „თიბისი ბანკია", მაგრამ ამ სქემაში „ბანკი რესპუბლიკაც" მონაწილეობდა. იმის გამო, რომ „ბანკი რესპუბლიკა", „მაგნატის" ბაზაზე შექმნილ ახალ კომპანია ნსკ-ში 10%-იან წილს ფლობდა, მშრალზე არ დაუტოვებიათ. თაღლითური სქემის შედეგად, „ბანკი რესპუბლიკა" დაეუფლა რესტორან „მწვანე კონცხს" (1 200 000 აშშ დოლარი), გარდა ამისა, ნსკ-ში მისი 10%-იანი წილის საბაზრო ღირებულება 1 200 000 აშშ დოლარი იყო და დამატებით 75 600 აშშ დოლარის ღირებულების სარესტორნე ავეჯსა და დანადგარებსაც ფლობდა.

## ვერსიანიუსი

### პარლამენტში უმცირესობის წევრის, ტარიელ ლონდარიძის გამოსვლას დაპირისპირება მოჰყვა



უმრავლესობის წევრების გაღიზიანება ლონდარიძის იმ განცხადებამ გამოიწვია, რომელიც ხელისუფლებისა და, პირადად, ბიძინა ივანიშვილის მხრიდან მასზე ზეწოლას შეეხებოდა.

**„საკონსტიტუციო ცვლილებებს არ ვუჭერ მხარს იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილი პირადად დამემუქრა ტელევიზიიდან. დაემუქრა ჩემს მომავალს, ჩემს შვილებს, ჩემს ცოლს, მე, რომელმაც 14 წლის ასაკში ჩავიცვი ფორმა, 20 წელი გავატარე შეიარაღებული ძალების რიგებში, მოვიარე აფხაზეთი, ვიბრძოდი 2004 წელს, 2008 წელს, დავით საგანელიძე არ უნდა მასწავლიდეს, ჩემს შვილებს ჩავხედავ თვალებში თუ არა. გაფრთხილებთ, პირი გამოირეცხოთ",** — მიმართა ლონდარიძემ უმრავლესობის წევრებს და განმარტა, რომ ზეწოლად მიიჩნევს იმ ფაქტს, პროკურატურას მისი, როგორც თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომლის მიმართ, კითხვები სწორედ მაშინ გაუჩნდა, როცა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვის პროცესში წევრის სტატუსით ჩაერთო:

**„მე ვარ იმ კომისიის წევრი, რომელიც კონსტიტუციურ ცვლილებებს განიხილავდა. როგორც ცნობილია, ვმსახურობდი თავდაცვის სამინისტროში, ყოფილი მინისტრის მიმართ კი კითხვები არსებობს. სწორედ მაშინ, როცა კონსტიტუციური ცვლილებების განხილვა დაიწყო, პროკურატურას კითხვები გაუჩნდა ჩემთანაც. ეს გჭირდებათ იმისთვის, რომ ჩემზე ზეწოლა მოხდეს. თქვენ გჭირდებათ ისეთი ტარიელ ლონდარიძე, პოლკოვნიკი, რომელიც ბიძინა ივანიშვილის თითისქნევით მიაჭერს წითელ თუ მწვანე ღილაკს. არ ვაპირებ, არც სააკაშვილის გამო ვაჭირო ღილაკს თითი და მით უმეტეს, ბიძინა ივანიშვილის გამო".**

ამ განცხადების შემდეგ, პარლამენტის უმრავლესობის წევრებსა და ლონდარიძეს შორის სიტყვიერი დაპირისპირება მოხდა, რომელშიც მალევე უმცირესობის წარმომადგენლებიც ჩაერივნენ. ინციდენტი რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

***„ინტერპრესნიუსი"***

## თინა ხიდაშელი: „მთავარი ზეწოლა არის საკუთარი წარსული“



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, თინა ხიდაშელმა პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, პოლიტიკური დებატების დროს, ოპოზიციონერ გამომსვლელებს მოუწოდა, თავს ნუ აარიდებენ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებას, თუ რატომ არ აძლევენ კონსტიტუციაში ცვლილებებს ხმას:

**„თქვენ პარლამენტის წევრები ხართ და მეტი მოგეთხოვებათ. 14 წუთისა 50 წამის განმავლობაში, შეიძლება ილაპარაკოთ, რაზეც გინდათ და 10 წამი დაიტოვეთ იმისთვის, რომ თქვენი პოზიცია გვითხრათ“.**

მისივე თქმით, 9 წლის წინ, როდესაც კონსტიტუციაში პრეზიდენტის უფლებამოსილებებთან დაკავშირებით, ცვლილებებს იღებდნენ, ამ ფორმას ეწინააღმდეგებოდნენ დღეს უმცირესობაში მყოფები, მათ შორის დავით დარჩიაშვილიც, რომელმაც, ხიდაშელის თქმით, მაშინ თქვა, რომ ეს ცვლილებები **„აღმოსავლური სამეფო კარის სისტემებს ჰგავს. არსებობს დიდი ვეზირის თანამდებობა, სადაც თავისუფლად შეიძლება პარალელების გავლება ვეზირისა და პრემიერ-მინისტრის ინსტიტუტს შორის“.**

**„ეს ჩემი კი არა. დავით დარჩიაშვილის სიტყვებია, რომელიც ადრე „რესპუბლიკელი“ იყო და ახლა თქვენი წევრია. დავით დარჩიაშვილმა ასე ახსნა 2004 წლის 6 თებერვალს ის, რასაც ხმა მიეცით. მარტო დარჩიაშვილი არ იყო მაშინ ამის წინააღმდეგი. ახლა მაინტერესებს, რატომ დააჭერს დღეს ის პულტს სხვანაირად. თქვენ ბევრს ლაპარაკობთ, რომ ჩვენ ზეწოლას ვახორციელებთ ამ საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით. ჩამითვალეთ ზეწოლად, დიახ, მთავარი ზეწოლა არის საკუთარი წარსული, საკუთარი ნათქვამი და ნაკეთები. მთავარი ზეწოლა დარჩიაშვილსა და გაბაშვილზე არის მათივე სიტყვები, 9 წლის წინ ნათქვამი და ამაზე დიდი ზეწოლა არ არსებობს“,** — დასძინა ხიდაშელმა და ოპოზიციას მოუწოდა, ამ დარბაზში მივიდნენ იმ შეთანხმებამდე, რომ ქვეყანაში აღარასოდეს დაუშვან დიქტატურის კონსტიტუციურად განმტკიცება:

**„ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რაც მნიშვნელოვანია ქვეყნის ინტერესებისთვის, ოღონდ ერთი პირობით, არ შეიძლება, დიქტატორული კონსტიტუცია გვქონდეს და რაღაც დემოკრატიასა და წარმატებებზე ვლაპარაკობდეთ“.**

მანვე კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დღეს აქ საუბარი ყველა საკითხზე შეიძლება, „ოღონდ დროსა და სივრცეში არ უნდა დავიკარგოთ“:

**„სოფლის მეურნეობასა და ტექნოლოგიებს, კრედიტებს, თავისი დრო და ადგილი აქვს. მოითხოვეთ დებატები ამაზე და ვისაუბროთ, გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო რამეებს გაიგებთ. მოითხოვეთ მინისტრებთან შეხვედრები, დაინტერესდით, რა ხდება ქვეყანაში და ბევრ საინტერესოს აღმოაჩენთ“.**

***„ინტერპრესნიუსი“***



# რა მიზნით ქმნის ბიძინა ივანიშვილი სუვერენულ, ინოვაციურ და საინვესტიციო ფონდებს?

*„გარკვეული ძალები ეკონომიკური სიტუაციის დრამატიზებას ცდილობენ, როდესაც აცხადებენ, რომ ქვეყანაში თითქოს საბიუჯეტო, ან ეკონომიკური კრიზისია. სინამდვილეში, არავითარი საგანგაშო სიტუაცია არ არის“*



მაია მიშველაძე
ეკონომიკა

**ინვესტიციების მოცულობისა და ზოგადად, ინვესტორების რაოდენობის გაზრდის მიზნით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ქვეყანაში სამი ფონდი იქმნება: სუვერენული ფონდი, რომელიც განახორციელებს სტრატეგიულ პროექტებს (ამ ფონდის მოცულობა სავარაუდოდ, 2 000 000 000 აშშ დოლარი იქნება); ინოვაციური ფონდი, რომელიც ახალგაზრდულ პროექტებს, ახალ და პერსპექტიულ ბიზნესს წაახალისებს (საწყისი კაპიტალი 20 000 000-დან 50 000 000 აშშ დოლარამდე) და კერძო საინვესტიციო ფონდი, რომელიც 75%-მდე თანადაფინანსებას გაუწევს როგორც უცხოელ, ასევე — ადგილობრივ ინვესტორებს (მოცულობა სავარაუდოდ, 2 000 000 000 აშშ დოლარი).**

**სრულიად დამოუკიდებლად იარსებებს სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომელიც ამჟამად შექმნის პროცესშია. მართალია, ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ არჩევნებამდე აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის მოცულობა 1 000 0000 000 აშშ დოლარი იქნება, მაგრამ გამორიცხული არ არის, მილიარდს გადააჭარბოს კიდეც. ამ ეტაპზე, პრემიერ-მინისტრისა და მთავრობის ეკონომიკური გუნდის ძალისხმევით, სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდში უკვე 700 000 000 აშშ დოლარია მობილიზებული, რაც საგაზაფხულო ხვნა-თესვის სამუშაოებს მოხმარდება.**

### საპარტნიორო ფონდიდან — კრეატიულ-ეროვნულამდე

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, ჯერ კიდევ ნოემბერში, სასტუმრო „რედისონში“ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რომ საინვესტიციო-კრეატიულისა და საპარტნიორო-ეროვნული ფონდების შექმნას აპირებდა. ეს მაშინ, როდესაც ქვეყანაში, წინა ხელისუფლების მიერ შექმნილი ორი ფონდი — მთავრობის საპარტნიორო და საინვესტიციო სააგენტო, ისედაც არსებობდა. „ვერსიაში“ უკვე ვწერდით, რომ პრემიერ-მინისტრის ახირებას უსაშველო „ფონდომანიასთან“ დაკავშირებით, შესაძლოა, ინვესტორები დაეფრთხო. სინამდვილეში, ეს ფონდები — საინვესტიციო, ან თუნდაც საპარტნიორო, იმიტომ იქმნება, რომ ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოცულობა გაიზარდოს. თუკი ინვესტორს ეცოდინება, რომ ადგილზე დახვდება ფონდი, რომელიც მისთვის პრიორიტეტულ პროექტში, 75%-იან თანადაფინანსებას გაუწევს, რა თქმა უნდა, სიამოვნებით განახორციელებს ინვესტიციებს. შესაბამისად, ფონდის შექმნის იდეა ცუდი სულაც არ არის, მაგრამ ბევრი ფონდის არსებობა, ნამდვილად არასერიოზულია.

თავდაპირველად, ბიძინა ივანიშვილს ორი — საინვესტიციო და კრეატიული ფონდი შექმნა სურდა, რომლებიც დამოუკიდებლად იმუშავებდნენ. კრეატიულ ფონდს უნდა განესაზღვრა — სად, რომელ დარგში, ან რომელ ადგილზე უფრო საინტერესო იქნებოდა ინვესტირება. ამის მიხედვით, შეიქმნებოდა პროექტები, რომლებსაც კრეატიული ფონდი, საინვესტიციო ფონდს გადაუგზავნიდა. საინვესტიციო ფონდი ინვესტორის კომერციული პარტნიორი იქნებოდა, სადაც დაძალების გარეშე, ყველა მდიდარ ქართველს შეეძლებოდა, საწესდებო კაპიტალში მიეღო მონაწილეობა. თუკი ადგილობრივი, ან უცხოელი ინვესტორი ამა თუ იმ პროექტში ინვესტიციის სახით, მინიმუმ 25%-ს ჩადებდა, საინვესტიციო ფონდი დარჩენილი 75%-ით დაეხმარებოდა.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 2 ივნისის №230-ე დადგენილება, ს/ს „საპარტნიორო ფონდის“ წესდების დამტკიცებასა და კაპიტალის ფორმირებას ეხება. ამ დადგენილების მიხედვით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყო შპს „საქართველოს რკინიგზის“ 34%-იანი წილის ფონდის კაპიტალში ინვესტირება, ხოლო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ — შპს „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ 14%-იანი წილის, ასევე შპს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის“ 49%-იანი წილის, შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ 34%-იანი წილისა და შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ შვილობილი კომპანია — შპს „ქარჩალ ენერჯის“ 99%-იანი წილის საპარტნიორო ფონდის კაპიტალში ინვესტირება.

2012 წლის ივლისის დასაწყისში, საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით დაამტკიცა საკანონმდებლო ცვლილება და ასე შეიქმნა „ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“. წინა ხელისუფლების პირობებში შექმნილ მთავრობის საპარტნიორო ფონდს — ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური, ხოლო ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს — ყოფილი ბიზნეს-ომბუდსმენი, გიორგი პერტაია ხელმძღვანელობდნენ. „ვერსიის“ ინფორმაციით, ამჟამად არცერთი მათგანი ამ ფონდებში აღარ მუშაობს.

### კრეატიულ-ეროვნულიდან — სუვერენულ-ინოვაციურ ფონდებამდე

სამშაბათს, 5 თებერვალს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გამართულ მორიგ პრესკონფერენციაზე, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა დააზუსტა, რომ ქვეყანაში სამი ახალი — სუვერენული, ინოვაციური და კერძო საინვესტიციო ფონდები იქმნება. რა ტიპის პროექტებს განახორციელებს, ან რა მიმართულება ექნება ამ ფონდებს? დეტალებში უკეთ გარკვევის მიზნით, „ვერსია“ უკვე არსებული, ერთადერთი საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელ დირექტორს, **ირაკლი კოვზანაძეს** დაუკავშირდა:

**— ბატონო ირაკლი, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, დიდი ხანია საპარტნიორო და საინვესტიციო ფონდების შექმნაზე საუბრობს, მაგრამ ბოლო პრესკონფერენციაზე უკვე დააკონკრეტა, რომ სამი — სუვერენული, ინოვაციური და საინვესტიციო ფონდები შეიქმნება, კონკრეტულად, რა მიზნებისთვის იქმნება ეს ფონდები?**

— ფონდების შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს, ეს მუშაობა ჯერ არ დასრულებულა. საქართველოს სუვერენულ ფონდს რამდენიმე მიმართულება ექნება, მათგან ერთ-ერთი — სუვერენული აქტივების მართვაა, რომელშიც არ გამოვრიცხავ, რომ საპარტნიორო ფონდის უკვე არსებული, ან სხვა აქტივებიც იყოს თავმოყრილი, მაგრამ ამ დეტალების დაკონკრეტება ახლა ნაადრევია. ფონდის მიზანია, ამ აქტივების მართვა, მენეჯმენტი, მათი ღირებულებების ზრდა, მეორე მიმართულებაა ახალ პროექტებში ინვესტირება, რაც უკვე საინვესტიციო მიმართულებაა და ვფიქრობ, ეს სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი პროექტები იქნება. მაგალითად, საპარტნიორო ფონდის ერთ-ერთი პრიორიტეტი ენერგეტიკული პროექტებია, შესაბამისად, ეკონომიკის ამ და სხვა დარგების მიმართულებით, პროცესები უფრო მეტად გააქტიურდება, პროექტები გარკვეული კრიტერიუმებით შეირჩევა და შერჩევის პროცესიც საჯარო იქნება. როგორც პრემიერმა განაცხადა, სუვერენული ფონდის შემადგენლობაში შევა ახალგაზრდული ფონდიც, რომელიც შედარებით მცირე ზომისაა და ინოვაციურ პროექტებს დააფინანსებს. ახალგაზრდული ფონდის ზომა დაახლოებით, 20-50 000 000 აშშ დოლარის ფარგლებშია ნავარაუდევი. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, რომ ეს ფონდი ორიენტირებული იქნება მაღალ ტექნოლოგიებზე, იგივე IT, ინფორმაციულ, მედიცინისა და სხვა ინოვაციურ სფეროებზე. შემიძლია გითხრათ, რომ მთლიანობაში, სუვერენული ფონდის აქტივების მოცულობას 2 000 000 000 აშშ დოლარის ფარგლებში ვვარაუდობთ.

**— სუვერენულ ფონდსაც თქვენ უხელმძღვანელებთ?**

— არა, ამაზე საუბარი ნაადრევია, რადგან ჯერ მხოლოდ ამ ფონდების ჩამოყალიბების პროცესში ვართ და ამ პროცესში, ჩვენი უცხოელი პარტნიორებიც მიიღებენ მონაწილეობას. პრემიერმა რამდენიმე ბანკიც დაასახელა, რომელთა წარმომადგენლებსაც დავოსში შეხვდა. ვსაუბრობთ, საერთაშორისო სტანდარტების გამჭვირვალე ფონდებზე, რომლებიც უცხოელმა პარტნიორებმაც ადვილად უნდა აღიქვან.

**— ბრძანეთ, რომ სუვერენულმა ფონდმა საპარტნიორო ფონდში უკვე არსებული აქტივებიც უნდა მართოს, მაგრამ რომელ აქტივებს გულისხმობთ, „საქართველოს რკინიგზის“, „ნავთობისა და გაზის კორპორაციის“, ან „თელასის“?**

— ამ ეტაპზე დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ თქვენს მიერ ჩამოთვლილი აქტივებიც იყოს და სხვებიც, რომლებიც სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია. ამ დეტალის კონკრეტიზაცია ნაადრევია, რადგან ამ საკითხზე ჯერ კიდევ ვმუშაობთ. როგორც გითხარით, ფონდის შექმნის პროცესი არ დასრულებულა.

**— საბოლოო ჯამში, სამივე ფონდი იმიტომ იქმნება, რომ უცხოელ ინვესტორებს ადგილზე, საქართველოში პარტნიორობა გაუწიოს, მაგრამ „ნაციონალები“ ინვესტიციების სიმცირესა და ქვეყანაში შექმნილ საგანგაშო ეკონომიკურ მდგომარეობაზე საუბრობენ. მართლაც ეკონომიკური კრიზისია, თუ ეს თქვენი ოპონენტების გადაჭარბებული შეფასებებია?**

— გარკვეული ძალები ეკონომიკური სიტუაციის დრამატიზებას ცდილობენ, როდესაც აცხადებენ, რომ ქვეყანაში თითქოს საბიუჯეტო, ან ეკონომიკური კრიზისია. სინამდვილეში, არავითარი საგანგაშო სიტუაცია არ არის, რადგან საბიუჯეტო იქნება, ეკონომიკური, თუ ფინანსური კრიზისი, ყველა ამ ტერმინს თავისი განსაზღვრება და კრიტერიუმები აქვს. სწორედ ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, არანაირი კრიზისი არ არსებობს. საქართველოში, ინვესტიციების პიკი 2007 წელს დაფიქსირდა, როდესაც 2 100 000 000 აშშ დოლარზე მეტი იყო მათი მოცულობა, ვგულისხმობ, როგორც პირდაპირ, ასევე — პორტფელურ ინვესტიციებს. აქ ასევე იგულისხმებოდა პრივატიზებიდან მიღებული ის მნიშვნელოვანი თანხა, რომელიც იმ პერიოდში ქვეყანაში განხორციელდა. თუ ბოლო 4 წლის მანძილზე, ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკას გადაავლებთ თვალს, ნახავთ, რომ მათი საშუალო მოცულობა, წლიურად 1 000 000 000 აშშ დოლარის ფარგლებშია. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე დაანგარიშებული არ არის, ვფიქრობ, 2012 წელსაც ინვესტიციები ამ ფარგლებში იქნება. ამ მხრივ, წლევანდელი წელი უკეთესი იქნება და ინვესტიციების მოცულობა გაიზრდება, რადგან საბიუჯეტო ციფრებიც იმედის მომცემია. პრაქტიკულად, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში დაგეგმილი ასიგნებები 9 000 000 000 ლარზე მეტია, ეკონომიკის ზრდა დაგეგმილია 6%-ის ფარგლებში, ხოლო ფინანსური სალდო, ანუ ადრე რომ საბიუჯეტო დეფიციტს ვეძახდით, 3%-ზე ნაკლებია მშპ-სთან მიმართებაში, რაც ჩვენი ტიპის ქვეყნისთვის საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ოპტიმისტური, პოზიტიური განწყობა მაქვს, წელსაც და მომავალ წლებშიც ეკონომიკის ზრდა გველის.

## ვერსიანიუსი

### დავით კირვალიძე: „ღვინო, რომელიც ევროკავშირის ქვეყნების, აშშ-ს, იაპონიის მოთხოვნებს აკმაყოფილებს, რუსეთსაც დააკმაყოფილებს“




საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით კირვალიძე დარწმუნებულია, რომ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელი კომპანიების უმეტესობა რუსეთის ბაზარზე დაბრუნების სურვილს გამოთქვამს.

როგორც მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ღვინის ეროვნული სააგენტო რუსეთის ბაზარზე დაბრუნების მსურველი ყველა კომპანიის განაცხადს მიიღებს: **„ყველა მსურველი კომპანია ინსპექტირებული იქნება. ღვინო, რომელიც აკმაყოფილებს ისეთი ბაზრების მოთხოვნებს, როგორებიც არის ევროკავშირის ქვეყნები, აშშ, იაპონია, დარწმუნებული ვარ, რუსეთის მოთხოვნებსაც დააკმაყოფილებს. სეგმენტის ათვისება სამუშაო პროცესში დიდი ძალისხმევა დასჭირდება. ეს ერთბაშად ვერ მოხდება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეს იქნება მზარდი პროცესი. ძველი ბაზრების ხარჯზე არაფრის შეცვლა არ მოხდება. დივერსიფიცირებული ბაზარი არის გარანტია იმისა, რომ ბაზართან დაკავშირებით პრობლემები არ შეიქმნება“.**

სოფლის მეურნეობის მინისტრი და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის მწარმოებელ 50-ზე მეტი კომპანიის პირველ პირებს შეხვდნენ. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხში ზურაბ აბაშიძეც.

***„ინტერპრესნიუსი“***



ნინო კომახიძე
პოლიტიკა

# რამაზ ფალიანი: „დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილის ყურამდე ჯერ არ მიუღწევია, თუ რა უსამართლობა ხდება კრივში!“



**ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ბიძინა ივანიშვილს სამართლიანობის აღდგენას სთხოვს და ვოვა ახალკაცის, ლევან ყიფიანისა და დავით კვაჭაძის მამხილებელ ფაქტებს წერილობით უგზავნის!**



**სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიო ჩემპიონი, ევროპის სამგზის ჩემპიონი, მსოფლიოს ორგზის მესამე პრიზიორი, ამერიკის ჩემპიონი პროფესიონალურ კრივში, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი 2009-2012 წლებში რამაზ ფალიანი ბიძინა ივანიშვილს წერილით მიმართავს. კრივის ფედერაციაში მიმდინარე მოვლენების შესახებ ფალიანი და ასევე საქართველოს ჩემპიონი, ბექა ლობჟანიძე წერილში ყვებიან და ივანიშვილს სამართლიანობის აღდგენას ქართულ სპორტშიც სთხოვენ. „ვერსიას“ საშუალება მიეცა წერილის შინაარსს გასცნობოდა, სადაც ფალიანი ღიად საუბრობს და კრივის ფედერაციის თავმჯდომარის უცვლელ მოადგილეს, ვოვა ახალკაცს ადებს ხელს: „სამართლიანობის აღდგენის იმედით, მოგმართავთ თქვენ, რადგან სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სპორტში და კრივის ფედერაციაში, ჯერ კიდევ ძველი კორუმპირებული სისტემაა და „ნაციონალების“ მეთოდებით მოქმედი პირები მრავლად არიან. კრივის ფედერაციას დღემდე განაგებს მუდმივი გენერალური მდივანი, პეტრე ცისკარიშვილის ხელდასხმული, კორუმპირებული ვოვა ახალკაცი, რომელმაც ახალ ხელმძღვანელობასთან, დავით კვაჭაძესთანაც გამონახა საერთო ენა. ახალკაცი „ნაციონალების“ ერთგული და მათი კურსის გამტარებელია. იგი წლების მანძილზე სძალავდა სპორტსმენებს ფულს, ხოლო ვინც არ ემორჩილებოდა, მათ სამუდამოდ უნგრევდა კარიერას... დავისაჯე მეც, საქართველოს ნაკრების აწ უკვე მთავარი მწვრთნელი, რამაზ ფალიანი, რომელიც, შეძლებისდაგვარად, ვეწინააღმდეგებოდი ვოვა ახალკაცის მაფიოზურ დიქტატურას! იმედს ვიტოვებთ, ხელს შეუწყობთ სამართლიანობის აღდგენას და არ დაუშვებთ ქართული კრივის დაღუპვას, რადგან ვოვა ახალკაცი და მისი თანამოაზრენი კრივს საკუთარი ანგარიშებისთვის იყენებენ!“ წერილი პრემიერის კანცელარიაში სულ ორი დღის წინ შევიდა, „ვერსიას“ კი კრივის ფედერაციაში მიმდინარე პოლიტიკურ თამაშებზე რამაზ ფალიანი უამბობს.**

— ვიდრე ახალი ხელისუფლება მოვიდოდა სათავეში, მანამდეც პრობლემები მქონდა კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან. მაშინ დეპუტატი პეტრე ცისკარიშვილი იყო თავმჯდომარე, მაგრამ არ დადიოდა, ათასში ერთხელ შემოივლიდა. სამაგიეროდ, უშუალოდ, გენერალური მდივანი, ვოვა ახალკაცი იღებდა თავის თავზე ყველაფერს. 5 წელი მსოფლიო ჩემპიონი არ გვყავდა კრივში, როცა ამათი მოწვევით ამერიკიდან ჩამოვედი და ნაკრებს სათავეში ჩავუდექი, კობა ფხაკაძე მსოფლიო მედალოსანი გავხადე. ამ დროს, ახალკაცი ჩემზე ამბობს, „გრუზშჩიკი“ იყო ამერიკაშიო, ამ დროს, ჩემს მეგობარს ჰქონდა კრივის კლუბი, სადაც მწვრთნელად ვმუშაობდი. თუმცა ფიზიკური შრომისა არ მრცხვენია. ახალკაცი კი, ბოდიში და, ბებია-ბაბუებს პამპერსებს უცვლიდა! ჩამოვედი აქ, დავიწყე მუშაობა და ასეთი შედეგი, კრივში, ასეთ მოკლე დროში, არასდროს ყოფილა — მსოფლიოს პრიზიორი გვყავდა, ევროპიდან სამი მედალი ჩამოვიტანეთ, ამის მიუხედავად კი მაინც მბლოკავდნენ.

**სპორტსმენები თვის ბოლოს პრემიებს ვიღებდით და ვოვა ახალკაცი პირდაპირ გვთხოვდა წილებს ამ პრემიიდან. სახეში მომახალა, რამდენიც უნდა ილაპარაკო, პრემიის ნახევარს აქ მოიტანო, თან მემუქრებოდა, მოგხსნიო! არ ვიცი, რატომ ითხოვდა ამ წილებს, თანაც, არა მარტო ჩემგან, მაგრამ, სამწუხაროდ, ბიჭები ხმას ვერ იღებენ. ვოვასი კი არ ეშინიათ, უბრალოდ, პოსტზე დარჩა და დაბრკოლებები გვექნებაო.**

ამ ყველაფრის ფონზე, შევხვდი მინისტრს, ლევან ყიფიანსა და მის მოადგილეებს. ამ შეხვედრაზე ისიც კი მითხრეს, „ქართულ ოცნებაში“ საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე მოხვედიო. არადა, რეალურად, ბოლო წლების განმავლობაში მუდმივად დაპირისპირებაში ვიყავი ძველ რეჟიმთან.

**— და თქვენ ვინ და რატომ მოგხსნათ მთავარი მწვრთნელობიდან, როცა „ნაციონალი“ ცისკარიშვილი წავიდა, თქვენ „ოცნებაში“ მიხვედით, ფედერაციის თავმჯდომარედაც „ოცნების“ კაცი დაინიშნა და სპორტის მინისტრიც ივანიშვილმა დანიშნა?**

— სამწუხაროდ, ვოვა ახალკაცს, ამ კორუმპირებულ ადამიანს, ხელს აფარებენ მინისტრი ლევან ყიფიანი და ფედერაციის ახალი თავმჯდომარე დავით კვაჭაძე.

**ეს ვოვა ახალკაცი, როცა ბიძინას გურჯაანში შეხვედრა ჰქონდა, წინა დღეს ჩავიდა და მის წინააღმდეგ პროვოკაცია მოამზადა. ასეთ კაცს აფარებს ხელს ბიძინას მიერ დანიშნული მინისტრი! თან, შარშან შემოდგომაზე, სომხეთში ჩატარებულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ახალკაცი ამაყად გაიძახოდა, ჟიურის წევრად დამნიშნესო. სინამდვილეში, სპორტსმენებისთვის განკუთვნილ ხელის გადასახვევ მაგიდასთან იჯდა და ყოველ პროცედურას ბეჭდის დასმით ადასტურებდა. სულ ეს იყო მისი საქმე. იმავე შეჯიბრებაზე მსაჯისთვის ფულის შეთავაზების გამო დისკვალიფიკაცია მიიღო.**

**— ეს დავით კვაჭაძე, ახალი თავმჯდომარეც ვინმეს მფარველობის ქვეშაა და მისი არჩევა როგორღა მოხდა?**

— მეტსაც გეტყვით — მინისტრი ლევან ყიფიანი და დავით კვაჭაძე ნათელმირონები არიან! როცა კვაჭაძე თავმჯდომარედ დაინიშნა, საქმეში უშუალოდ ახალკაცი ჩაერია და კრება ჩაატარა. კრებაზე კვაჭაძემ გამოაცხადა, ნაკრების მთავარი მწვრთნელიც მე უნდა ვიყოო. მანამდე, ჩემთვის პირადად ჰქონდა ნათქვამი, რომ მთავარ მწვრთნელად მე მტოვებდა. მერე, უცებ ადგა და გამოაცხადა, მწვრთნელის ფუნქციაც მე უნდა შევითავსოო. ვკითხე, რა მიზეზით მათავისუფლებ-მეთქი და მიპასუხა, ასე მივიჩნევ საჭიროდო. კრებაზე დიდი გაწევ-გამოწევა მოხდა და შეხვედრა ჩაიშალა. ამის შემდეგ, კვაჭაძემ ფედერაციაში დამიბარა, დაგვილაპარაკოთო. შეხვედრა 4 იანვარს შედგა და იქ უკვე სხვანაირად მესაუბრა – ნაკრების მთავარ მწვრთნელად დარჩები და ერთწლიან კონტრაქტს გაგიფორმებთო. საერთოდ, კონტრაქტი 4-წლიანია ხოლმე, მაგრამ შემოთავაზებას მაინც დავთანხმდი. მითხრეს, ხელმოსაწერად დაგიძახებთო. 4 დღეში კი ფედერაციის თანამშრომელს, თამაზ ქართველიშვილს ველაპარაკე ტელეფონით, ისევ ხომ არაფერი გადაიფიქრეს-მეთქი. მითხრა, შემოიარეო. მივედი და კვაჭაძე-ახალკაცი დამხვდნენ კაბინეტში, საქართველოს ჩემპიონატის საორგანიზაციო საკითხებსა და ნაკრების მომავალ შეკრებაზე საუბრობდნენ. მიმანიშნეს, რომ ჩემს დატოვებას არ აპირებდნენ. მისი კაბინეტიდან გამოსულს, ქართველიშვილი გამომყვა და მითხრა, შენი აქ დარჩენა არ უნდათო. მგონი, არგუმენტად ასახელებდნენ, თითქოს, ნაკრების წევრებს არ სურდათ ჩემთან მუშაობა. ეს სისულელეა! სწორედ ამ ამბების მერე ვიყავი სამინისტროში, ვნახე მინისტრი, ლევან ყიფიანი, რომელიც გაიძახოდა, ამ საქმეში არ ვერევიო, მაგრამ რომ ჩაერია, იმიტომაცაა ასე ცუდად საქმე სპორტის ყველა სახეობაში.

**— აქამდე სხვადასხვა ფედერაციებს „ნაციონალი“ პოლიტიკოსები მართავდნენ, ახლა ხელისუფლებაც შეიცვალა და გინდათ თქვათ, ზოგადი სიტუაცია საერთოდ არ შეცვლილა?**

— ყველამ იცის ეს პრობლემები, მაგრამ, ალბათ, ლევან ყიფიანს ვერ ახტებიან თავზე. დარწმუნებული ვარ, ბიძინა ივანიშვილმა ამ ყველაფრის შესახებ არ იცის და მის ყურამდე ჯერ არ მიუღწევია, თუ რა უსამართლობა ხდება კრივში. ამ ვითარებას რომ ვუყურებ, ყველაფერზე წარმოდგენა მეკარგება.

**ფედერაცია ძალიან ცუდ დღეშია — დავით კვაჭაძემ ხომ თქვა, მთავარი მწვრთნელი მე უნდა ვიყოო, მაგრამ თავისი ძმა, როლანდ კვაჭაძე გააფორმა ამ პოსტზე, სინამდვილეში კი, მოვალეობას ბონდო მამულაშვილი ასრულებს, რომელიც 25 წელი მოსკოვშია და კრივის სამყაროს საერთოდ ჩამოშორდა.**

მე მემეგობრებოდა, ახლა კი, ჩემს ზურგსუკან, ვირთხასავით იქცევა! ლევან ყიფიანი კი საერთოდ კრივის აზრზე არ არის!

**— ამასობაში, სანამ ნაკრებს სამი მწვრთნელი ჰყავს და სინამდვილეში არც ერთი, მოახლოებული ჩემპიონატის წინ, სპორტსმენებს ვინ ავარჯიშებს და ნაკრებში რა მდგომარეობაა?**

— ეროვნული ჩემპიონატიც კი დაგვიანებულია, სამწუხაროდ. ჩვენ ყოველთვის წლის ბოლოს ვატარებდით ეროვნულ ჩემპიონატს.

**ახლა დათო კვაჭაძე ბედნიერი ამბობს, ფალიანი წასვლას აპირებსო, მე კი მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით, გული ან გავუხეთქო, ან გავუხარო — არსად წასვლას არ ვაპირებ! ვიქნები საქართველოში, მყავს პირადი მოწაფეები, ჩემს საქმეს ვაკეთებ და ძველებურად ვავარჯიშებ სპორტსმენებს. წინ საქართველოს ჩემპიონატია, რომელიც 10 თებერვალს უნდა დაიწყოს. რაც შეეხება სანაკრებო ამბებს, ამ უსამართლობას არავითარ შემთხვევაში არ შევეგუები!**

ნაკრების ბევრ წევრს ჯანსაღი პოზიცია აქვს, მხარდაჭერას ველი რეგიონებიდანაც. კარგი იქნება, თუ ფინანსური პოლიცია შევა ფედერაციაში და გაარკვევს ბევრ რამეს — ეჭვი მაქვს, იქ სერიოზულ დარღვევებს იპოვის. ან თუნდაც ის გაარკვიონ, არჩევნების წინ, ვოვა ახალკაცი რა საქმიანობას ეწეოდა.

**— ამ შემთხვევაში, პრემიერ-მინისტრისგან რა რეაგირებას ელით, ან ხმას თუ ვერ მიაწვდენთ, მერე რას აპირებთ?**

— ვოვა ახალკაცი ფედერაციიდან საერთოდ უნდა წავიდეს! არ შეიძლება კრივის სამყაროს კვაჭაძეების კლანი მართავდეს. ვოვა ახალკაცი თვითონ დადის ხალხში და ასახელებს, ესა და ეს მმფარველობსო. ვისი სახელით სპეკულირებს, თუ საჭიროა, იმასაც ვიტყვი, რადგან სათქმელი უნდა ითქვას, გაჩუმებული ისედაც დიდხანს ვიყავი!

**თუ პრემიერი მეტყვის გაჩერდიო, მარტო მაგ შემთხვევაში გავჩერდები. თუ არადა, მერე ყველა გვიან მიხვდება, რომ ქართული კრივი დაღუპულია. წესით, პრემიერისგან პასუხი 24 დღეში უნდა მივიღოთ. ახლა სწორედ მის პასუხს ველოდები. უბრალოდ, გული მწყდება, რატომ უნდა დავანებო თავი ბრძოლას და ქვეყანა დავტოვო, თორემ იმაში ეჭვი, მგონი, არავის ეპარება, რომ მე არსად დავიკარგები!**

## ვერსიანიუსი

### ნუგზარ წიკლაური: „პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლა ბიძინა ივანიშვილის ბრძანებით გადაიდო“

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ნუგზარ წიკლაური დარწმუნებულია, რომ უმრავლესობის მიერ პარლამენტში პრეზიდენტის სიტყვით გამოსვლისა და დებატების გადადების გადაწყვეტილება პრემიერ-მინისტრის, ბიძინა ივანიშვილის პირადი ბრძანებაა.

მისი შეფასებით, დებატებმა აჩვენა უმრავლესობის სრული უსუსურობა მთელ რიგ საკითხებთან, მათ შორის, საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით:

**„როგორც ჩანს, იმ შედეგმა, რომელიც ამ დებატების შემდეგ დადგა, ძალიან გააღიზიანა ბიძინა ივანიშვილი და მწამს, ეს არის მისი პირადი ბრძანება, რომ აღარ გაიმართოს ეს დებატები, რათა კიდევ ერთხელ არ წარმოჩნდეს ის სრული არაადეკვატურობა და არაკომპეტენტურობა, რომელიც დღევანდელ უმრავლეობას აქვს“.**

დეპუტატის შეფასებით, პარლამენტი აზრთა გაცვლა-გამოცვლის ადგილია და როდესაც უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ აღარ შეუძლიათ უმცირესობასთან დებატები, ასეთ უმრავლესობას დიდი დღე ნამდვილად არ უწერია.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე ყოველწლიური მოხსენებით აღარ წარდგება. ამის შესახებ გადაწყვეტილება საპარლამენტო უმრავლესობამ მიიღო. როგორც ბიუროს სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა აღნიშნა, პრეზიდენტს მიეცემა საშუალება, კონსტიტუციური უფლება გამოიყენოს და პარლამენტში სიტყვით გამოვიდეს, თუმცა უმრავლესობის პოზიციაა, რომ ეს მოხდება მას შემდეგ, რაც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, მიღებული იქნება სათანადო გადაწყვეტილება, ან როდესაც ცალსახად და მკაფიოდ იქნება გამოხატული პრეზიდენტისა და მისი პოლიტიკური გუნდის პოზიცია პარლამენტისთვის იმ უფლების დაბრუნების თაობაზე, რაც მას ეკუთვნის.



***„ინტერპრესნიუსი“***



# მერიაში დასაქმებული „ფეშენმომღერლების“ სკანდალური სია და განტევების ვაცადქცეული თეატრალური კვარტეტი

თამარ ლომსაძე

**ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა „თბლსერვისჯგუფში“ ფიქტიურად დასაქმებულებს შორის „თეატრალური კვარტეტის“ წევრები აღმოაჩინა, ხოლო ორი წლის განმავლობაში მათ მიერ აღებულმა ხელფასმა 70 ათასი ლარი შეადგინა.**

ბიჭებმა საზოგადოებას ამ ფაქტის გამო საჯაროდ მოუბოდიშეს და სთხოვეს, გაეზიარებინათ „მათი გულწრფელი პოზიცია“, რადგან არასოდეს ყოფილან გაწევრიანებულნი არც ერთ პარტიაში... მამუკა ახვლედიანმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ მომღერლებს რეკომენდაცია თავად გაუწია და ეს ყველაფერი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა: **„მაშინ იყო პერიოდი, როცა ისინი იწყებდნენ ასპარეზზე გამოსვლას, მატერიალური პრობლემები ჰქონდათ, ელემენტარულად ჰქონდათ პრობლემა, რომ ეარსებათ და გაეგრძელებინათ თავიანთი შემოქმედებითი საქმიანობა, რომელმაც, დარწმუნებული ვარ, საქართველოს ბევრ მოქალაქეს მიანიჭა სიამოვნება. მე, პირადად გავუწიე რეკომენდაცია, რომ ისინი დასაქმებულიყვნენ დასუფთავების სამსახურში, „თბილსერვისჯგუფში“. შევთავაზე, მათთვის ხელსაყრელ დროს ემუშავათ და დავპირდით, მუშაობაში შევუწყობდით ხელს. მაშინ ის პერიოდი იყო, როდესაც აქტიურად უნდა გაგვეწია პროპაგანდა ქალაქის დასუფთავების საქმისთვის, მაშინ იხურებოდა ბუნკერები, ეწყობოდა დასუფთავების აქციები. ისინი სწორედ ამ აქციებში იყვნენ დასაქმებულები და იღებდნენ შესაბამის ანაზღაურებას“,** — ასეთი გახლდათ ახვლედიანის კომენტარი, რომელმაც დასძინა, რომ ამ ანსამბლის ჩარევა ბინძურ პოლიტიკურ ბრძოლაში დანაშაულია. ვერაფერს იტყვი, თუმცა ბატონმა მამუკა ახვლედიანმა უნდა იცოდეს, რომ დანაშაული ჩაიდინა თავად, როცა ისინი ამ სამსახურში ფიქტიურად გააფორმა და ასევე ჩაიდინეს ამ ბიჭებმაც, რომლებიც ალპინისტ-დამლაგებლებად თუ რაღაც გაურკვეველ მუშაკებად გაფორმებას დათანხმდნენ. თუ ანსამბლს დახმარება სჭირდება, ხოლო დასუფთავების სამსახურს პოპულარიზაცია, ამისთვის არსებობს ხელშეკრულების ფორმა და პიარის სამსახური... კანონი ყველასთვის ერთია. დანაშაულის ნიშნები სახეზეა თავისი „აღიარებითი ჩვენებითა“ და ბოდიშით, მაგრამ რა ვუყოთ იმ 70 ათას ლარს, რომელიც მომღერლებს თბილისელების ჯიბიდან გადაუხადეს, თანაც გადაუხადეს დენზე მიბმული ნაგვის ტარიფიდან ბუნკერების პოპულარიზაციის მიზნით... ჰოდა, თუ ასეა, დამნაშავე უნდა დაისაჯოს, გასამართლდეს და სასამართლოს გადასაწყვეტია, „შეუმსუბუქდებათ“ თუ არა დანაშაული „თეატრალური კვარტეტის“ ალპინისტ-დამლაგებლებს!

თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სამართლიანი იქნება, კანონის შესაბამისად გაიმართოს სასამართლო პროცესი და კანონდარღვევისთვის შესაბამისი სასჯელი მიიღოს ყველამ... ვითომ რით არიან სხვა, უცხოელ ვარსკვლავებზე პრივილეგირებულები? რით იყო მელ გიბსონი აქაურ ფეისებზე ნაკლები, სასამართლომ, ჩადენილი უკანონობისთვის, გვატემალას ბავშვთა ჰოსპიტალში სამუშაოდ რომ გაუშვა? ან ლინდსი ლოჰანი, რომელმაც გარკვეული პერიოდი მორგის თანამშრომლად იმუშავა? ან ნაომი კემპბელი, რომელიც ცოცხით ხელში არაერთმა კამერამ დააფიქსირა? მგონი, არც არაფრით. ჰოდა, ბატონო, თუ აღებული თანხის უკან დაბრუნებას არავინ სთხოვს და არც შეუძლიათ, მოუწევთ ალპინისტის თუ არა მეეზოვის მოვალეობის შესრულება. და ეს უნდა მოხდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ, დასრულდეს შერჩევით სამართალზე საუბარი. თუმცა როგორც კი გაჟღერდა ინფორმაცია დანაშაულებრივ სქემაში „თეატრალური კვარტეტის“ მონაწილეობის შესახებ, მაშინვე გაჩნდა ეჭვი, რომ ეს ანსამბლი ერთადერთი ბედნიერი გამონაკლისი ვერ იქნებოდა და, უბრალოდ, როგორც ხდება ხოლმე, „განტევების ვაცი“ მოძებნეს სხვების გადასარჩენად.

„ვერსიის“ კომპეტენტური წყაროს ინფორმაციით, ნომერ მეორე დასაქმებული გოგოლა კალანდაძე გახლავთ, ოღონდ არა დამგველ-ალპინისტად, არამედ მძღოლად — არც მეტი, არ ნაკლები, სამიათასლარიანი ხელფასით. აი, გაქანებაც ამას ჰქვია, საქართველოში მძღოლად მუშაობდე და ამხელა ანაზღაურება გქონდეს, მინიმუმ, შუმახერი უნდა იყო. თუმცა, რა გასაკვირია, „ვარდების ხელისუფლებას“ ეძვირფასებოდეს იმ გენშტაბის უფროსის და, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა ცხრაჯერ დანიშნა, მერე წულუკუანმა ამდენივეჯერ დაიჭირა და სკანდალი აგერ უკვე მეოთხე თვეა გრძელდება... წყარომ ისიც გაგვიმხილა, რომ ქართველი მომღერლებისა თუ მსახიობების გარკვეული კატეგორია სწორედ ასეთ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჰყავდა ექსხელისუფლებას, სიაში კი გახლდნენ კახაბერ ცისკარიძე, სტეფანე მღებრიშვილი, დათო გომართელი, ლელა წურწუმია, მერაბ სეფაშვილი... ეს იმ ადამიანთა არასრული ჩამონათვალია, რომლებიც სამთავრობო ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობდნენ, ხოლო ისინი, ვისაც მხარედ წარმოჩენა და პრეზიდენტის გუნდრუკისმკმევლის როლში ყოფნა არ უნდოდა, ე.წ. შავ სიაში შეიტანეს, მერე ჩარეცხეს და საბოლოოდ, ქართული „ელიტა“, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის მისაღები ფეისებით დაკომპლექტდა.

„ვერსიის“ წყარო ირწმუნება, რომ ამ შემთხვევაში კორუფციული სქემა აქტიურად მოქმედებდა, ყველაფერს კი მერის მეუღლე, ქალბატონი ლელა კილაძე აკონტროლებდა.

**„კილაძის გარეშე ქართულ შოუბიზნესში ბუზიც არ ჭაჭანებდა. ის კურირებდა ყველაფერს. ვინც არ მოსწონდათ, ყველა შავ სიაში შეიტანეს, ამ ადამიანებს ღონისძიებებზე არ აჭაჭანებდნენ, ზოგი იძულებული გახდა, საქართველოდან წასულიყო, რათა შემოსავლის წყარო ჰქონოდა“,** — ასეთია წყაროს კომენტარი, რომელიც, კარგად თუ დავფიქრდებით, რეალობისგან არც ისე შორსაა. ბოლო წლები მხოლოდ ერთი და იგივე სახეები ჩანდნენ, ვიღაცები მართლა გაქრნენ, ზოგი კი წავიდა, მაგრამ აქ ჩნდება კითხვა — რა იყო კილაძის ინტერესი და რატომ უნდა გასჩენოდა მას სურვილი, ხელში ჩაეგდო ქართული შოუბიზნესი, რომელიც რეალურად, არასოდეს არსებულა? — ამ კითხვაზე წყაროს მარტივი პასუხი აქვს — ფული, რომელიც სხვადასხვა ღონისძიებებიდან შემოედინებოდა.

> **„კახუჩელასა და სტეფანეს ჰქონდათ რამდენიმე კომპანია, რომელთაც სხვადასხვა დირექტორები ჰყავდათ. ყველა ღონისძიებიდან შემოსული ფული სწორედ ამ კომპანიებში მობილიზდებოდა და მათი საშუალებით თეთრდებოდა. ასე იგებდნენ ყველა ტენდერს. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც სატენდერო კომისიის თავმჯდომარედ კილაძის უახლოესი მეგობარი, ლალი კოზმავა დაინიშნა. ისინი დაქალები არიან და კორუფციულ სქემებსაც ერთად ადგენდნენ. მათ გარეშე არც ერთი ღონისძიება არ ტარდებოდა, ყველაფრის წილში იყვნენ და დიდი ფულიც ტყდებოდა“.**

*დასასრული მე-9 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

### პრეზიდენტი მოსახლეობას, პარლამენტის ნაცვლად, ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმართავს



ამ გადაწყვეტილების შესახებ საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.

მისი განმარტებით, პრეზიდენტი საზოგადოების წინაშე სწორედ იმ მიმართვით წარსდგება, რომლითაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში უნდა გამოსულიყო:

**„იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოთხოვნით, უმრავლესობამ უარი განაცხადა პარლამენტში პრეზიდენტის კონსტიტუციით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიშის მოსმენაზე, პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება, ეროვნული ბიბლიოთეკიდან მიმართოს საზოგადოებას იმავე მიმართვით, რომლითაც ის უნდა წარდგენილიყო საკანონმდებლო ორგანოდან“.**

მანჯგალაძის თქმით, პრეზიდენტის გამოსვლა დაგეგმილია დღის მეორე ნახევარში.

*„ვერსიანიუსი“*

### გია ცაგარეიშვილი პრეზიდენტს ურჩევს, მოსახლეობას ორთაჭალის დანგრეული ციხის ტერიტორიიდან მიმართოს



საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ურჩევს, ეროვნულ ბიბლიოთეკაში ისეთი ნაწარმოები წაიკითხოს, რომელიც მას თვითშეგნებას გაუღვიძებს:

**„ვურჩევდი, თუ ბარემ ბიბლიოთეკაში მიდის, წაიკითხოს ბიბლია ან რომელიმე ნაწარმოები, რომელიც მას თვითშეგნებას გაუღვიძებს და შეაყვარებს თავის ხალხს. კითხვა, მგონი, არასოდეს არის გვიანი. ბევრი ნაშრომი დახვდება იქ“!**

ცაგარეიშვილი ასევე ურჩევს პრეზიდენტს, რომ ტრიბუნა დადგას ორთაჭალის დანგრეული ციხის მიდამოებში და იქიდან გამოვიდეს: **„მისი უფლებაა, სადაც უნდა იქ გამოვიდეს, თუმცა ვურჩევდი, ორთაჭალის დანგრეული ციხის მიდამოებში დაედგა ტრიბუნა და იქიდან გამოსულიყო სიტყვით, რადგან ამ ქვეყანაში ძალადობისა და უსამართლობის სიმბოლო მიხეილ სააკაშვილი და მისი მმართველობაა. ასევე, უპრიანი იქნებოდა სადმე, თუნდაც გლდანის #8 საპყრობილეს ტერიტორიაზე ჩაეტარებინა ამგვარი ღონისძიება“.**

მისივე ვარაუდით, ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიხეილ სააკაშვილმა სიტყვით გამოსვლა იმის გამო გადაწყვიტა, რომ ეროვნული ბიბლიოთეკა პარლამენტის დაწესებულებაა და **„ამის შემდეგ რომ თქვას, მე მაინც მოვედი პარლამენტში და იქიდან მოგმართავთო“.**

*„ვერსიანიუსი“*

დავით დევიძე

**„ოცნების“ ქვედაპარტიულ რგოლში რყევებია. რამდენიმე რაიონში პარტიის იმ კადრების ჩანაცვლება მიმდინარეობს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ოქტომბრის არჩევნების მოგებაში. მმართველ პარტიაში ამას საკმაოდ სკანდალური მოტივით ხსნიან: არსებობს ეჭვი, რომ პარტიის ქვედარგოლში არიან ნაციონალური მოძრაობიდან ჩანერგილი პირები და სწორედ ამის გამო ხდება მათი ჩანაცვლება ახალი და, რაც მთავარია, უფრო სანდო ძალებით. „ოცნების“ გენერალური მდივანი დავით საგანელიძე პოლიციასაც მიმართავს „ნაცების“ ჩანერგილი პირების გამოვლენის მოთხოვნით. მოკლედ, ზემოთ გადაწყვიტეს, წმენდა ჩაატარონ. მთლიანობაში, ეს ყველაფერი რაღაც ლოგიკასაც ექვემდებარება: „ნაციონალები“ წაგებას რომ არ ურიგდებიან და ყველანაირად ცდილობენ დაკარგული პოზიციების დაბრუნებას, მათ შორის „აგენტურის“ ჩანერგვითაც, ეს ცხადია, მაგრამ საინტერესოა, თუკი მათ თავიდანვე ჩანერგილები ჰყავდათ „ოცნების“ რაიონულ განყოფილებებში, მაშინ როგორღა წააგეს არჩევნები ამ რაიონებში? საინტერესოა ისიც, თუ როგორ ან რატომ უნდა გამოავლინოს პოლიციამ რომელიმე „ნაციონალი“ ჯეიმს ბონდი? ამ კითხვებზე „ოცნების“ თავკაცები არ პასუხობენ. არადა, სწორედ ამ პასუხის მისაღებად უკვე შიმშილობის აქციები იმართება. საქმეს კი ისეთი პირი უჩანს, აქციის მასშტაბები კიდევ უფრო გაიზრდება. რუსთავის „ოცნების“ ორგანიზაციის თავმჯდომარე ალექსანდრე ბერიძე „ვერსიას“ იმ დეტალებს აცნობს, რის გამოც პარტიაში დაპირისპირება დაიწყო.**

# „ოცნების“ რუსთავის ორგანიზაციის თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრას ითხოვს!

— რუსთავის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე გახლდით, პარალელურად, ვხელმძღვანელობდი საარჩევნო ადმინისტრაციას კოალიციურ შტაბში. როცა არჩევნებში გავიმარჯვეთ, კოალიციურ რეჟიმში მუშაობა აღარ გრძელდებოდა. შესაბამისად, ადგილებზე პარტიული უჯრედებისა და ოფისების ჩამოყალიბება არ დაწყებულა. როცა შევეცადე გამერკვია, რა რეჟიმში უნდა გვემუშავა, მიპასუხეს, რომ გაიხსნებოდა „ოცნების“ ოფისები ცალკე და იქ გავაგრძელებდით მუშაობას. მანამდე კი აქტიურობა უნდა შეჩერებულიყო.



**— პასიურ მდგომარეობაში როდემდე უნდა ყოფილიყავით?**

— იანვრიდან უნდა გადავსულიყავით შემდეგ რეჟიმში, მანამდე რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები ვიყავით პარტიის პოლიტსაბჭოს მიერ დანიშნულები. იანვარში უნდა დაფუძნებულიყო საქალაქო ორგანიზაცია, არჩეულიყო თავმჯდომარის, ასევე გამგეობისა და პარტიის ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატები. მოკლედ, ველოდებით ამ ყველაფრის დაწყებას და 6 იანვრიდან იწყება პარტიაში ახალი გაწევრიანება. არადა, პარტიის თავმჯდომარესთან, ქ-ნ მანანა კობახიძესთან შეთანხმებულები ვიყავით, საქალაქო კონფერენცია პარტიის არსებული წევრებით უნდა ჩატარებულიყო. იმ დროისათვის, პარტიის 180 წევრი და 12 დამფუძნებელი გვყავდა.

**— ახალი წევრების მიღება რა პრობლემებს გიქმნიდათ?**

— სწორედ ესაა ყველაზე საინტერესო: „ქართუ ჯგუფში“ მუშაობს ასეთი პიროვნება — კარლო ლეკვეიშვილი... რატომღაც, მის მეუღლეს, ელზა ლეკვეიშვილს დაევალა, კოორდინირება გაეწია კონფერენციის მომზადებისათვის რუსთავში. მე არაფერი გამაგებინეს. ელზა ლეკვეიშვილი კი რუსთავის ორგანიზაციის წევრიც კი არ იყო, უბრალოდ, საქმიანობის სფერო აქვს რუსთავში და ამიტომ მისცეს ასეთი დავალება. პოლიტსაბჭოს ვთხოვე, ჩამოსულიყვნენ, შეხვედროდნენ პარტიის წევრებს. პარალელურად, გრძელდებოდა ახალი წევრების მიღება და კონფერენციისთვის მზადება. საბოლოოდ, გამოუვიდათ ისე, რომ ახალ წევრებს შორის „ნაცმოძრაობის“ კოორდინატორებიც აღმოჩნდნენ.

**— ვინ იყვნენ ეს კოორდინატორები. კონკრეტულად უნდა დამისახელოთ, თორემ ზოგადად, თქვენც იგივეს გაბრალებენ.**

— მაგათსაც დაგისახელებთ, მოგვიანებით. კიდევ ერთხელ გავუგზავნეთ წერილი დავით საგანელიძეს და მანანა კობახიძეს, ავუხსენით, რომ ამგვარი მეთოდებით არ შეიძლება პარტიაში ახალი წევრების მიღება და ირღვეოდა პარტიის წესდება, რომლის მიხედვითაც, გათვალისწინებულია ორთვიანი შუალედი ახალი წევრის მიღებაზე. ამათ კი ორ დღეში გააწევრიანეს ორასი ადამიანი. ეს დადასტურებულია ფაქტებით და წარვუდგენთ ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას. საგანელიძესაც გადავეცით ეს დოკუმენტაცია და ბოლომდე ჩავაყენეთ საქმის კურსში, თან ვთხოვეთ, 22 იანვარს ატარებდნენ არალეგიტიმურ კონფერენციას და რუსთავში ჩამოსულიყვნენ, რათა ადგილზევე გასცნობოდნენ საქმის ვითარებას.

**— თქვენი მაჟორიტარი დეპუტატი ზვიად ძიძიგური თუ იყო საქმის კურსში?**

— როცა ელზა ლეკვეიშვილის სკოლა „მილენიუმში“ გახსნეს შტაბი, თვითონვე ამბობდნენ, ზვიად ძიძიგურის დავალებააო. მართლა ასეა თუ არა, ვერ გავარკვიეთ. 22 იანვარს შევკრიბე ჩვენი პარტიის წევრები და გადავწყვიტეთ, მივსულიყავით იმ ვითომ კონფერენციაზე, რათა ბოლომდე გაგვერკვია სიტუაცია. მისულებს დარბაზში იცით, ვინ დაგვხვდა? ძველი საქმოსნები, სკოლის დირექტორები, „ნაციონალების“ აქტივისტები. შეკრებილებს ვუთხარი, რომ ეს ყველაფერი იყო უკანონობა და დარბაზი დავტოვეთ. ამის შემდეგ დაიწყეს ჩემზე ზეწოლა. ეძებდნენ, მქონდა თუ არა ადრე რაიმე კავშირი „ნაციონალურ მოძრაობასთან“. სასაცილოა, თვითონ რევანშისტულმა ძალამ, რომელიც „ქართულ ოცნებაში“ აპირებს ჩანერგვას, ჩემზე დაიწყო მსგავსი კომპრომატების ძიება. როცა ვერაფერი იპოვეს, მერე აშკარა მუქარაზე გადავიდნენ.

**— მუქარა რაში გამოიხატება?**

— რა გახდა ეს ალეკო ბერიძე, ქალაქიდან გავაქრობთო. 26 იანვარს რუსთავში საკონსტიტუციო განხილვაზე ჩამოვიდნენ ზაქარია ქუცნაშვილი და მანანა კობახიძე. ქუცნაშვილსაც გადავეცი წერილი, როგორ ხდებოდა პარტიის დისკრედიტაცია და როგორ უვსებდნენ მანქანებში ახალი მთავრობის წევრობის ანკეტებს. ამ ყველაფერზე პოლიტსაბჭოს მიერ რეაგირებას ველოდებით და მოულოდნელად, მანანა კობახიძე აკეთებს განცხადებას, რომ ალეკო ბერიძე და კიდევ პარტიის 9 წევრი, გარიცხულები არიან პარტიიდან. ასეთი რეაგირება მოჰყვა ჩვენს მოთხოვნებს. წესდებით, ჩვენ უნდა დავსწრებოდით ჩვენივე გარიცხვის საკითხის განხილვას, რათა პოზიცია დაგვეფიქსირებინა. დოკუმენტიც კი ვერ მომცეს, რის საფუძველზე მოხდა ყველაფერი.

**— ბატონო ალექსანდრე, რუსთავში თქვენ მოიგეთ არჩევნები, როგორც პარტიული, ასევე მაჟორიტარულიც, როგორ ფიქრობთ, რატომ ჩამოგიშორეს?**

— ახლა მიმდინარეობს პირველი ოქტომბრის დროს მიღებული შედეგების გადაწერა. მაშინ ხომ ვერ მოახერხეს და ახლა შეძლეს გაყალბება. ასეთი სიტუაციაა არა მარტო რუსთავში. არადა, თუ გაიხსნა რუსთავის კვანძი, შესაძლებელია იმ სქემის გახსნა, რაც მთელ საქართველოშია.

**— მანანა კობახიძემ თქვენ დაგდოთ ბრალი, რომ არჩევნებში ხელს უშლიდით ზვიად ძიძიგურს.**

— ხელს ვუშლიდით და მაინც გავამარჯვებინეთ? ანდა, თუ ასე იყო, სამი თვის მერე მეუბნებიან? ზვიად ძიძიგურმა ეს საჯაროდ უარყო და ამას რაღა ვუყოთ? რომელს დავუჯეროთ? ესენი ახლა ეყრდნობიან ისეთ ხალხს, როგორიცაა სოსო პირველი, რესურსცენტრის უფროსი და „ნაცების“ აქტივისტი, მარიკა ფიროსმანაშვილი — მერიის პრესსამსახურის ყოფილი უფროსი, სოსო მაზმიშვილი — „ნაციონალების“ ყოფილი გუბერნატორი, გურანდა სირბილაძე, ყოფილი სკოლის დირექტორი და აქტივისტი, ანდრო პირველაშვილი, კიდევ რამდენი „ნაციონალი“ აქტივისტი ჩამოვთვალო? ესენი არიან დღეს „ოცნების“ წევრები და ჩვენ ვართ ჩანერგილები? იქნებ ბატონმა ბიძინამ გამონახოს დრო და პირადად მომისმინოს, რადგან თუ ასე გაგრძელდა, „ოცნება“ მუხტისგან დაიცლება და თვისებრივად, შინაარსობრივად შეიცვლება.

***„ვერსიამ“ იმის გარკვევაც სცადა, რა არგუმენტები ჰქონდათ მანანა კობახიძესა და დავით საგანელიძეს, როცა „ოცნებაში“ ჩანერგილების თაობაზე საუბრობდნენ, თუმცა მათთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. არადა, თუ ბრალდებებს პასუხი არ გაეცა, პარტიული რყევები შეიძლება კიდევ უფრო შორს წავიდეს და საზოგადოებაში უპასუხოდ დარჩეს მთავარი კითხვა — რა ხდება, „ოცნებამ“ არჩევნები „ნაციონალების“ ჩანერგილი ხალხით მოიგო?***

# მერიაში დასაქმებული „ფეშენმომღერლების“ სკანდალური სია და განტევების ვაცადქცეული თეატრალური კვარტეტი

*მე-8 გვერდიდან*

ამ საკითხთან დაკავშირებით **კახა ცისკარიძეს** თავისი სიმართლე და პოზიცია გააჩნია: **„ეს ყველაფერი აბსოლუტური სიცრუეა. ვინც ამბობს ამას, მოვიდეს და პირდაპირ დამელაპარაკოს. კი, ბატონო, ჩვენ მონაწილეობა მიგვიღია ტენდერებში და მახსოვს, მხოლოდ ერთი მოვიგეთ. ასე რომ, ყველა პროექტში გამარჯვებულები ჩვენ ნამდვილად არ ვყოფილვართ. კონკურენტი მხოლოდ ერთი კომპანია გვყავდა. მან ვერ წარმოადგინა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც ტენდერის პირობებით იყო გათვალისწინებული იმიტომ, რომ მერიას სერიოზული მოთხოვნები ჰქონდა. ჩვენ ისინი დავაკმაყოფილეთ და ამიტომ გავიმარჯვეთ. სულ ეს იყო, და ყველა ეს ბრალდება აბსურდია. რაც შეეხება „თეატრალურ კვარტეტსა“ და მერიაში დასაქმებულ ცნობილ სახეებს, ამაზე ვერაფერს ვიტყვი“.**

ხომ ვთქვი, ყველას თავისი სიმართლე აქვსმეთქი, თუმცა თავის დროზე, თემურ თათარაშვილი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში აცხადება, — კახუჩელამ მითხრა, ამიერიდან, სადაც მე მომინდება, იქ იმღერებო, რაზეც ცისკარიძე პასუხობს: **„მსგავსი არაფერი მახსოვს, თუმცა ერთი რამის თქმა დანამდვილებით შემიძლია — მე ერთ-ერთი მათგანი ვიყავი, ვინც თათარაშვილის შეწყალების თხოვნას ხელი მოაწერა და ამიტომ, საერთოდ გაუგებარია, რატომ საუბრობს ასე? დიახ, სწორედ ჩვენ შევიტანეთ გარკვეული წვლილი ციხიდან მის გამოსვლაში. ერთი ადამიანისა კი განსაკუთრებით მადლიერი უნდა იყოს, ეს გახლავთ ლელა წურწუმია, რომელსაც ასევე ცუდ კონტექსტში მოიხსენიებს ხოლმე და არ მესმის, რატომ. რაც შეეხება იმას, ვბლოკავდით თუ არა ჩვენ ვიღაცებს, გეტყვით, რომ მე და სტეფანე ვართ პროდიუსერები, ამიტომ ჩვენ ვწყვეტთ, რომელი მომღერალი მოვიწვიოთ ჩვენს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაზე. ყოფილა შემთხვევა, მე არ მიუწვევივარ ვიღაცას, მაგრამ მგონი, ეს საწყენი არ არის“.**

შესაძლოა, ეს საწყენი, მართლაც, არ არის, გემოვნებაზე ხომ არ დავობენ, მაგრამ რთულია, გულგრილად მიიღო ინფორმაცია, როგორ ფინანსდებოდა ოკუპირებული საქართველოდან დევნილი მოსახლეობის ჯიბიდან ჩინოვნიკებისა და მათთან დაახლოებული პირების „ტუსოვკები“. „ვერსიის“ წყარო კი აქცენტს წინასაარჩევნო კამპანიაზე აკეთებს, როდესაც პრეზიდენტის ფონდიდან კულტურული ღონისძიებების ჩასატარებლად თუ პიარკამპანიისთვის მილიონობით ლარი გამოიყო:

**„დიახ, წინასაარჩევნო ღონისძიებებისთვის 40 მილიონი გამოყვეს. წარმოუდგენელია, რაში სჭირდებოდათ ამხელა თანხა მაშინ, როცა დუეტ „ჯორჯიას“, როდესაც მათ კონცერტში 10 000 ლარი მოითხოვეს, უთხრეს, რომ ამხელა თანხას ვერ გადაიხდიდნენ, თუმცა სიტუაცია ისე დაიძაბა, ნეკა სებისკვერაძეც კი ჩაერია, კილაძისთვის „პადდერჟკა“ რომ მიეცა. მეტსაც გეტყვით, როდესაც რატიმ და მაკამ ფესტივალ „ახალ ტალღაში“ გაიმარჯვეს და მოგვიანებით, ისინი ვარსკვლავის გახსნაზე, იურმალაში მიიწვიეს, ლელა კილაძემ, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, უბრძანა, ფეხის გადგმა არ გაბედოთ, თორემ არ გაგახარებთო“...**

„ვერსიამ“ ინფორმაციის გადამოწმება დუეტ „ჯორჯიასთან“ სცადა, რომელმაც ინფორმაცია დაადასტურა.

**„კი.. მაშინ რაღაც გაუგებრობა მართლაც მოხდა, თუმცა ეს მხოლოდ ფინანსური ფაქტორებიდან გამომდინარე არ ყოფილა... პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ვართ მომღერლები და ჩვენი საქმე პოლიტიკაში ჩარევა ნამდვილად არაა. იმ სიტუაციაში დუეტი „ჯორჯია“ მხარე ვერანაირად ვერ გახდებოდა, ეს იყო უმთავრესი, თუმცა ფინანსური საკითხიც ერთ-ერთი ფაქტორი იყო... რაც შეეხება „ახალ ტალღას“, ამ საკითხთან დაკავშირებით, კომენტარისგან თავს შევიკავებ, ალბათ, ასე სჯობს...“**

ასეთი მოკრძალებული კომენტარით შემოიფარგლა **რატი დურგლიშვილი**, კონფიდენციალური წყარო კი „ვერსიასთან“ სქემას ბოლომდე შიფრავს:

**„მერია-კულტურის სამინისტრო-პრეზიდენტის ადმინისტრაცია, ყველა რგოლი იყო ამ ჭაობში ჩაფლული, სხვებს კაპიკებს უთვლიდნენ, თვითონ კი წლების განმავლობაში, თავზე იმხობდნენ ღამის კლუბებს, ათასებს ხარჯავდნენ. ყველა ტენდერი მათ ხელთ იყო, გარე განათება, საახალწლო ნათურები, „ქეთო და კოტე“, „ვერის უბნის მელოდიები“... უზარმაზარი თანხა ტყდებოდა ამ ყველაფრიდან. კორტესი რომ ჩამოიყვანეს და კონტრაქტში პირდაპირ ჩაუწერეს, კლიპში აუცლიებლად სოფო ნიჟარაძესთან უნდა იცეკვოო, იცით, რამდენი გადაიხადა საქართველოს მოსახლეობამ ამ ახირებაში? ნახევარი მილიონი. და დაანებონ ამ „თეატრალურ კვარტეტს“ თავი, თურმე ხელფასს უხდიდნენ ამ ბიჭებს... ერთი, ვინმე დათვალოს, ნიჟარაძის კლიპები, კაბები და სეირნობები რამდენი ჯდებოდა!!!“**

ვერაფერს იტყვი, ციფრებიც შთამბეჭდავია და ინფორმაციაც. თუმცა მასალის ოპერატიულობიდან გამომდინარე, ყველა ნახსენებ პირთან ფაქტების გადამოწმება ვერ მოხერხდა და თუ ვინმეს კონტრარგუმენტები გააჩნია, ჩაიღილინოს, ჩვენ კი სიამოვნებით მოვისმენთ თუნდაც „ქურთი მეეზოვის სიმღერას,“ რომელიც ჯერჯერობით, არავინ იცის, რამდენი დაგვიჯდა!

## ირაკლი გილაური: „ჩვენ ვეხმარებით კლიენტებს, რომ კრედიტები გადაიხადონ“



„საქართველოს ბანკმა“ ბოლო ორი წლის განმავლობაში, 35 ბინა დაისაკუთრა, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია, — ამის შესახებ ბანკის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი გილაურმა ფინანსთა მინისტრთან შეხვედრის დასრულების შემდეგ, ბოლო პერიოდში პრობლემური კრედიტების გამო გამართული აქციების კომენტარისას განაცხადა.

**„ზოგადად, აქ მევახშეებისა და მათი კლიენტების ურთიერთობაზეა საუბარი. ჩვენ გადავადებული გვაქვს ძალიან ბევრი სესხი, ბოლო ორი წლის განმავლობაში, მხოლოდ 35 ბინა გვაქვს დასაკუთრებული“,** — აღნიშნა გილაურმა და განაცხადა, რომ ეს დაბალი მაჩვენებელია, რადგან იპოთეკურ პორტფელში სულ 10 ათასი სესხია. გილაურის განმარტებით, ასეთი ვითარება იმის მანიშნებელია, რომ ბანკი მომხმარებლის დახმარებას ცდილობს.

**„ჩვენ გადავადებული გვაქვს ძალიან ბევრი სესხი და ვეხმარებით ჩვენს კლიენტებს, რომ კრედიტი გადაიხადონ“.**

„თიბისი ბანკის“ გენერალური დირექტორის ვახტანგ ბუცხრიკიძის განცხადებითაც, პრობლემა სხვა მიმართულებით მოითხოვს მუშაობას. კერძოდ, მისი თქმით, პრობლემას იწვევს ის ფინანსური კომპანიები, რომლებიც სესხებს კლიენტურის შესწავლის გარეშე იძლევიან, რაც რისკებს ზრდის.

*commersant.ge*

# „უგულავა წამლავს თბილისს, ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა საფრთხეშია!“




მერაბ ბერიძე

**ამ დღეებში, დიდი ლილოს მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა და გზა გადაკეტა. აქციის მონაწილეები ნაგავსაყრელთან დაკავშირებულ პრობლემებს აპროტესტებდნენ. შპს „თბილსერვის ჯგუფის“ ნაგვის მანქანები ტერიტორიაზე არ შეუშვეს. მოსახლეობა ამბობს, რომ 2 წლის წინ, როცა პოლიგონი შემოღობეს, მათ უთხრეს, რომ ამ ადგილზე თანამედროვე გადამამუშავებელი ქარხანა უნდა აშენებულიყო, რაც არ გაკეთებულა. ამის გამო, ადამიანებს გაუსაძლის პირობებში უწევთ ცხოვრება. მათი თქმით, მძიმე სუნის გარდა, საყოფაცხოვრებო ნარჩენები ბევრ პრობლემას ქმნის, დაბინძურებულია მიმდებარე ტერიტორია.**

„უფლებადამცველთა გაერთიანება“ და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა „დედამიწის მეგობრები“ მერიას მიმართავენ, ლილოს ნაგავსაყრელზე გარემოს დაცვის აუდიტი ჩატარდეს. მათი განცხადებით, ნაგავსაყრელი ჯანმრთელობის მხრივ, საფრთხეს უქმნის ახლომდებარე მოსახლეობას. გაერთიანების თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე განმარტავს, რომ ლილოს ნაგავსაყრელი თბილისის ზღვასა და აეროპორტის უსაფრთხოებას პრობლემებს უქმნის:

**„თბილისის მერიის მიერ ლილოს ნაგავსაყრელის გარემოს დაცვის ნორმების დარღვევით მშენებლობისას, თბილისის ზღვა ძალზე ბინძურდება, რადგან სამგორის ზემო მაგისტრალის არხში სხვადახვა სახის ფეკალიები და ნაგავი იყრება, რაც დედაქალაქის მოსახლეობას, წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით, პრობლემებს უქმნის. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია „იკაოს“ ნორმების თანახმად, ღია ტიპის ნაგავსაყრელები 12 კმ-ით მაინც უნდა იყოს დაშორებული აეროპორტებთან მაშინ, როცა თბილისის აეროპორტი ლილოს ნაგავსაყრელიდან 7 კმ-ის რადიუსშია, რას საფრთხეს უქმნის საავიაციო ხომალდებს აეროპორტიდან აფრენა-დაშვებისას“.**

**პროტესტს მწვანეთა მოძრაობის თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე შეუერთდა:** „ლილოს ნაგავსაყრელ გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ გაკეთებულა, რითაც დაირღვა „ორჰუსის კონვენცია“. აუდიტის ჩატარება დაამტკიცებს იმას, რა ხარვეზები და გადაცდომებია დაშვებული ნაგავსაყრელთან დაკავშირებით სახელმწიფოს მხრიდან“.

**უფლებადამცველების ინფორმაციით, ლილოსა და ახლომდებარე სოფლებში ცხოვრება, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ნაგავსაყრელი, ჯანმრთელობის მხრივ, პრობლემებს რომ უქმნის ახლომდებარე მოსახლეობას, მათთან შეხვედრისას „თბილსერვის ჯგუფის“ დირექტორმა, თორნიკე შიოლაშვილმაც დაადასტურა, რომელიც ისანი-სამგორის გამგებელ თემურ გრიგალაშვილთან ერთად, აქციაზე იმყოფებოდა. მათი განცხადებით, ნარჩენების ფილტრაციის საპროექტო სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ერთ თვეში დასრულდება. აქციის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ნაგავსაყრელის აშენებაში აქტიურად მონაწილეობდა თბილისის ვიცე-მერი ტარიელ ხიზანეიშვილი, რომელიც პირდებოდა მოსახლეობას, რომ აქ ნაგვის გადამამუშავებელი ქარხანა აშენდებოდა, რაც არ გაკეთდა. ადგილზე იმყოფებოდა „ქართული ოცნება — თბილისელების“ წარმომადგენელი გულიკო ზუმბაძე. მისი თქმით, ტერიტორიაზე ნაგავსაყრელი უკანონოდაა განთავსებული:**

**„ნაგავსაყრელი აშენებულია კერძო მიწებზე, ამ საკითხთან დაკავშირებით, დღესაც მიმდინარეობს სასამართლო დავა. მაცხოვრებლებს დაპირდნენ, რომ აშენდებოდა ნაგვის გადასამუშავებელი ქარხანა და ასე დაითანხმეს, თუმცა ახლა ნაგავი ძირს იყრება, ზევიდან პოლიეთილენის პარკს აფარებენ, რის გამოც, მიმდებარე ტერიტორიაზე საშინელი სუნი დგება. ეს ტერიტორია ადრე თბილისის გარესოფლები იყო, ახლა უკვე თბილისს ეკუთვნის. ნაგავსაყრელს ორი მისასვლელი აქვს და ორივე მხარეს, დაახლოებით, 300-300 ადამიანი დგას. ისინი ამბობენ, რომ არ გახსნიან გზას, რადგან ნაგავსაყრელი დასახლებასთან ასე ახლოს არ უნდა იყოს“.**

**ადგილობრივების განცხადებით, ნაგავსაყრელი, დაახლოებით, 6 თვის წინ გაიხსნა და მას შემდეგ მიმდებარე ტერიტორიაზე გაუსაძლისი სუნი დგას:** „საშინელი სუნია, სახლშიც კი ვერ ვჩერდებით, გარეთ გამოსვლაზე აღარ ვლაპარაკობ. ბავშვები ვერ გამოგვყავს, უკვე ძალიან ცუდად მოქმედებს ჩვენზე, გვაქვს გულისრევის შეგრძნება და თავისტკივილი. ვითხოვთ, პირადად გიგი უგულავამ მოგვაქციოს ყურადღება, რადგან უშუალოდ, მისი განკარგულებით გადმოვიდა ეს ნაგავსაყრელი გლდანიდან ამ ტერიტორიაზე“.

**ადგილობრივ მცხოვრებთა განცხადებით, ისინი მორიგეობას დააწესებენ და მანამდე არ შეუშვებენ ე.წ. ნაგვის მანქანებს ტერიტორიაზე, სანამ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება. მოსახლეობა პრობლემის მოგვარებასა და გიგი უგულავასგან კონკრეტულ პასუხს ითხოვს: „გიგი უგულავა წამლავს თბილისს, ამას არ დავუშვებთ“, „ჩვენი ბავშვების ჯანმრთელობა საფრთხეშია!“, „თბილისის ზღვა, მკვდარი ზღვა“. სამდღიანი პიკეტირების შემდეგ, მერია დათანხმდა და ობიექტზე გარემოს დაცვის სამინისტროს ინსპექტორები შევიდნენ. მოსახლეობა, მერიის მხრიდან რეაგირებას დაელოდება. სპეციალისტების მიერ ვიზუალური დასკვნის შემდეგ, ბრძანება გაიცემა და სპეციალური დანადგარებით აღჭურვილი თანამშრომლები ობიექტზე არსებულ ჰიგიენურ პირობებს შეისწავლიან.**

**„ვერსიასთან“ საუბრისას, უფლებადამცველი ლაშა ჩხარტიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში არსებული 73 ნაგავსაყრელიდან, თანამედროვე სანიტარული პოლიგონის ევროსტანდარტებს არც ერთი შეესაბამება:** „ერთადერთი, მიახლოებულია რუსთავის ნაგავსაყრელი და შედარებით უკეთეს მდგომარეობაში უნდა იყოს ლილოს ნაგავსაყრელიც, თუმცა აქ პრობლემები იქიდან დაიწყო, რომ ტერიტორიის შერჩევა არასწორად მოხდა. ეს სივრცე ნიადაგის მაღალი ნაყოფიერებით გამოირჩეოდა. საქართველოს მწირმიწიანობის გათვალისწინებით, ნაგავსაყრელისთვის მაინცდამაინც შავმიწა, ნაყოფიერი ნიადაგის გამოყენება, მართებული არ იყო. საკუთრების უფლებაც შეილახა — ოცამდე ოჯახს საარსებო სახნავ-სათესი მიწა წაართვეს. პრობლემა იყო ასევე, არქეოლოგიური თვალსაზრისით. თბილისის შემოგარენი არქეოლოგიური მასალებით მდიდარია და ამის შესწავლა უნდა მომხდარიყო, თუმცა რაზეა საუბარი, თბილისშიც და, ზოგადად, ქვეყნის მასშტაბით, წინა ხელისუფლებამ ამა თუ იმ ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლის ვალდებულება გააუქმა. დღემდე, ეს დანაშაულებრივი გადაწყვეტილება შესწორებული არ არის.

და კიდევ, ლილოში სახეზეა ეკოლოგიური ფაქტორი. ნაგავსაყრელი სოფელთან საკმაოდ ახლოსაა. დასახლებას მსგავსი ტიპის პრობლემები ისედაც აქვს, აქ პოლიეთილენის გადამამუშავებელი ქარხანა მუშაობს. ნარჩენების პოლიგონის არსებობა სამგორის არხთან ასევე მიუღებელია. სტიქიური მოვლენების პირობებში, შესაძლებელია, მაღალი დოზით დაბინძურდეს მტკნარი წყლის რესურსი, რომელიც თბილისის ზღვას უერთდება. იგი, თავის მხრივ, დედაქალაქის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის წყალმომარაგების არხს წარმოადგენს. ამ მხრივაც ტერიტორია არასწორად იყო შერჩეული. ეს მიუღებელი იყო როგორც მოსახლეობისთვის, ასევე ჩემთვის, როგორც გარემოს დამცველისთვის, და ეკოლოგისთვის. სამწუხაროდ, მაინც ასე გაკეთდა, რადგან წინა ხელისუფლება კანონისადმი გულგრილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა“.

**ჩხარტიშვილის თქმით, ლილოში ამოცანა არა გადამამუშავებელი საწარმოს შექმნა, არამედ ნარჩენების სეპარაციაა:** „საჭიროა განცალკევებული შეგროვებისა და გატანის სისტემების ორგანიზება. დღეისთვის, საქართველოში ნარჩენების ძირითადი კომპონენტების, ფრაქციების გადამუშავებაზე მოთხოვნა ისედაც არსებობს. იგულისხმება შუშა, ქაღალდი, ლითონი და პოლიმერული მასალებიც კი, მაგრამ მათი შეგროვების ორგანიზებული სისტემები არ არის ჩამოყალიბებული, თვითმმართველობების მიერ. სამოქმედო პროგრამაში ჩადებულია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უნდა უზრუნველყოს ამგვარი სისტემების დანერგვა ქალაქებში. იგი ოთხწლიან ვალდებულებას წარმოადგენს, მეტი კონკრეტიკა მოცემული არ არის. იმედია, ამ საარჩევნო ციკლის პირობებში, შესრულებული იქნება ეს და სხვა დაპირებებიც".

**მანამდე კი, უფლებადამცველის შეფასებით, არასახარბიელო მდგომარეობაზე პასუხისმგებელი დედაქალაქის მერია და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლები არიან:** „სულ მცირე, საკუთარი აზრი უნდა გამოეთქვათ, იმავე ნარჩენების სამმართველოს ყოფილ უფროსს, ჩანქსელიანსა თუ სხვებს. ისინი, რბილად რომ ვთქვათ, პრინციპულები არ იყვნენ. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ჯერ კიდევ თანამდებობებზე რჩებიან. ამავე დროს, „ქართული ოცნების“ გარემოს დაცვის ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი და ამ სფეროში პროგრამის ავტორი ვარ. ვცდილობთ, დოკუმენტში მოცემული პრინციპული და მნიშვნელოვანი დებულებები შესრულებული იყოს. შეხვედრა გვქონდა გარემოს დაცვის მინისტრთან, ვისაუბრეთ და გარკვეული პოზიტიური ცვლილებები შეინიშნება, თუმცა ბევრი შენიშვნაც გვქონდა და დაგვპირდნენ, რომ გაითვალისწინებენ, იმოქმედებენ პროგრამის შესაბამისად. ეს მათი პოლიტიკური ვალდებულებაა, რადგან ხელისუფლებაში არიან“.

**წლების განმავლობაში, გლდანის მოსახლეობა, ნაგავსაყრელთან დაკავშირებით, პროტესტს გამოხატავდა. პოლიგონი გადაიტანეს, გლდანელებს ეშველათ, მაგრამ ის შემთხვევაა, როცა ერთი საქმე კეთება და მეორე ფუჭდება. ახლა ლილოელები არიან მსგავს დღეში, რადგან დანაპირები არ შესრულდა და სანიტარული ნორმები სრულიად დაუცველია. მართლაც, გაუსაძლისი ეკოლოგიური მდგომარეობა რომ არ ყოფილიყო, მოსახლეობა ასეთ პერმანენტულ აქციებს არ მოაწყობდა. ახალმა მთავრობამ პრობლემას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს, რომ ქვეყანა ერთ დიდ სანაგვე პოლიგონს არ დაემსგავსოს. ბოლომდე დაცული უნდა იყოს ნებისმიერი ადამიანის კონსტიტუციური უფლება — იცხოვროს ეკოლოგიურად უსაფრთხო გარემოში.**

# რატომ არის ნაჩქარევი საყოველთაო დაზღვევის თებერვალში დაწყება და რა მომსახურეობას გვთავაზობს სახელმწიფო



ნინო ხარშილაძე
საზოგადოება



**თებერვლის ბოლოდან, საქართველოში საყოველთაო დაზღვევის პროექტი ამოქმედდება. ამისათვის ბიუჯეტიდან 505 760 ლარია გამოყოფილი, რომლითაც 2 მილიონ ადამიანს დააზღვევენ. უნივერსალური ჯანდაცვაზე გადასვლა ნაჩქარევად მიიჩნევს „ჯანმრთელი სამყაროს“ თავმჯდომარე, ჯანდაცვის ექსპერტი ზურაბ ფუტკარაძე, რომელიც „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს:**

„მისასალმებელია, რომ საყოველთაო დაზღვევა იქნება და საქართველოს ყველა მოქალაქისთვის პირველადი ჯანდაცვის სერვისის მომსახურება ხელმისაწვდომი გახდება. ახალმა ხელისუფლებამ სადაზღვევო სისტემის ამოქმედება ორად გაყო. თებერვლის ბოლოდან მინიმალური სადაზღვევო მომსახურეობა შემოდის, ხოლო ივლისიდან ეს პაკეტი უფრო სრულყოფილი იქნება. ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ სრულყოფილი დაზღვევა რომ შემოგველო, თანხა მთელ წელზე არ გვეყოფოდაო.

რეალობაა ისიც, რომ უკვე წლებია, ადამიანები ჯანდაცვის მომსახურეობის გარეშე არიან და 5-6 თვესაც მოითმენდნენ. სჯობდა, სამედიცინო დაწესებულებების ბაზა სრულად მომზადებულიყო. 2 მილიონი ადამიანი უკვე დაზღვეულია და ამჯერად სახელმწიფომ 2 მილიონზე მეტი ადამიანი უნდა დააზღვიოს. საავადმყოფოებში პაციენტთა მიმართვიანობა ძალიან გაიზრდება, ამიტომ ბაზა მოსამზადებელია. წინასწარ ჩასატარებელია გათვლები, როგორი იქნება პოლიკლინიკებში მიმართვიანობა, შესასწავლია სტატისტიკა. ზოგადად, ავადობა ქალაქში სულ სხვაა, რაიონში — სხვა, მთის დასახლებებში კიდევ სხვა. შესასწავლია, არის თუ არა რეგიონში ყველა სპეციალისტი. 100 საავადმყოფო წინა ხელისუფლების მხოლოდ პიარი იყო და არ ემყარებოდა რაიმე გათვლებს. იგივე შეცდომა ახალმა ხელისუფლებამაც რომ არ დაუშვას, ეს გასათვლელია. დაზღვევის ამოქმედება თებერვალში არც იყო გასაკეთებელი. მარტო ფინანსური გათვლები და უზრუნველყოფა საქმეს არ შველის. შესასწავლია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ამიტომაც სჯობდა, არ გვეჩქარა და ეს ბაზა სრულად მომზადებულიყო, თორემ ძალიან ბევრი საჩივარი წავა. ასევე დასაზუსტებელია ამ სადაზღვევო პაკეტში, რა მომსახურეობა შედის. მოსახლეობის მოლოდინი ძალიან დიდია. მათ ჰგონიათ, რომ ეს დაზღვევა ყველაფერს დაუფარავს, ამიტომ საჭიროა დოკუმენტის შემუშავება. ორ კვირაში სადაზღვევო სისტემა შემოდის, დოკუმენტი კი ჯერ არ არსებობს და ხელისუფლება მხოლოდ ზეპირად საუბრობს.

მაგალითისთვის გეტყვით, რომ საყოველთაო დაზღვევის შემთხვევაში, რომელიც წინა ხელისუფლებამ შემოიღო, მთავრობის 218-ე დადგენილების მე-3 პუნქტი ორაზროვნად იკითხება, კერძოდ კი, იქ წერია, რომ ექიმის დანიშნულებისამებრ, ელექტროკარდიოგრაფიული, ექოსკოპიური და რენდგენოგრაფიული გამოკვლევები, გეგმიურ ქირურგიულ ჰოსპიტალიზაციასთან დაკავშირებული ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები, პაციენტისთვის უფასო უნდა იყოს. არადა, კომპიუტერული ტომოგრაფიის უფასოდ გაკეთებაზე დაზღვეულ პაციენტს უარს ეუბნება. კომპიუტერული ტომოგრაფია ინსტრუმენტულ გამოკვლევებში შედის, მაგრამ იმის გამო, რომ ეს მომსახურება ძვირია და სადაზღვევო პაკეტში სიტყვა-სიტყვით არ წერია კომპიუტერული ტომოგრაფია, სადაზღვევო კომპანიები, ასე ვთქვათ, პაციენტთა სამედიცინო ტერმინოლოგიების უცოდინრობით სარგებლობენ, ატყუებენ და მათ უფლებებს არღვევენ, ამიტომაც დეტალურად, ხალხისათვის გასაგებ ენაზე, უნდა იყოს გაწერილი, რა მომსახურეობას მოიცავს სადაზღვევო პაკეტი.

*დასასრული მე-11 გვერდზე*

მერაბ ბერიძე

**თბილისის 68-ე საჯარო სკოლის შენობაში შეჭრილი 35 სოციალურად დაუცველი ოჯახი, ხელისუფლებას თავშესაფარს სთხოვს. ისინი მიტოვებულ, ამორტიზებულ ნაგებობაში 22 იანვრის შემდეგ იმყოფებიან. მათი განცხადებით, როდესაც დედაქალაქის მთავრობას მიმართეს თავშესაფრის მოთხოვნით, მერიაში განუცხადეს, მათ ბალანსზე არსებულ ნებისმიერ თავისუფალ ობიექტში შესულიყვნენ. მას შემდეგ ათონელის ქუჩაზე, აღნიშნულ შენობაში იმყოფებიან, სადაც ყველა კომუნიკაცია მოშლილია.**

# „არ გვინდა ტანკები, ჩვენ გვინდა სახლები“




სოციალურად დაუცველები ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძეს სთხოვენ, სკოლის შენობას ელექტროენერგია მიეწოდოს, რადგან მათ შორის მოხუცები, ბავშვები და მეძუძური დედები იმყოფებიან. მათივე განმარტებით, სულ ერთია, ისინი შენობაში იქნებიან თუ ქუჩაში, ვინაიდან მათ ხელისუფლება ყურადღებას არ აქცევს. დაუცველების განცხადებით, ჯანდაცვის მინისტრმა, დავით სერგიენკომ ბინის ქირის გადახდა შესთავაზა. სკოლაში შესულმა მოქალაქეებმა ხელშეკრულებებს ხელი მოაწერეს, თუმცა მასში არ იყო დაფიქსირებული, რამდენს გადაიხდიდა ჯანდაცვის სამინისტრო. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ თითოეულ ოჯახს სამინისტროდან გადაეცემოდა ყოველთვიურად 200 ლარი, თუმცა სკოლაში შეჭრილებმა ამ ფასად ბინები ვერ იშოვეს. არიან ისეთებიც, ვისაც პირველი თვის მერე თანხა, საერთოდ აღარ მისცეს.

დაუცველები მოთხოვნებს ლამის ყოველდღე, ჯანდაცვის სამინისტროსა და თბილისის მერიასთან საპროტესტო აქციებზე აყენებენ. სამწუხაროდ, რეაგირება ნაკლებია და გვირაბის ბოლოს, სინათლე ისევ არ ჩანს.

„ვერსიასთან“ საუბრისას, 68 წლის ბატონი გივი (გვარს არ ასახელებს) ამბობს, რომ წინა ხელისუფლების დროს მათთვის იმდენი სახსრები იყო გამოყოფილი, ყაირათიანად დახარჯვის შემთხვევაში, ნახევარ საქართველოს ეყოფოდა. მისივე თქმით, საერთაშორისო დონორების მიერ გამოყოფილი ფული გაანიავეს და სოციალურად შეჭირვებული ადამიანები ისევ ქუჩაში დარჩნენ: **„არავინ იცის, რაში დაიხარჯა ამხელა თანხები. უმძიმეს მდგომარეობაში ვართ. ბინის ქირაობის კი არა, ოჯახის წევრების გამოკვების საშუალება აღარ გვაქვს, ამიტომ, წყალში გადახტომას, ვარჩიეთ, ამ თავისუფალ შენობაში შემოვსულიყავით და პროტესტი მაინც გამოგვეხატა. დაახლოებით, ორასი ადამიანი ვართ აქ. თავის დროზე, მერიაში გვითხრეს, ნახეთ სკოლა ან ბაღი, რომელიც არ ფუნქციონირებსო. მოვძებნეთ ასეთი და შემოვედით. სკოლა ავარიულია, მილები აკავებს ამ კედლებს, დაწყებულია ნგრევის პროცესი. წასასვლელი რომ გვქონდეს, პატარებთან ერთად, აქ როგორ დავიძინებდით? ღმერთმა დაგვიფაროს, პატარა მიწისძვრამ, შეიძლება, მიწასთან გაასწოროს შენობა. იმასაც ამბობენ, რომ ჩვენნაირ ხალხს ქონება სხვაგან აქვს დარეგისტრირებული და აქ დამატებით შემოსულები არიანო. არ გამოვრიცხავთ, სადღაც ასეთი შემთხვევაც იყოს, მაგრამ ერთი-ორი უკულმართის გულისთვის, ყველა დანარჩენი რატომ უნდა გაიჭყლიტოს? საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ აქ მართლაც, სოციალურად დაუცველები ვართ და სხვა გზა არ დაგვრჩენია“.**

მისივე თქმით, მაინცდამაინც ამ სკოლაში ყოფნა მიზნად არავის აქვს დასახული: **„თანახმა ვართ, ქალაქის ნებისმიერ ადგილას, ალტერნატიული ფართით დაგვაკმაყოფილონ. მით უმეტეს, ზამთარში, რათა ღია ცისქვეშ არ დავრჩეთ. რაც შეეხება ქირის გამოყოფას, პირდაპირ გეტყვით, იტყუებიან, ამისთვის სამ თვეს ვშიმშილობდით. როგორც იქნა, მოვიდნენ და ქირის გადახდას შეგვპირდნენ, ჩვენც წამოვედით, ერთი თვე გადაგვიხადეს და მეორედ, აღარ აპირებდნენ. დავრეკეთ, მაგრამ თანხის გამოყოფას აჭიანურებდნენ, გვპირდებოდნენ, კონკრეტულ დღეს გვითქვამდნენ და ფულს არ გვაძლევდნენ. რეალურად, თანხა დეკემბერში მოგვცეს და მერე გადაგვაგდეს. ამის გამო, ჩვენს შორის ნდობა დაიკარგა და იძულებულნი გავხდით, ეს ფართი დაგვეკავებინა. მეორე მხრივ, ორასი ლარი ქირის ფული ათსულიან ოჯახს რაში ეყოფოდა?“**

ბატონ გივის ასევე ვერაფრით გაუგია, მერიის ოცლარიანი ვაუჩერები სოციალურად დაუცველებზე რატომ არ ვრცელდება: **„ქვეყნის ეკონომიკა ადგილიდან არ იძვრის, ხალხი გაჭირვებულია და ამ დროს, სახელმწიფო მოხელეებს ამხელა ხელფასები აქვთ, ჩვენზე კი, ყველაზე გაჭირვებულ ადამიანებზე, მერიის ვაუჩერებიც არ ვრცელდება. ბინები დავკარგეთ, აბონენტები აღარ ვართ და შეღავათსაც არ გვაძლევენ. ნუთუ არ შეიძლებოდა, ეს ოცი ლარი სხვა გზით მოეცათ. სოციალურად დაუცველის სტატუსი გვაქვს და ეს პირველ რიგში, ჩვენ გვეკუთვნოდა. როცა თავისთვის სჭირდებათ, ათასნაირ გზას გამონახავენ და ჩვენთვის ვერაფერი მოიფიქრეს, პატარა შეღავათი რომ გაეწიათ“.**

ყოფილ საჯარო სკოლაში შესულ დაუცველებს სოლიდარობას უცხადებენ სტუდენტური ორგანიზაცია „ლაბორატორია 1918-ის“ წარმომადგენლები. ისინი ყველა თბილისელ მოქალაქეს მოუწოდებენ, გაჭირვებულ ადამიანებს გვერდით დაუდგნენ, რადგან ნებისმიერი მათგანი, შეიძლება, ასეთივე გაუსაძლის ვითარებაში აღმოჩნდეს: **„შეწყდეს გაჭირვებული ხალხის დევნა, სისხლის სამართლის საქმეები, სტუდენტური ამბოხი რომ არ მოხდეს“, „არ გვინდა ტანკები, ჩვენ გვინდა სახლები“, „თავშესაფარი ხალხს“, „სოლიდარობა სოციალურად დაუცველებს“,** — ასეთი ტრანსფარანტები გამოფინეს „ლაბორატორიის“ სტუდენტებმა 68-ე სკოლის კედლებზე.

გაერთიანების ერთ-ერთი ლიდერის, სანდრო ცაგარელის განცხადებით, ლამაზ კაბინეტებში მომჯდარი ადამიანების ზღაპრები მოსაბეზრებელია და ახლა კონკრეტული საქმეების კეთებაა საჭირო: **„დროზე მოვიდნენ და ამ უსახლკარო ადამიანების პრობლემებით დაინტერესდნენ. დღეს ამაზე მნიშვნელოვანი არაფერია. მოვუწოდებთ მოქალაქეებს, მხარში დაუდგნენ ყველაზე დაჩაგრულ თანამემამულეებს. საცხოვრებელი ყველას უნდა ჰქონდეს“.**

სტუდენტები თანადგომას უცხადებენ ყველა იმ ადამიანს, ვინც დღემდე ასეთ მდგომარეობაშია და წინა ხელისუფლების ძალადობრივი პოლიტიკის გამო, ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა: **„ყველა ადამიანი უნდა იყოს უზრუნველყოფილი საცხოვრებელი ფართით. მთელ სტუდენტობას დავრაზმავთ ამ პრობლემების გადასაწყვეტად. მივმართავთ მთავრობას, მერიას, ვინც ამათი ფული შეჭამა, დროზე მიაქციეთ ყურადღება! ასევე საზოგადოებას, რომლის ვალია, პასუხისმგებლობა გამოიჩინოს და სოლიდარობა გამოხატოს დაუცველი ადამიანების მიმართ. არც ერთ ჩვენგანს გარანტირებული არ აქვს, რომ ხვალ ამ დღეში არ აღმოვჩნდებით. არ შეიძლება ამ ოჯახების ხელისუფლებასთან შიშველი ხელებით დატოვება“,** — ამბობს სტუდენტების მეორე წარმომადგენელი დიტო ხუსკივაძე.

ერთ-ერთი, ვინც პროტესტანტებს შეუერთდა, ასევე სოციალურად დაუცველი დიანა ყიფიანია. იგი აღმაშენებლის 142-ში, ქირით ცხოვრობს და უახლოეს დღეებში, თანხის გადაუხდელობის გამო, ქუჩაში დარჩენა ემუქრება. ჩვენთან საუბრისას აღიარებს, რომ მაისიდან იქ ცხოვრობს და ამ ხნის განმავლობაში, ფული არ გადაუხდია: **„ვერაფერს ვიტყვი, კარგი ხალხია, მაგრამ გუშინ მოვიდნენ და მითხრეს, ჩვენც ძალიან გაგვიჭირდა და სხვა მდგმური უნდა შემოვიყვანოთო. სამი თვეა ველოდები, როგორც სოცდაუცველს, ბინის ქირას მაინც გადამიხდიან. არც ამას მაძლევენ და არც რაიმე დამაიმედებელს მეუბნებიან. რამდენი წერილი დავწერე, დეპუტატ შოთა ხაბარელის შუამდგომლობით გადაგზავნეს კიდეც, ახლა მეუბნებიან, მეორე ეტაპი დაიწყება და შენც მოგცემენო. აღარ გველირსა ამის დაწყება.**

**ამ ხალხს სოლიდარობას ვუცხადებ იმიტომ, რომ მეც ასეთივე მდგომარეობაში ვარ. ხვალ-ზეგ რომ ქუჩაში დავრჩები, ჩემი მშველელი არავინ იქნება. ამ საკითხზე გზა რომ პირველად გადაიკეტა, იქაც ვმონაწილეობდი. მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ისეთი კრიტერიუმები შემოგვთავაზეს, მკვდარი უნდა იყო, რაიმე შეღავათის იმედი გქონდეს. რომ მოვკვდე, რად მინდა მერე სახლი ან კარი? მე ჩემი შვილისთვის ვიბრძვი, თორემ ონკოლოგიური ავადმყოფი ვარ და ხვალ-ზეგ ისედაც მოვკვდები. ჩემი შვილი ქუჩაში რომ არ დარჩეს, ჭერი ამისთვის მინდა, სხვა რამ კი არ მამოძრავებს. შვილი სამსახურიდანაც გამოაგდეს. დღე და ღამე იქ იყო და მაინც გამოუშვეს, უსახსროდ დატოვეს. რატომ გამოაგდეთ-მეთქი და ისეთი თვალებით მიყურებდა, მეშინოდაო, — მიზეზს ეძებდნენ ალბათ, აბა, ეს რა არგუმენტია?“**

ადამიანები, მათ შორის 68-ე სკოლაში, ისე უყურადღებოდ არიან მიტოვებულები, რომ უკვე ეჭვი ეპარებათ, ახალი მთავრობისა და მერიის წარმომადგენლები მათ წინააღმდეგ „შეხმატკბილებულად“ ხომ არ მოქმედებენ. ამას ის გარემოება აფიქრებს, რომ უკვე დაპირებულ ქირის თანხასაც ვერ იღებენ და არც საცხოვრებლით დაკმაყოფილებაზეა საუბარი. აშკარაა, რომ ამ საკითხში კოორდინაციის პრობლემაა და მარჯვენა ხელმა არ იცის, მარცხენა რას აკეთებს. პოლიტიკური ოპოზიცია გასაგები ფორმულით მოქმედებს — **„რაც შეიძლება მეტი პრობლემა უნდა შევუქმნათ ივანიშვილის მთავრობას“.** რა პრინციპით მოქმედებს ამ სფეროში ხელისუფლება, ცოტა არ იყოს, გაუგებარი რჩება. ქუჩაში დარჩენილი სოციალურად დაუცველების პრობლემა ძალის გამოყენებით ან სრული იგნორირებით ვერ გადაწყდება ისე, როგორც ეს წინა ხელისუფლების დროს ხდებოდა. აუცილებელია, მათთან მუდმივი დიალოგი და არსებული შესაძლებლობების ფარგლებში, კომპრომისული გადაწყვეტილებების მოძიება.

# რატომ არის ნაჩქარევი საყოველთაო დაზღვევის თებერვალში დაწყება და რა მომსახურეობას გვთავაზობს სახელმწიფო

*მე-10 გვერდიდან*

წინა ხელისუფლებამ ეს იმიტომ არ გააკეთა, რომ ფარული გარიგება არსებობდა სადაზღვევო კომპანიებსა და ხელისუფლებას შორის და ამით სადაზღვევო კომპანიებს მეტი მოგება რჩებოდათ.

ასევე კონსტიტუციასა და კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ წერია, რომ პაციენტი თვითონ ირჩევს იმ დაწესებულებას, სადაც უნდა იმკურნალოს. სახელმწიფო დაზღევით კი ადამიანს ეს უფლება ეზღუდება. ასევე პაციენტს უნდა ჰქონდეს უფლება, ოპერაცია გაიკეთოს იმ ლიცენზირებულ კლინიკაში, სადაც მას უნდა და არა იქ, სადაც სადაზღვევო კომპანია მიუთითებს. დაზღვევის პაკეტში შესასწორებელია მედიკამენტების კომპონენტიც. კერძოდ კი, იქ არის ისეთი წამლების ჩამონათვალი, რომელიც აფთიაქებს არ ეყიდებათ. ეს იმიტომ ხდება, რომ სადაზვევო და ფარმაცევტული კომპანიები ხშირად ერთი და იგივე ადამიანისაა. ასეთი ლაფსუსები აღარ უნდა იყოს დაშვებული და უნდა მომზადდეს ერთი დოკუმენტი, სადაც დაცული იქნება პაციენტის უფლებები.

**— შეიქმნა სახელმწიფო დაზღვევის ფონდი, სადაც საკმაოდ სერიოზული თანხაა აკუმულირებული, არსებობს თუ არა კორუფციის საფრთხე?**

— რასაკვირველია, ამის დიდი რისკია. კერძო სექტორში ეს რისკი მინიმუმამდე იყო დაყვანილი, ვინაიდან იქ ფულს არავინ მოგაპარინებს, ჩინოვნიკის მიერ სახელმწიფო ფულის მოპარვა კი უფრო ადვილია. ამ ფონდის შექმნას დადებითი მხარეც აქვს. კერძო სექტორი ძალიან დიდ მოგებაზე მუშაობს. 2009-10 წლებში, როცა კონტროლის პალატამ შეისწავლა სადაზღვევო კომპანიების საქმე, 60%-იანი მოგება დააფიქსირა. ასეთი მოგება დაზღვევაზე მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ არის, მაქსიმუმ 10%-იან მოგებაზე მუშაობენ. დიდია ალბათობა იმისაც, რომ ვისაც კორპორატიული ან კერძო დაზღვევა ჰქონდა, სახელმწიფო სადაზღვევო პაკეტით ისარგებლებს და ეს კონტინგენტი სადაზღვევო კომპანიებს მოაკლდება.

**— ჯანდაცვის სამინისტროს ოფიციალური მონაცემებით, ამ ძვირადღირებული დაზღვევით 400 000-მდე ადამიანი სარგებლობს. თუ ეს რიცხვი კერძო სადაზღვევო კომპანიებს მოაკლდება, შესაძლოა, მათ სერიოზული ფინანსური პრობლემები შეექნათ?**

— ამის რეალური საშიშროება იქნება. მე, როგორც პაციენტის უფლებების დამცველი, ამას მივესალმები. თუ სადაზღვევო კომპანიებს უნდათ, კლიენტები არ დაკარგონ, ფასი შეამცირონ და მომსახურების სერვისი გაზარდონ. კონკურენცია იქნება და დადებითი პროცესი დაიწყება.

**ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგიენკო ადასტურებს, რომ დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება, რა სამედიცინო მომსახურეობას მოიცავს ახალი სადაზღვევო პაკეტი, არ არსებობს და აცხადებს:** „სახელმწიფო დაზღვევის შესახებ არსებობს კანონი, რომელიც განსაზღვრავს არსებულ პარიტეტს, რა ხდება დღეს. იმას, თუ როგორი იქნება სადაზღვევო პაკეტი, საკანონმდებლო ცვლილებები საჭირო არ არის, რადგან ეს პირველ ეტაპზე, ჯანდაცვის სამინისტროს სტრუქტურით განხორციელდება“.

**მინისტრის ვარაუდით, კლინიკები პაციენტთა მომართვიანობას გაუმკლავდებიან და ამ მხრივ, პრობლემა არ იქნება:** „კლინიკებს აქვს თავიანთი რესურსი. თუ პაციენტთა ნაკადი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ძალიან მაღალი ალბათობით, ეს უარყოფითად იმოქმედებს სამედიცინო მომსახურეობის ხარისხზე, თუმცა ასეთი რისკები, პირველ ეტაპზე, მოსალოდნელი არ არის. პირველადი ჯანდაცვის ობიექტებს აქვს იმის რესურსი, რომ პაციენტთა მომატებული ნაკადი მიიღოს“.

***სერგიენკო აცხადებს, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიების დისკრიმინაციას არ აპირებს, თუმცა იმასაც ვარაუდობს, რომ შესაძლოა, დაზღვეულთა ნაწილმა სახელმწიფო დაზღვევაში მართლაც გადმოინაცვლოს, მაგრამ სადაზღვევო ინდუსტრია ამას გაგებით მოეკიდა. ეს არის ოპტიმალური გეგმის გაწერის საგანი.***

***კორპორატიულ და კერძო დაზღვევებში მონაწილე პირებს ექნებათ არჩევანის უფლება — სადაც უფრო კომფორტული იქნება მათთვის, შეუძლიათ ის აირჩიონ.***

## დავით კირვალიძე: „თურქეთიდან დაავადებული კარტოფილით სავსე კონტეინერი შემოვიდა“



სოფლის მეურნეობის მინისტრმა, დავით კირვალიძემ სამინისტროში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ აღნიშნული დაავადება საკარანტინოა. ტვირთი დაყადაღებულია და სრულად განადგურებას დაექვემდებარება, ხოლო ფაქტის შესახებ იმპორტიორ ქვეყანას ეცნობება.

სურსათის ეროვნული სააგენტო ევროკავშირის მოთხოვნების შესაბამისად, სურსათის უვნებლობის კოდექსში ცვლილებებს ამზადებს, რაც ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მოლაპარაკებისას ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა.

მინისტრის განმარტებით, სააგენტომ რამდენიმე შემთხვევა დააფიქსირა, როდესაც ბაზარში საქონლის ხორცის ნაცვლად, ვირისა და ცხენის ხორცი შედიოდა.

*„ინტერპრესნიუსი“*

# ჯონ კერი — ჰილარი კლინტონის „ორატორი, იურისტი, მუსიკოსი, ველომრბოლელი“ შემცვლელი

## რა სისასტიკე ჩაიდინა ვიეტნამის ომში, რატომ შეარქვეს „მძარცველი საკვოიაჟისტი“ და როდის გაიგო თავისი ებრაული წარმომავლობის შესახებ ამერიკის ახალმა სახელმწიფო მდივანმა





ნინო ლურსმანაშვილი
რედაქტორი

**„მე არ ვიცი სხვა ადამიანი, რომელსაც ამ სტრუქტურაში უფრო მეტი დრო დაეხარჯა, მეტი ემოგზაურა, უფრო მეტ ხალხს შეხვედროდა საერთაშორისო დონეზე... გლობალურ საკითხებზე მუშაობას მან მთელი ცხოვრება შეალია“, — ასე ახასიათებენ ყოფილ სენატორ ჯონ კერის კოლეგები. დრო აჩვენებს, როგორი განწყობა ექნება ამერიკის ახალ სახელმწიფო მდივანს საქართველოსთან. დღეს, მხოლოდ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ჰილარი კლინტონის შემცვლელი, რომელსაც მიაჩნია, რომ „რთული, ომის მოგება კი არა, მშვიდობის მოპოვებაა“, პარტნიორი ქვეყნის პირველ პირებთან მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს.**



„რთული, ომის მოგება კი არა, მშვიდობის მოპოვებაა!“

### ფრანგი ფორბსებისა და ებრაელი კოხების შთამომავალი

ჯონ ფორბს კერი 1943 წელს, კოლორადოს შტატში დაიბადა. დიპლომატ რიჩარდ ჯონ კერისა და ექიმ, ფორბსების ცნობილი ოჯახის წარმომადგენელ, როზმარინ იზაბელ ფორბს-კერის ოჯახში. ბავშვობა სამი დედმამიშვილის გარემოცვაში გაატარა. მისი ძმა, კემერონი, იურისტი და პრეზიდენტ ობამას მთავარი მრჩეველია ვაჭრობის სამინისტროში.

ჯონი კოლორადოს შტატში, ავრორაში, იმ საავადმყოფოში დაიბადა, სადაც მამა, საჰაერო სამხედრო პილოტი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ტუბერკულოზზე მკურნალობდა. ამ მიზეზით, ჯონიმ დაბადებიდან 2 თვე ჰოსპიტალში გაატარა.

მიუხედავად იმისა, რომ წარმომავლობაც კარგი ჰქონდა და მის ოჯახს ფორტუნაც ყოველთვის უღიმოდა, მაინც საშუალო ფენას მიეკუთვნებოდნენ. სამაგიეროდ, მდიდარი დეიდა ფარავდა მისი განათლების ხარჯებს ევროპის სხვადასხვა მდიდრულ სასწავლებელში. არდადეგებს ფორბსების საგვარეულო ვილებზე ატარებდა, საფრანგეთში, სადაც ცხოვრობდა კერი, როგორც ნამდვილი უფლისწული — მდიდრულად, მდიდრულ გარემოში.



გენეალოგმა ფელიქს განდეკერმა 2003 წელს ჯონ კერის გენეალოგია გამოიკვლია და დაადგინა, რომ კერის ბაბუა ფრიც კოხი და ბებია იდა ლევე ავსტრიაში ცხოვრობდნენ, გვარი 1901 წელს შეიცვალეს, იუდაიზმზე უარი თქვეს, კათოლიკეები გახდნენ და ამერიკაში გადასახლდნენ.

ირლანდიური გვარი „კერი“, სრულიად შემთხვევით შეარჩიეს — მსოფლიო რუკა გაშალეს, ბაბუამ თვალები დახუჭა, თითით ჰაერში წრე შემოხაზა და შემდეგ რუკას დაადო, ირლანდიაში, კერის სამეფოზე. შესაბამისად, კერის გვარი აირჩიეს. თავდაპირველად, ჩიკაგოში ცხოვრობდნენ, შემდეგ გადავიდნენ ბრუკლინში, 1015 წელს კი — მასაჩუსეტსში. თავდაპირველად, ფრედ კერი ფეხსაცმელს ყიდდა და წარმატებული ვაჭარიც გახლდათ. ორი შვილი შეეძინათ, რიჩარდი (ჯონ კერის მამა) და მილდრედი. 1921 წელს, ცოლ-ქმარმა ევროპაში იმოგზაურა. რამდენიმე თვის შემდეგ, ფრედ კერიმ ანდერძი დაწერა, ყველაფერი იდას დაუტოვა და ბოსტონში, სასტუმრო „კოპლი-პლაზას“ სააბაზანოში, რევოლვერით თავი მოიკლა. მაშინ ბოსტონის ყველა გაზეთი წერდა, რომ თვითმკვლელობის მიზეზი გართულებული ასთმა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება იყო. მოგვიანებით გაირკვა, რომ კერის ფინანსური პრობლემები ჰქონდა.

როდესაც თავისი წარმომავლობის შესახებ უამბეს, ჯონ კერიმ განაცხადა, რომ არ იცოდა, მისი წინაპრები ავსტრიიდან წამოსული ებრაელები თუ იყვნენ და ბებიის და-ძმა ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკში თუ დაიღუპა.

ამბობს, რომ ღრმა ბავშვობიდან ერთი საზარელი კადრი ახსენდება: აქვითინებულ დედას ხელი აქვს ჩაჭიდებული და შენობის ნანგრევებში დაატარებს. ეს საფრანგეთში, სენ-ბრიაში ვიზიტია, სენ-ბრიას ნაცისტებისგან გათავისუფლების შემდეგ. საგვარეულო კარ-მიდამო და ბავშვობის აფეთქებული სახლი, რომელსაც გერმანელები ომის დროს შტაბად იყენებდნენ, დედამ სამიოდე წლის შვილთან ერთად მოინახულა. მოგვიანებით, ეს სახლი ფორბსებმა აღადგინეს და იქ ხშირად იკრიბებოდნენ არდადეგებზე.

როცა მამა ოსლოში, ამერიკის საელჩოში სამუშაოდ წავიდა, ჯონი მასაჩუსეტსში, ქვეყნის უძველეს ვაჟთა პანსიონში გაგზავნეს სასწავლებლად. 1957 წელს ფესენდენში, ნიუტონის სოფელში სწავლობდა, მომდევნო წელს — კონკორდში, ნიუ-გემპშირში, წმინდა პავლეს სკოლაში ჩაირიცხა, სადაც ორატორის ხელოვნებას ეუფლებოდა და პოლიტიკისადმი საოცარ ინტერესს იჩენდა. 1959 წელს სკოლაში ჯონ უინანტის საზოგადოება დააარსა, სადაც საჭირბოროტო საკითხებს განიხილავდნენ. ეს საზოგადოება დღესაც არსებობს. 1962 წელს იელის უნივერსიტეტში ჩაირიცხა და პოლიტიკური მეცნიერების შესწავლა დაიწყო. მეორე კურსზე სასწავლებლის პოლიტიკური კავშირის პრეზიდენტი გახდა. პროფესორ როლინ ოსტერვეისის წყალობით, ქვეყნის მასშტაბით ჩატარებულ ყველა სტუდენტურ დებატში მიიღო მონაწილეობა და 1965 წელს, ქვეყნის მასშტაბით, უმცროსკლასელთა შორის, საუკეთესო ორატორადაც აღიარეს. შთაბეჭდილება ამერიკის შიდა პოლიტიკის კრიტიკით მოახდინა და პოლიტოლოგები ამბობენ, რომ პატარა ორატორ კერის ვრცელი გამოსვლიდან ერთი პასაჟი, ისტორიას დარჩება: **„საქმე გვაქვს დასავლეთის იმპერიალიზმის სპექტრთან, რომლისაც აზიისა და აფრიკის ხალხებს კომუნიზმზე მეტად ეშინიათ. ეს არის თვითგანადგურება!“**

1962 წელს, „პატარა ორატორმა“ სენატორ ტედ კენედის საარჩევნო კამპანიაში მიიღო მონაწილეობა. კენედის ცოლის, ჟაკლინ ონასის-კენედის და ჟანეტი გაიცნო, რომლისგანაც, როდ-აილენდში, ოჯახურ ვახშამზე მიიღო მიწვევა. პრეზიდენტ კენედის პირველად სწორედ ასეთ გარემოში შეხვდა. „როცა ვუთხარი, იელის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ცოტა შეიშმუშნა, რადგან თავად კონკურენტი ჰარვარდის კურსდამთავრებული იყო. უცნაურად გამიღიმა, მერე მითხრა, ამაზე არ იდარდო, ახლა მეც იელელი ვარო. იმას გულისხმობდა, რომ შეხვედრამდე რამდენიმე თვით ადრე. იელის უნივერსიტეტის საპატიო ხარისხი მიიღო“, — გაიხსენებს მოგვიანებით უკვე პოლიტიკაში ფეხმოკიდებული კერი. იმავე საღამოს, თეთრი სახლის ფოტოგრაფმა, კენედების ოჯახისა და კერის შეხვედრა ისტორიულ ფირზეც აღბეჭდა.

### „დიახ, ჩამიდენია სისასტიკე!“

უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ, სამხედრო საზღვაო რეზერვში წავიდა. ნიუპორტში, როდ-აილენდში, სამხედრო-საზღვაო ოფიცრების კანდიდატების სასწავლო ცენტრის 16-კვირიანი წვრთნის შემდეგ, ოფიცრის წოდება მიიღო. თავდაპირველად, სარაკეტო მზვერავ „გრიდლის“ ბორტზე აღმოჩნდა. 4 თვეზე მეტი აწარმოებდნენ ამ გემიდან პატრულირებას. „გრიდლის“ ჯგუფში მოხვედრისთანავე, საპატრულო „სწრაფი კატერის“ ხელმძღვანელად დანიშნეს. წიგნში, რომელიც კერიმ 1986 წელს ვიეტნამის ომს მიუძღვნა, წერს: **„ნამდვილად არ მინდოდა ომში ჩართვა. როცა მიმაბარეს კატერებს, ვიფიქრე, მხოლოდ სანაპირო პატრულირება მოგვიწევდა, მაგრამ მალე, მდინარის კატერის ხელმძღვანელად დამნიშნეს. ყველაზე სახიფათო საქმე იყო ვიეტნამის მდინარეებში კატერით გასვლა“.**

ომში სამჯერ დაიჭრა, მესამე შემთხვევის შემდეგ, ფლოტის კანონების მიხედვით, შინ დაბრუნდა. დააჯილდოვეს რამდენიმე მედლით, მათ შორის „ვერცხლის ვარსკვლავით“, „ბრინჯაოს ვარსკვლავით“ და სამი „მეწამული გულით“. მას საოცარი სამხედრო რეპუტაცია აქვს, რის გამოც, ყოველთვის აქებდნენ. 2004 წელს, საპრეზიდენტო წინასაარჩევნო პერიოდში, მან სამხედრო ჩანაწერები გამოაქვეყნა და რეპორტიორებს უფლება მისცა, მის სამედიცინო ჩანაწერებსაც გასცნობოდნენ.

მიუხედავად ამისა, თემის ირგვლივ სკანდალი აგორდა: 2004 წელს, ვიეტნამის 200 ვეტერანი გაერთიანდა ჯგუფში „კატერების ვეტერანები სიმართლისთვის“ და გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს, კერის სამხედრო სამსახურის შესახებ ისტორია მოგონილი იყო, წიგნი კი, რომელიც ვიეტნამის ომს მიუძღვნა — „ზღაპარი“, ასევე ყალბი იყო მედლები, რომლითაც ჯონი ასე ამაყობდა. ჯონ კერის სამხედრო რეპუტაციის ეჭვქვეშ დაყენებამ, ფეხზე ყველა ის ვეტერანი დააყენა, ვისაც ომში მასთან შეხება ჰქონია, ისინი სათითაოდ, საჯაროდ გამოდიოდნენ და ყვებოდნენ კერის „საგმირო საქმეების“ შესახებ.

ვიეტნამიდან დაბრუნების შემდეგ, კერი შევიდა ორგანიზაციაში „ვიეტნამის ომის ვეტერანები ომის წინააღმდეგ (waw)“. ამ გაერთიანებას, პრეზიდენტ ნიქსონის ადმინისტრაციაც კი, მნიშვნელოვნად მიიჩნევდა. ორგანიზაციის ფარგლებში მან არაერთ საპროტესტო აქციაში მიიღო მონაწილეობა. 1971 წელს, 441 დემონსტრანტთან ერთად, ისიც დააკავეს, აქციის დროს ნებადართული ტერიტორიის გადაკვეთის გამო.

1971 წლის 22 აპრილს, სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ჯონ კერი პირველი „ვიეტნამელი ვეტერანი“ გახდა, რომელმაც მისცა ჩვენება კონგრესის წინაშე ამერიკის ხელისუფლებისა და პოლიტიკის წინააღმდეგ. მეორე დღეს ვეტერანების დემონსტრაციაში მიიღო მონაწილეობა, სადაც მედლები ძირს დაყარა და განაცხადა: **„ამას მშვიდობისთვის, სამართლიანობისთვის ვაკეთებ!“ ეს კადრები მოგვიანებით გამოიყენეს დოკუმენტურ ფილმში „სერ, არა, სერ“.** კერი ღიად აცხადებდა, რაც საკუთარი თვალით ნახა ვიეტნამში და რასაც ყვებოდნენ ამერიკაში ლიდერები, ძალიან განსხვავდება ერთმანეთისგან:

**„როცა ეს ვნახე, მივხვდი, ვიეტნამის საკითხის შესახებ, ვერასოდეს გავჩუმდები. იქაურ რეალურ ვითარებას, ყოველთვის აღვწერ“!**

„ომში სისასტიკე ჩაგიდენიათ?“ — ერთმა ჟურნალისტმა ეს ლოგიკური კითხვა საჯაროდ დაუსვა და გულახდილი პასუხიც მიიღო: **„იქ იყო ყველა სახის სისასტიკე. დიახ, დიახ, მე ვმონაწილეობდი რამდენიმე მათგანში ისევე, როგორც სხვა ჯარისკაცები, რომლებიც ჩაითრიეს ამ ომში. ჩვენ „ცეცხლისგან თავისუფალ“, უსაფრთხო ზონებში გაგვიხსნია ცეცხლი, რადგან ბრძანება ასეთი იყო. 50-კალიბრიანი ტყვიამფრქვევი, ადამიანების წინააღმდეგ ერთადერთი იარაღი იყო. მე ვმონაწილეობდი მტრის ძებნა-განადგურებაში, ხეების გადაწვაში... ეს ეწინააღმდეგებოდა ჟენევის კონვენციასა და ომის წარმოების კანონებს, მაგრამ... ეს წყდებოდა ამერიკის მაღალჩინოსნების კაბინეტებში... და ვფიქრობ, ყველა ადამიანი, ვინც შექმნა ეს ე.წ. უსაფრთხო ზონები, ვინც გვაძლევდა ასეთ ბრძანებებს, დამნაშავეა!“**

### ჰილარი კლინტონის მემკვიდრე სენატორი

1972 წელს კერიმ კონგრესში მოსახვედრად საარჩევნო კამპანია დაიწყო. პოლიტიკურ ასპარეზზე პირველი მარათონი მისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. ამაში, გადამწყვეტი როლი შეასრულა გაზეთმა „სანი“, სადაც ერთმანეთის მიყოლებით, რამდენიმე კრიტიკული სტატია გამოქვეყნდა. პუბლიკაციები ამერიკის საზღვრებსგარეთ კერის „ფარულ“ მოღვაწეობას ეხებოდა. კერის „საკვოიაჟისტი“ უწოდეს და შესაბამისი კარიკატურებიც დაბეჭდეს. ასე იმ პოლიტიკოსებს მოიხსენიებდნენ, რომლებიც ჩრდილოეთიდან სამხრეთში ფულის ტომრებით, კვლავ ფულის გასაკეთებლად მოვიდნენ. კიდევ ერთი ეპითეტი, რომლითაც მაშინ კერი შეამკეს, „მძარცველი“ იყო. არჩევნებში კრახის მერე, ბოსტონის იურიდიულ სკოლაში ჩააბარა და მოგვიანებით, მასაჩუსეტსში, ადვოკატების ასოციაცია Mass Action-ის დირექტორად დაინიშნა. 1976 წელს, იურისპრუდენციის დოქტორის ხარისხი მიიღო ბოსტონის კოლეჯში. გარკვეული პერიოდი ადვოკატად იმუშავა. 1977 წელს, სამხარეო პროკურორის პირველი მოადგილე გახლდათ. ამ თანამდებობაზე იკვლევდა გაუპატიურება-მკვლელობის საქმეებს და ოფისში ადმინისტრაციულ საკითხებსაც აგვარებდა. 1979 წელს საკუთარი



იურიდიული ფირმაც ჩამოაყალიბა. პოლიტიკა მაინც იზიდავდა, ამიტომ არავის გაკვირვებია, რომ მასაჩუსეტსის გუბერნატორის მოადგილის პოსტისთვის ბრძოლა გადაწყვიტა და გაიმარჯვა კიდეც. ამასობაში, მასაჩუსეტსის შტატის უმცროსი სენატორი პოლ ჩონგასი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, თანამდებობიდან გადადგა. კერიმ მისი ადგილი 1985 წელს დაიკავა.

მალე, სენატორ ტომ ჰარკინთან ერთად, სენატორი კერი ნიკარაგუაში, პრეზიდენტ დანიელ ორტეგას შეხვდა. ამ ვიზიტმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან ორტეგა კუბისა და საბჭოთა კავშირის ლიდერებთან მეგობრობდა.

2000 წელს, საპრეზიდენტო არჩევნებზე, კანდიდატმა დემოკრატიული პარტიიდან ალბერგ გორმა, კერი ვიცე-პრეზიდენტის სავარაუდო კანდიდატების სიაში შეიყვანა, თუმცა მოგვიანებით, არჩევანი სხვა კანდიდატზე შეაჩერა. მიუხედავად ამისა, ჯონ კერი, გორს გვერდით ედგა საარჩევნო კამპანიის ბოლომდე.

სენატორის თანამდებობაზე ყოფნისას, მან არაერთი საინტერესო ინიციატივა წამოაყენა და არაერთი მნიშვნელოვანი აქტი მიიღო. თემები მრავალფეროვანი იყო: მცირე ბიზნესი, განათლება, ტერორიზმი, ვეტერანები, უგზოუკვლოდ დაკარგულები... 2004 წელს, მის 11 აქტზე დაყრდნობით, კანონები მიიღეს. სწორედ მისი და სენატორ მაკკეინის დამსახურებით, სენატმა გამოსცა რეზოლუცია, რომლის მიზანი იყო, ვიეტნამთან ემბარგოს მოხსნა და ურთიერთობის დარეგულირება. ამ რეზოლუციის თანახმად, პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა ვიეტნამთან დიპლომატიური ურთიერთობა აღადგინა.

ჯონ კერის ანალიტიკოსების უმრავლესობა მემარცხენედ მოიაზრებს. 2004 წლის საპრეზიდენტო მარათონის დროს, მას მიზანმიმართულ ლიდერად ასახელებდნენ. არიან ისეთებიც, ვისაც მიაჩნია, რომ კერი უფრო ლიბერალია, ვიდრე ტიპური სენატორ-დემოკრატი.

კრიტიკოსები ამბობენ, რომ ზოგჯერ, ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებს. მაგალითად, ამბობს, რომ ზოგადად, აბორტების წინააღმდეგია, თუმცა მიიჩნევს, რომ ქალებს ამის უფლება უნდა ჰქონდეთ და ემხრობა ერთსქესიანი წყვილების ქორწინებას.

მისი გამოსვლებიდან, „ისტორიულს“ უწოდებენ, ერაყში ჯარის შეყვანის შესახებ გაკეთებულ განცხადებებს. 2003 წელს, ჯორჯტაუნის უნივერსიტეტში კერიმ თქვა: **„ჩვენ უნდა გავანადგუროთ სადამ ჰუსეინი, ის სასტიკი, დაუნდობელი დიქტატორია, რომელიც დესპოტურ რეჟიმს უდგას სათავეში, წარმოადგენს რეალურ საფრთხეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ბატონო პრეზიდენტო, არ იჩქაროთ ომის დაწყება. ომის მოგება არ არის რთული, რთული მშვიდობის მოპოვებაა!“** 2004 წელს კერიმ მორიგი ისტორიული განცხადება გააკეთა: **„სადამ ჰუსეინი იყო სასტიკი დიქტატორი და ნამდვილად დაიმსახურა ჯოჯოხეთში ადგილი, მაგრამ ეს არ არის ომის დაწყების საკმარისი მიზეზი. დიქტატორის მაგივრად, მივიღეთ ქაოსი, რომელსაც ამერიკისთვის უფრო მეტი საფრთხე მოაქვს“.** ერაყში ამერიკელების შესვლის შემდეგ, კერიმ პრეზიდენტი ბუში საჯაროდ გააკრიტიკა.

2004 წელს დემოკრატიული პარტიის შესარჩევ არჩევნებზე გაიმარჯვა და საპრეზიდენტო კანდიდატი გახდა, თუმცა გადამწყვეტ ბრძოლაში პირველობა ჯორჯ ბუშს დაუთმო და ღირსეულად მიულოცა გამარჯვება. ყველა ფიქრობდა, 2008 წლის არჩევნებში ისევ იბრძოლებდა, მაგრამ განაცხადა, სენატორობაზე მეხუთედ უნდა ვიყარო კენჭიო და... მართლაც, გახდა მეხუთედ სენატორი. სამაგიეროდ, მხარი დაუჭირა უმცროს სენატორს ილინოისის შტატიდან, ბარაკ ობამას და მის წინასაარჩევნო კამპანიაშიც აქტიურად ჩაერთო. მაშინ ხმა გავარდა, რომ ობამა მას ვიცე-პრეზიდენტად წაიყვანდა, მაგრამ პრეზიდენტმა ეს პოსტი ჯო ბაიდენს შესთავაზა. ამის შემდეგ ალაპარაკდნენ, კერის ობამა სახელმწიფო მდივნის სავარძელს უმზადებსო, მაგრამ სახელმწიფო მდივნად ჰილარი კლინტონი მოგვევლინა. პროგნოზი ოდნავ მოგვიანებით გამართლდა — 2012 წლის დეკემბერში, როცა ბარაკ ობამამ ოფიციალურად განაცხადა, რომ კლინტონის მემკვიდრე ჯონ კერი იქნებოდა.

2013 წლის იანვრის ბოლოს, აშშ-ს კონგრესმა, სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტზე ხმათა უმრავლესობით, ჯონ კერის კანდიდატურა დაამტკიცა. მას ხმა 94-მა სენატორმა მისცა. წინააღმდეგ მხოლოდ 3 წავიდა.

1 თებერვალს ჯონ კერიმ კაპიტოლიუმის შენობაში ფიცი დადო და სახელმწიფო მდივნის პოსტზე ჰილარი კლინტონი ოფიციალურად შეცვალა.




## პოლიტიკოსის „გულის არჩევანი“

ოჯახი ორჯერ შექმნა. პირველად, 1970 წელს. მაშინ ბედი იულია ტორნს დაუკავშირა, რომელთანაც 2 ქალიშვილი, ალექსანდრა და ვანესა შეეძინა. ალექსანდრამ ბრაუნის უნივერსიტეტი და კონსერვატორია დაამთავრა. დოკუმენტური ფილმების რეჟისორი გახლავთ. ვანესამ განათლება ფილიპსის აკადემიაში, იელის უნივერსიტეტსა და ჰარვარდის სამედიცინო სკოლაში მიიღო. ლონდონში, სამედიცინო პოლისების პროგრამების სპეციალისტია. ოჯახის წევრები მას ყველა სარჩევნო კამპანიაში აქტიურად ეხმარებიან.

1982 წელს, მძიმე დეპრესიაში ჩავარდნილმა ტორნმა, კერის განქორწინება სთხოვა. ერთმანეთს, 1988 წლის 25 ივლისს გაშორდნენ. კათოლიკურ ეკლესიაში ქორწინების ანულირება კი, დაახლოებით, 10 წლისთავზე მოახდინეს. **„14 წელი პოლიტიკოსთან ცხოვრება, ჩემთვის ასოცირდება მხოლოდ მრისხანებასთან, შიშსა და მარტოობასთან“,** — ასე აღწერა თავის წიგნში „გულის არჩევანი“ კერისთან თანაცხოვრება ტორნმა.

კერი და მისი მეორე ცოლი, მასზე 5 წლით უფროსი ტერეზა ჰეინცი, პენსილვანიის სენატორის, ჯონ ჰეინცის ქვრივი და გაერო-ს ყოფილი თარჯიმანია. ისინი ერთმანეთს 1992 წელს, თავად ჰეინცმა გააცნო, დედამიწის დღისადმი მიძღვნილ ერთ-ერთ ღონისძიებაზე. იმ დღის შემდეგ აღარ შეხვედრიან, ვიდრე ჰეინცი არ გარდაიცვალა. დაქორწინდნენ 1995 წელს. კერის სამი გერი ჰყავს, ტერეზას სამი ვაჟი: ჯონი, ანდრე და კრისტოფერი.

ჯონმა და ტერეზამ საქორწინო კონტრაქტი გააფორმეს. მათ აქვთ საერთო და ინდივიდუალური ქონება. გადასახადებს საერთო ქონებიდან იხდიან. ფორბსის მონაცემებით, ტერეზა ჰეინცი-კერი 2004 წელს ფლობდა 750 მილიონდოლარიან ქონებას. მოგვიანებით კი, ამ ციფრმა თურმე 3,32 მილიარდსაც მიაღწია. თავად კერი ამერიკის ყველაზე მდიდარ სენატორად ითვლებოდა, ასევე ფლობს ფორბსების ოჯახიდან მიღებულ 4 კონცერნს. „ფორბსის“ მონაცემებით, კერის საპრეზიდენტო არჩევნებში რომ გაემარჯვა, ამერიკის რიგით მესამე ყველაზე მდიდარი პრეზიდენტი იქნებოდა (ინფლაციის გათვალისწინებით).

2003 წელს ჯონ კერის პროსტატის კიბო დაუდგინეს. ქიმიოთერაპიაზე უარი თქვა, მაგრამ მძიმე ოპერაცია გადაიტანა. მკურნალობის კურსმა ისე წარმატებით ჩაიარა, ექიმები გაოცებას ვერ მალავდნენ. თავად კერი ამის მიზეზად იმას ასახელებს, რომ ყოველთვის ცდილობდა ჯანსაღი ცხოვრების წესით ეცხოვრა და სპორტს მისდევდა.

უყვარს ნადირობა, სერფინგი, ჰოკეი... არის წარმატებული ველომრბოლელი... ყველა ქვეყნის სასტუმროში ჩასვლისას, ადმინისტრაციას წინასწარ სთხოვს, მის ოთახში ველოტრენაჟორი დაუმონტაჟონ. კარგად საუბრობს ფრანგულად. უყვარს მუსიკა. არის „ბითლზისა“ და „როლინგ სტოუნსის“ ფანი. აღმერთებს ჯიმი ჰენდრიქსისა და ჯიმი ბაფეტის შემოქმედებას. 2004 წელს, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, კამპანიის ოფიციალურ ჰიმნად U2-ს Beautiful Day აირჩია.

თავადაც უკრავს ელექტრონულ ბასგიტარაზე. სკოლაში იყო ჯგუფში The Electras, რომელმაც 1961 წელს ალბომი გამოსცა, სულ 500 ტირაჟით. ერთ-ერთი მათგანი, 2004 წელს, „ებაის“ აუქციონზე, 2,5 ათას დოლარად გაიყიდა.

კათოლიკეა. ყველა მგზავრობისას დააქვს ლოცვების წიგნი და წმინდა ქრისტოფერის (მგზავრობის მფარველის) მედალი. როცა კითხვა მრწამსის შესახებ დაუსვეს, თქვა: **„მინდოდა, მღვდელი ვყოფილიყავი. მორწმუნე ვარ. ძალიან პატარა ვიყავი, როცა საკურთხევლის წინ ვლოცულობდი... ამის დამსახურებაა, ჩემი ცხოვრების კრედო — ისე უნდა ვიცხოვრო, არ მტანჯავდეს სინდისის ქენჯნა და თავს დამნაშავედ არასოდეს ვგრძნობდე!“**



## ადვოკატის ინფორმაციით, ოლეგ მელნიკოვი საქართველოში ექსტრადიციაზე თანახმაა




ადვოკატის, მალხაზ ველიჯანაშვილის განმარტებით, მელნიკოვმა შესაბამის განცხადებას ხელი უკვე მოაწერა:

**„ოლეგ მელნიკოვი თანახმაა, საქართველოში მისი ექსტრადიცია მოახდინონ. უკვე მოაწერა კიდეც ხელი შესაბამის თანხმობას. ახლა ქართულ მხარეზეა დამოკიდებული, რა ვადაში უზრუნველყოფს ექსტრადიციისთვის საჭირო პროცედურების გავლას“,** — ასევე დასძინა, რომ **„მელნიკოვი თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს და სიმართლის დასამტკიცებლად ბრძოლას აპირებს“.**

ველიჯანაშვილის ინფორმაციით, მელნიკოვის საქმეზე კიევის სასამართლოში ხვალ სააპელაციო განხილვაა ჩანიშნული.

შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი, რომელზეც ქართულ მხარეს ძებნა ჰქონდა გამოცხადებული, გასული წლის 7 დეკემბერს, უკრაინელმა სამართალდამცველებმა კიევში დააკავეს. ამ დროისთვის, მას წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ქართული მხარე მელნიკოვის სამშობლოში ექსტრადიციის პროცედურებს გადის.

*„ინტერპრესნიუსი“*

## პრეზიდენტმა პარლამენტს ფინანსურ ამნისტიაზე საკანონმდებლო ინიციატივა წარუდგინა



სამეწარმეო, ფინანსურ-ეკონომიკური დანაშაულების ამნისტირებასთან დაკავშირებით, ზეპირსიტყვიერად შეთავაზებული წინადადება პრეზიდენტმა პარლამენტს კონკრეტული საკანონმდებლო ინიციატივის სახით წარუდგინა.

„ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ“ — ასე ეწოდება პრეზიდენტის მიერ მომზადებულ კანონპროექტს.

მიხეილ სააკაშვილი გამოდის ინიციატივით, შეწყდეს აღძრული სისხლის სამართლის საქმეები იმ პირთა მიმართ და სასჯელისგან ის მსჯავრდებულები გათავისუფლდნენ, რომლებმაც 2013 წლის 1 იანვრამდე ჩაიდინეს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე, 192/1, 193-ე, 194-ე, 194/1, 195/1, 196-ე მუხლებით, 197-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, 197/1, 199-ე, მე-200-200/6, 201-ე, 205/1, 210-ე, 211-ე, 216-ე, 218-ე, 219-ე, 220-ე, 220/1, 221-ე მუხლებით, 214-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით და ამ ნაწილებთან დაკავშირებით 214-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულები.

კანონის მოქმედება, მისი მიღების შემთხვევაში, არ გავრცელდება პირებზე, რომლებმაც შემოსავალი (ქონება) ისეთი დანაშაულებრივი გზით დააგროვეს, როგორიცაა, ნარკოტიკებითა და იარაღით უკანონო ვაჭრობა, ტერორიზმი, ტრეფიკინგი და სხვა ტრანსნაციონალური დანაშაულები, ასევე არ ვრცელდება სისხლის სამართლის კოდექსის XXXIX თავით გათვალისწინებულ მოხელეებსა და მათთან გათანაბრებულ პირებზე. პროექტის თანახმად, სასჯელისგან გათავისუფლებულ პირებს ნასამართლეობა კანონმდებლობით დადგენილი წესით მოეხსნებათ.

პრეზიდენტის ამ ინიციატივის ფარგლებში, ასევე დგინდება არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და დაფარული ქონების (შემოსავლის) დეკლარირება-ლეგალიზაციის წესები.

*„ინტერპრესნიუსი“*

ზურაბ გამრეკელი

# სირია — კასპიისპირეთის ენერგეტიკული პროექტების ახალი გამოწვევა

**რუსი ექსპერტების ნაწილი, ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე „გაზპრომის“ მონოპოლიური მდგომარეობის შესანარჩუნებლად, ყველანაირად ცდილობს, დააკნინოს კასპიის რესურსების როლი ევროპის მომავალ ალტერნატიულ გაზმომარაგებაში, თუმცა ბოლო წლებში განხორციელებული გეოლოგიურ–სადაზვერვო სამუშაოები ადასტურებს კასპიისპირეთის საბადოების მაღალ პოტენციალს, რაც ზრდის საქართველოს, როგორც ევროპისკენ ამ რესურსების ტრანსპორტირების მარშრუტის გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მნიშვნელობას. ყატარის გაზის სირიის გავლით ტრანსპორტირების პროექტის სახით კი, კასპიისპირეთის ენერგეტიკულ პროექტებს ახალი გამოწვევა გამოუჩნდა.**




## „ციფრების ენით“ ჭეშმარიტება ღაღადებს

ბოლო პერიოდის ევროპის მკაცრმა ზამთრებმა, 2011 წელს „ფუკუსიმას“ ატომური სადგურის ავარიის გამო, ევროკავშირის რიგი ქვეყნების მხრივ ატომურ ენერგეტიკაზე უარის თქმამ და ანტიირანული სანქციების გამკაცრებამ, ევროპის ენერგობაზარზე გაამწვავა საწვავის, განსაკუთრებით, გაზის დეფიციტი. ამან კიდევ ერთხელ ყველა დაარწმუნა იმაში, რომ ევროპის უკეთ მომარაგებისთვის საჭიროა გაზმომარაგების ახალი წყაროები. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ევროკავშირმა, რომელიც ახლა ფინანსური კრიზისის დაძლევითაა დაკავებული, არ უნდა გადადოს გაზმომარაგების რუსეთის გვერდის ავლით, „სამხრეთის გაზის დერეფნით“, კასპიისპირეთიდან დივერსიფიკაციის საკითხი. აღნიშნულმა პრობლემებმა წარმოაჩინა „გაზპრომის“ როგორც ტექნიკური, ისე ევროპულ კანონმდებლობასთან თავსებადობის პრობლემები. რუსეთის ხელისუფლება ამ პრობლემების თავის სასარგებლოდ ინტერპრეტაციას ცდილობს და კასპიისპირეთის ენერგორესურსების მნიშვნელობას აკნინებს.

ზოგი სპეციალისტი, როგორც ამ ორიოდე წლის წინ, კვლავ იმეორებს თეზისს თურქმენეთის გაზის რესურსების, ბრიტანული აუდიტორული კომპანია Gaffney, Cline & Associates-ის, 2008 წელს წარდგენილი შეფასების უზუსტობის შესახებ. მაშინ, მედიაში გამოთქმული ეჭვების გამო (რაშიც, გავრცელებული ხმებით, რუსული სპეცსამსახურების „ხელიც ერია“), თურქმენეთის პრეზიდენტმა გურბანგული ბერდიმუჰამედოვმა ქვეყნის ენერგეტიკის მინისტრი და „თურქმენგაზის“ უფროსი თანამდებობებიდან მოხსნა. გადამოწმებით კი აღმოჩნდა, რომ თურქმენეთს პირიქით, „იაშლარის“ ახალი საბადოს რეზერვების გათვალისწინებით, ბრიტანელების შეფასებაზე ანუ 14 ტრლნ კუბმეტრზე მეტი – 22.55 ტრლნ კუბმეტრამდე გაზის რეზერვები აქვს. თურქმენ გეოლოგთა ცნობით, სულ ქვეყანაში ნახშირწყალბადების საწყისი ჯამური გეოლოგიური რეზერვი 45.44 მლრდ ტონა პირობით საწვავს შეადგენს, საიდანაც არსებული ტექნოლოგიებით შესაძლებელია 27.48 მლრდ ტონა პირობითი საწვავის მოპოვება. აღმოჩენილი 183 საბადოდან 34 ნავთობისაა, 67 გაზის და 82 — გაზკონდენსანტის. თხევადი ნახშირწყალბადების მიმდინარე რეზერვი 20.4 მლრდ ტონაა, საიდანაც შესაძლებელია 7.7 მლრდ ტონის მოპოვება. ბუნებრივი გაზის მიმდინარე გეოლოგიური რეზერვი შეადგენს 22.55 ტრლნ კუბმეტრს, საიდანაც შესაძლებელია 20.42 ტრლნ კუბმეტრის მოპოვება. 2030 წლისთვის, თურქმენეთი გეგმავს წლიურად 180 მლრდ კუბმეტრი გაზის ექსპორტს, საიდანაც ნახევარი ანუ 90 მლრდ კუბმეტრი ევროპაში უნდა გაიგზავნოს.

საერთაშორისო სანქციების მოქმედების მიუხედავად, კასპიის ნახშირწყალბადების ათვისებაში ირანსაც სერიოზული წარმატებები აქვს. საყურადღებოა, რომ ბოლო ორ წელში მსოფლიოში განხორციელებული 5 უმსხვილესი გეოლოგიური აღმოჩენის სიაში სწორედ ირანი ლიდერობს. ქვეყანა, რომელიც კაცობრიობას ბირთვული იარაღით ემუქრება, კვლავ „ნავთობდოლარების“ იმედადაა. 2012 წლის დეკემბერში ირანის ნავთობის ექსპორტმა, გასული წლის ივლისში ევროკავშირის მიერ დაწესებული სანქციების ამოქმედების შემდეგ, უმაღლეს მაჩვენებელს მიაღწია. აღნიშნულს ანალიტიკოსები, ჩინეთის მხრივ, მოთხოვნის სწრაფ ზრდას უკავშირებენ. როგორც ერთ-ერთი მსხვილი სავაჭრო კომპანიის წარმომადგენელი აღნიშნავს, ჩინეთში კვლავაც შეეცდებიან გაზარდონ ირანული ენერგორესურსების იმპორტი, ვინაიდან მისი სიტყვებით, **„...ამის გამო არავინ არაფერს გააკეთებს – როგორც ჩანს, ობამამ მიიღო პოლიტიკური გადაწყვეტილება და ირანთან ომს არ აპირებს“.**

შედეგად, 2012 წლის დეკემბერში, ირანის ნავთობის ექსპორტი დღეში 1.4 მილიონ ბარელამდე გაიზარდა. როგორც ირანში აღნიშნავენ, 2013 წლის იანვრის შედეგებით, რაც მარტის დასაწყისში იქნება ცნობილი, ამერიკის მიერ დაწესებული ახალი სანქციების გამო, დეკემბერთან შედარებით, ექსპორტის კლებას ელოდებიან. ნავთობის ბაზრის ირანელი ანალიტიკოსის, სალარ მორადის თქმით, ირანი გასული წლის დეკემბერში დღეში 1.4 მილიონი ბარელ ნავთობს ყიდდა. 2013 წლის პირველი კვარტალში კი, მისი პროგნოზით, ნავთობის ექსპორტი დღეში 1.1 მილიონიდან 1.3 მილიონამდე იმერყევებს. შეგახსენებთ, რომ ამერიკამ და ევროკავშირმა ირანს მკაცრი სანქციები ბირთვულ პროგრამაზე მუშაობის შესაჩერებლად დაუწესეს. თავად ირანის ხელისუფლება გამუდმებით იმეორებს, რომ ის ბირთვული იარაღის შექმნას არ აპირებს და ეს პროგრამა მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება.

აზერბაიჯანული „სოკარის“ ინფორმაციით, 2012 წლის განმავლობაში, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენით ნავთობის ექსპორტმა შეადგინა 29,671 მლნ ტონა. ეს მაჩვენებელი 2011 წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით, 2,553 მლნ ტონითაა შემცირებული – 2011 წელს ექსპორტირებული იქნა 32,224 მლნ ტონა ნავთობი. სულ, ექსპლოატაციის დაწყებიდან 2013 წლის 1 იანვრამდე, ამ ნავთობსადენით 205,451 მლნ ტონა ნავთობია ექსპორტირებული. ასევე, 2012 წელს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით გადატვირთულია 2.52 მლნ ტონა თურქმენული ნავთობი, ხოლო 2011 წელს – 2.1 მლნ ტონა. ამ მილით თურქმენული რესურსების ტრანზიტი 2010 წლიდან დაიწყო. იმ დროიდან, 5.89 მლნ ტონა თურქმენული ნავთობის ტრანსპორტირება მოხდა. მილსადენის წარმადობაა დღეში 1.2 მლნ ბარელი ნავთობი. ნავთობის მოპოვების შემცირების გამო, 2012 წელს აზერბაიჯანული მილსადენები მთლიანად არ დატვირთულა. 2014 წელს იგეგმება ყაზახეთის „კაშაგანის“ ნავთობის ტრანსპორტირების დაწყება, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენით უნდა განხორციელდეს. „კაშაგანის“ აქციონერებიდან ზოგიერთს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კონსორციუმში აქვს წილები რაც, სავარაუდოდ, ამ მილსადენისადმი მათ ნდობას ზრდის. ამავდროულად, წლიურად 4 მლნ ტონა ნავთობი იტვირთება ბაქო-სუფსას ნავთობსადენით. გრძელდება ტრანსპორტირება ბაქო-ნოვოროსიისკის მილსადენითაც.

უფრო სერიოზული გეგმები იკვეთება კასპიის გაზის ტრანსპორტირებაში. აზერბაიჯანის მრეწველობისა და ენერგეტიკის მინისტრის, ნ. ალიევის განცხადებით, საქართველო და აზერბაიჯანი, გაისად გეგმავენ 25 მლრდ კუბმეტრამდე, ხოლო მომავალში – 45 მლრდ კუბმეტრამდე გაზარდონ ბაქო-თბილისი-ერზრუმის გაზსადენის („სამხრეთკავკასიური გაზსადენი“) წლიური სიმძლავრე. ეს, მინისტრის თქმით, აუცილებელია 2017 წელს „შაჰ-დენიზი 2“-ის გაზის ახალი ნაკადის ტრანსპორტირებისთვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მარტო აზერბაიჯანი და თურქმენეთი ევროპას, ყველაზე პესიმისტური პროგნოზით, 2030 წლისთვის 140-150 მლრდ კუბმეტრ გაზს მიაწვდიან, რაც 2030 წლის მისი მოხმარების პროგნოზის – წლიურად 625 მლრდ კუბმეტრის, თითქმის მეხუთედია. აღნიშნული რაოდენობის ალტერნატიული ბუნებრივი აირი, რუსულ გაზთან საფასო კონკურენციისთვის, სავსებით საკმარისი მოცულობაა. ეს ადასტურებს ევროპაში კასპიის ჰიდროკარბონების საქართველოს გავლით – სამხრეთ კავკასიის მარშრუტით („მეოთხე დერეფანი“), ტრანსპორტირების რეალურ შესაძლებლობას. საქართველომ, შეიძლება, არა მარტო ისარგებლოს მთელი ამ გაზის, ან მისი ნაწილის ტრანზიტით, არამედ რეექსპორტითაც – თუ მიწისქვეშა გაზსაცავების შესაბამის სისტემას შექმნის. თუმცა აქვე უნდა გავითვალისწინოთ „მეოთხე დერეფნის“ თანამედროვე კონკურენტების, „არატრადიციული გაზის“ (ფიქლების, შახტების მეთანის და ა.შ.) და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთიდან ევროპისკენ მიმართული „ახალი დერეფნის“ კონტურების გაჩენა.

ამდენად, კასპიისპირეთის გაზის მარაგები იამალისა და ციმბირისას არ ჩამოუვარდება, თანაც, კასპიის „შაჰ-დენიზისა“ (აზერბაიჯანი) და „გიალკინიშის“ (აერთიანებს თურქმენეთის ყოფილი „სამხრეთ იოლოტანი-ოსმანის“, „იაშლარის“, „მინარას“ საბადოებს) გაზის მოპოვება და ევროპაში გაგზავნა, რუსული ციმბირის საბადოების ევროპის ბაზრებიდან დაშორების გამო, უფრო იაფია. ერთადერთი, რამაც ენერგომატარებლების ამ მარშრუტით ტრანსპორტირებას შეიძლება შეუშალოს ხელი, სამხედრო-პოლიტიკური და ტერორისტული საფრთხეებია.

## სატრანსპორტო მარშრუტების მოწყვლადობა

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს კონფლიქტმა დაგვანახა, რამდენადაა დამოკიდებული ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ სიცოცხლისუნარიანობა კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებაზე. ცნობილია, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსული არმია, დაახლოებით, 25 კმ-იანი ფრონტით მოადგა საქართველოში გაყვანილ მილსადენებს, ასევე, მან დაიპყრო შავი ზღვის ფოთისა და ყულევის პორტები, თუმცა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა და ბაქო-სუფსას ნავთობსადენები და „სამხრეთკავკასიური გაზსადენი“, რომლებიც რუსეთის შემოჭრამდე ტერორისტების თავდასხმის მიზეზით იყო გაჩერებული — საომარი მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ, მალევე ამოქმედდა. ამით რუსეთმა დასავლეთს თითქოს აგრძნობინა, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში მისწრაფების მიუხედავად, მისი ინფრასტრუქტურა სრულიად მოწყვლადია. ამ მილსადენების ინფრასტრუქტურას არაერთხელ დაემუქრა სომხეთიც, რომლის იჯევანის რაიონი, სადაც რუსეთი ახალი სამხედრო ბაზის აგებას აპირებს და ყარაბაღის ოკუპირებული ტერიტორიები, მილსადენებიდან სულ რაღაც 14-16 კმ-თაა დაშორებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მილსადენებში იგულისხმება ნავთობსადენებიცა და გაზსადენიც.

გასათვალისწინებელია, რომ კასპიის ნახშირწყალბადების მარაგებიდან ევროპა უპირატესობას ეკოლოგიურად ყველაზე უსაფრთხო ნახშირწყალბადს – ბუნებრივ აირს ანიჭებს. ევროკომისიის მიერ ამ სფეროში შემუშავებული კომუნიკაციებით, პერსპექტივაში გაზის წილი ევროპის ენერგობალანსში (2010 წლის დასაწყისისთვის მისი წილი 18.8% იყო), განუხრელად გაიზრდება. ექსპერტების აზრით, ჩრდილოეთის ზღვაში ევროპის საკუთარი გაზის მარაგების შეზღუდულობის გამო, მზარდი მოხმარება გაზის იმპორტით დაკმაყოფილდება, მაგრამ ამ მხრივ, ევროპას საფასო რისკები ემუქრება.

კერძოდ, თუ ნავთობისა და ქვანახშირის ფასი საბირჟო კოტირებებით დგინდება, გაზის გარიგებები, დიდწილად, გამყიდველისა და მყიდველის შეთანხმების შედეგია. ამ თვალსაზრისით, ბრიუსელს ხელს არ აძლევს რუსულ „გაზპრომსა“ და ნორვეგიულ „სტატოილთან“ გაზზე გრძელვადიანი კონტრაქტებით განსაზღვრული ფასები. ევროპაში ნავთობის ფასზე „მიბმული“ აირის საშუალო ფასია 12 დოლარი ერთ მლნ ბრიტანულ სითბურ ერთეულზე მაშინ, როცა აშშ–ში ის 2.5 დოლარი ღირს. ამასთან, ევროკავშირის გაზის ბაზრის შემთხვევაში, საუბარია სისტემაზე, რომლის 90% ივსება მილსადენებით. დარჩენილი 10% თხევადი გაზით, რომლის მხოლოდ მეოთხედი იყიდება ბირჟაზე. აღნიშნულის შედეგად, ბრიუსელმა თავისი გაზის პოლიტიკაში პრიორიტეტი ორ მიმართულებას მიანიჭა.

პირველია, ფასების დაწევის მიზნით, გაზის არსებულ მომწოდებლებზე ზეწოლა და კონტრაქტებში ე.წ. სპოტური (მცირე პარტიებით, ძირითადად, თხევადი გაზის ტანკერებით ვაჭრობა) და არა ნავთობის ფასების გათვალისწინება. სწორედ ამ ახალი სიტუაციის გამო, დაიწყო 2012 წლის სექტემბრიდან ევროკომისიის ანტიმონოპოლიური გამოძიება „გაზპრომის“ წინააღმდეგ.

*დასასრული მე-15 გვერდზე*

## ვერსიანიუსი

### საპარლამენტო უმცირესობა დეპუტატმა გიორგი ფეიქრიშვილმა დატოვა



უმცირესობის რიგები კიდევ ერთმა დეპუტატმა — გარდაბნის მაჟორიტარმა გიორგი ფეიქრიშვილმა დატოვა.

შესაბამისი ინფორმაცია პარლამენტს საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარემ, დავით უსუფაშვილმა მიაწოდა.

ფეიქრიშვილი ის დეპუტატია, რომელმაც პარლამენტის ადგილმდებარეობის შეცვლასთან დაკავშირებით, უმრავლესობის მიერ ინიცირებულ საკონსტიტუციო ინიციატივას ხელი მოაწერა.

*„ინტერპრესნიუსი“*

### ბიძინა გუჯაბიძემ დეპუტატების ჩაცმულობაზე პროექტი მოამზადა

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელი ბიძინა გუჯაბიძე ითხოვს, დეპუტატებმა „საპროტოკოლო-საქმიანად ან ეროვნულად“ ჩაიცვან და პარლამენტართა ჩაცმულობის წესის შესახებ, რეგლამენტში შესატანი ცვლილებების პროექტიც მოამზადა.

პროექტით, პარლამენტის სხდომათა დარბაზში ჩაცმულობა საპროტოკოლო-საქმიანი ან ეროვნული უნდა იყოს, ავტორის განმარტებით კი, ცვლილებების მომზადების მიზანი ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის წარმოჩენა და პოპულარიზაციაა.

ბიძინა გუჯაბიძის კანონპროექტის ინიცირება ბიუროს სხდომაზე უკვე მოხდა.

*„ინტერპრესნიუსი“*



## თავისუფალი ტრიბუნა

მედეა კობახიძე-ასათიანი,
თეატრის კონცერტმეისტერი

# გზა დავულოცოთ პროფესიონალებს!

**ვისი იდეა იყო ქუთაისის მ. ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, რომელიც არსებობის 43-ე წელს ითვლის, გამხდარიყო ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრი და მუსიკალური დარბაზი? ამ ფაქტთან დაკავშირებით, საკუთარი პოზიციის დაფიქსირების გამო, პოლიტიკური ნიშნით, 2 წლის განმავლობაში თეატრიდან გაშვებული იყო რამოდენიმე პროფესიონალი თანამშრომელი. რომ არა ახალი მთავრობის მოსვლა ხელისუფლებაში, დღეს ისინი თეატრში არ იქნებოდნენ. დიდი გულისტკივილით მინდა გავაჟღერო და გავაცნო დღევანდელ საზოგადოებას ოპერის თეატრის წარსული და აწმყო. სამწუხაროდ, თეატრის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ნაკლებად აფასებს, როგორც წარსულის მონაპოვარს, ასევე მის თაობას.**



ქუთაისის ოპერის თეატრი შეიქმნა სახალხო ოპერის ბაზაზე, რომელიც იყო დაკომპლექტებული მუსიკალური სასწავლებლის კადრებით. შემდგომ კი გახდა ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომელსაც მიენიჭა მელიტონ ბალანჩივაძის სახელი. მისი სულისჩამდგმელი და ერთ-ერთი დამაარსებელი, წლების განმავლობაში მუსიკალური ხელმძღვანელი, მთავარი დირიჟორი, მრავალი ოპერისა და ბალეტის დამდგმელი გახლდათ მამაჩემი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, დირიჟორი თეიმურაზ კობახიძე.

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრი გაიხსნა 1969 წლის 27 დეკემბერს, ზაქარია ფალიაშვილის უკვდავი თხზულებით „აბესალომ და ეთერი". მას მოჰყვა ყოველ წელიწადს დადგმული უამრავი ოპერა და ბალეტი. ოპერები: მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერი", ოთარ თაქთაქიშვილის „მინდია", ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე", ზაქარია ფალიაშვილის „დაისი", შალვა მშველიძის „დიდოსტატის მარჯვენა", დავით თორაძის „ჩრდილოეთის პატარძალი", გოგი ჩლაიძის „დარისპანის გასაჭირი", პეტრე ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი" და „იოლანტა", სერგეი რახმანინოვის „ალეკო", ჯუზეპე ვერდის „რიგოლეტო", „ტრავიატა", „ტრუბადური", ჯაკომო პუჩინის „ტოსკა", როსინის „ჯამბაზები", ოფენბახის „პერიკოლა", კერესელიძის „ბაში-აჩუკი", საბავშვო ოპერები: ვ. გოკიელის „წითელქუდა და ბროლის ქოში", ა. ბუკიას „დაუპატიჟებელი სტუმრები". ბალეტები: ბ. ასაფიევის „ბაღჩისარაის შადრევანი", ლ. ჰერტელის „ბებია და შვილიშვილი", ი. შტრაუსის „ცისფერ დუნაისთან", ა. ბალანჩივაძის „მთების გული", ი. მოროზოვის „ექიმი აიბოლიტი", შ. დავიდოვის „ზვიადაური", ს. ცინცაძის „პოემა", ლ. მინკუსის „დონ-კიხოტი (გრან-პა), ბიზე-შჩედრინის „კარმენ-სუიტა", ჯ. გერშვინის საფ-ნო კონცერტის „ცისფერი რაფსოდიას" საბალეტო ვერსია, სადაც საფ-ნო პარტიას ვასრულებდი თქვენი მონა-მორჩილი. სპექტაკლები მიდიოდა სრული ანშლაგით. ამის დამსახურება იყო მასში მონაწილე მომღერლები და დირიჟორები.

უდიდესი პატივისცემით, მინდა, გავიხსენო მომღერლები: ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა და პეტრე ამირანაშვილები, ნოდარ ანდღულაძე, შოთა კიკნაძე, ცისანა ტატიშვილი, ლამარა ჭყონია, გაიანე დოლიძე, ზურაბ სოტკილავა, მაყვალა ქასრაშვილი, პაატა ბურჭულაძე. დირიჟორები: ოდისეი დიმიტრიადი, გივი აზმაიფარაშვილი, ზაქარია ხუროძე, ავთანდილ მამაცაშვილი, რევაზ ტაკიძე, რევაზ ხურცილავა, ირაკლი ჭიაურელი, ტარიელ დუგლაძე, თამაზ ჯაფარიძე, თენგიზ ჭუმბურიძე. სპექტაკლებს დგამდნენ: დოდო ალექსიძე, ვახტანგ ტაბლიაშვილი, გურამ მელივა, გივი გაჩეჩილაძე, ჯემალ ანჯაფარიძე, ვარლამ ნიკოლაძე, ნუგზარ ლორთქიფანიძე. საბალეტო სპექტაკლებს დგამდნენ და რეპეტიტორები იყვნენ: ანზორ მაჭარაძე, ანზორ სირბილაძე, ელგუჯა გუმბერიძე, ლევ მხითარიანი, ზურაბ კიკალეიშვილი, ბექარ მონავარდისაშვილი, ალეკო ჭიჭინაძე. სპექტაკლებს აფორმებდნენ მხატვრები: ივანე ასკურავა, შალვა ჩიქოვანი, კარლო კუკულაძე, თემურ არსენიძე, ნოდარ გაფრინდაშვილი.

როგორც ვიცით, ოპერის თეატრში ძირითადი ბირთვი გუნდი და ორკესტრია. გაზეთის ერთ სტატიაში ყველას ჩამოთვლა შეუძლებელია. დიდი პატივისცემით მინდა, აღვნიშნო ყოველი მათგანი საბალეტო დასის ჩათვლით, რომლებიც იმ წლებში ძალიან ცუდ პირობებში და მცირე ანაზღაურებით მუშაობდნენ, რომ არა მათი მაღალი პროფესიონალიზმი და თეატრისადმი უსაზღვრო სიყვარული, ზემოხსენებულ ოპერებსა და ბალეტებს წარმატება არ ექნებოდათ. ეს იყო წარსულში.

თეატრში, რატომღაც, ბოლო ადგილზე მოიაზრება კონცერტმეისტერი. მართალია, მათი სამუშაო კულისებსმიღმაა, მაგრამ რომ არა ეს ადამიანები, რომლებიც სოლისტებთან, გუნდსა და მოცეკვავეებთან მუშაობენ მცირე ანაზღაურებაზე, ორკესტრთან შეერთებისას სინთეზს ვერ შექმნიან.

საოპერო თეატრს წლების განმავლობაში ჰყავდა მოკარნახე. დღევანდელი ხელმძღვანელების აზრით, მოკარნახე საჭირო არაა, რადგან ევროპულ თეატრებში ასეა. გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ვედრებით ევროპულ თეატრებს, გავითვალისწინოთ მათი შემოქმედებითი დონე და ანაზღაურება, გვქონდეს ტიტრები.

**მიუხედავად იმისა, რომ შენობა გარემონტებულია, არ შეესაბამება ოპერის სტანდარტებს. სოლისტ-მომღერლებს უწევთ პატარა ოთახში, ერთ სარკესთან გრიმის გაკეთება. ინსტრუმენტი უვარგისია, რაც ხელს უშლის მომღერალს სუფთა ინტონაციის გაჟღერებაში. გუნდს აქვს ერთი ოთახი, სადაც არც სარკეებია, არც მაგიდები და არც საკიდები. თეატრის მუზეუმი მოუწყობელია. ის მასალები, რომლებიც თეატრის ისტორიას წარმოადგენენ, ზოგი განადგურებულია, ზოგიც მიგდებული. თეატრის სანოტო ბიბლიოთეკა უჰაერო ოთახშია, რაც იწვევს ნოტების დაობებას.**

იბადება კითხვა, როდესაც წარსულში თეატრს ჰქონდა ბევრად ნაკლები დაფინანსება და სპექტაკლების რაოდენობა იყო მრავალი, შემოქმედებითი დონე მაღალი, ამჟამად კი დაფინანსება მკვეთრად მომატებული, რატომაა სპექტაკლების რაოდენობა მწირი?

ბოლოს, მიუხედავად ყველაფრისა, საოპერო თეატრის დღევანდელი დასი, რომელიც ახალგაზრდებითაც არის დაკომპლექტებული, მომავლის იმედით სულდგმულობს. პატივს ვცემ მათ შემართებას, ერთგულებასა და თეატრისადმი სიყვარულს.

იმედს ვიტოვებ და სურვილი მაქვს, თეატრში იყოს ჯანსაღი და შემოქმედებითი ატმოსფერო. თეატრი არის შემოქმედთა სულიერი ტაძარი და მას უნდა მართავდნენ პროფესიონალი და ავტორიტეტულის ადამიანები.

## ექსპერტი

# სირია — კასპიისპირეთის ენერგეტიკული პროექტების ახალი გამოწვევა

*მე-14 გვერდიდან*

მეორეა, გაზმომარაგების დივერსიფიცირება. ამ მიზნით, ევროპა აპირებდა 31 მლრდ წლიური წარმადობის, ერზრუმი (თურქეთი)-ბუმგარტენი (ავსტრია) მარშრუტის „ნაბუქოს" გაზსადენის აგებას. ეს მილსადენი რუსეთიდან ენერგომომარაგების შეწყვეტის შემთხვევაში, ევროპას (როგორც ეს 2006, 2009 წლებში იყო) უსაფრთხოების დამატებით გარანტიებს აძლევდა. ამავდროულად, ის ზრდიდა მომწოდებლებს შორის კონკურენციას, თუმცა ბოლო პერიოდამდე პროექტი, მისი სამჯერ შეკვეცის მიუხედავად, კვლავ ელის „სოკარის" ვერდიქტს „შაჰ-დენიზის" გაზის ევროპაში ტრანსპორტირებისთვის.

ამ პროექტის საბოლოოდ „ჩავარდნის" შემთხვევისთვის, უკვე მისი ალტერნატიული აზერბაიჯანულ-თურქული პროექტი – „ტრანსანატოლიური გაზსადენია" ინიცირებული. ის, თავდაპირველად, მხოლოდ 16 მლრდ კუბმეტრის წლიური წარმადობის იქნება ანუ „ნაბუქოს" ნაცვლად, უკვე ეს გაზსადენი მოემსახურება „შაჰ-დენიზი 2"-ის 10 მლრდ კუბმეტრი გაზის (6 მლრდ კუბმეტრს თურქეთი დაიტოვებს) ევროპაში გადაგზავნას.




ბრიუსელისთვის სიტუაცია შედარებით გამარტივდა აშშ-ს „ფიქლების რევოლუციის" დაწყების შემდეგ, როდესაც თხევადი აირის მნიშვნელოვანი მოცულობა ამერიკული ბაზრიდან ევროპული ბაზრისკენ გადამისამართდა, თუმცა ევროპამ ბოლომდე არ უარყო „დერეფნის" მილსადენი გაზის ალტერნატიული წყაროები.

### ყატარის ახალი პროექტი

„სამხრეთის გაზის დერეფნის" პროექტების საწინააღმდეგოდ მოქმედებს სირიაში მიმდინარე მოვლენები. ჯერ კიდევ 2000–იან წლებში, მსოფლიოში მესამე დაზვერილი გაზის მარაგების მქონე ყატარმა, რომლის ტერიტორიაზეც პლანეტის უდიდესი აუთვისებელი ბუნებრივი აირის საბადო „ჩრდილოეთის მინდორია" (ირანში, რომელსაც ამ საბადოზე ასევე აქვს ხელწვდომა – მას „სამხრეთის ფარსს" უწოდებენ), აქცენტი თხევადი გაზის მიწოდების ზრდაზე გააკეთა. თხევადი გაზის ტანკერებით ექსპორტმა ეს პატარა, ახლოაღმოსავლური ქვეყანა, გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით, გადააქცია გლობალური ენერგობაზრის დამოუკიდებელ მოთამაშედ. მაგრამ, მისი გეოგრაფიული მდებარეობის გათვალისწინებით, ამ ქვეყნის შემოსავლის წყაროები დიდადაა დამოკიდებული სპარსეთის ყურეში უსაფრთხოების შენარჩუნებაზე.

რეგიონში კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში, თეირანი იმუქრება ორმუზის სრუტის გადაკეტვით – სრუტისა, რომლის გავლითაც მიემართებიან ატარგას–ის ტანკერები. ამის გამო ყატარი, საუდის არაბეთის მსგავსად, ცდილობს, განავითაროს სრუტის გვერდის ამქცევი ინფრასტრუქტურა. ამის მკაფიო მაგალითია, ახლახან დასრულებული გაზსადენი გაერთიანებული საამიროებისა და ომანის გავლით, რომელიც საჭიროების შემთხვევაში, ადვილად შეიძლება ომანის ყურემდე იქნას მიყვანილი, მაგრამ ეს მილსადენი ყატარს, სავარაუდოდ, ორმუზის სრუტის დაკეტვით მიყენებულ ზარალს ვერ აუნაზღაურებს. ამიტომ, დაახლოებით. 2008 წლიდან, ყატარის ხელისუფლება ახალ პროექტზე – ევროპისკენ მიწისზედა გაზსადენის აგებაზე ზრუნავს, რომლის რესურსები შეიძლება, „ჩრდილოეთის მინდვრის" მდიდარ საბადოებში მოიძიოს. ამით ყატარი „დაასწრებს" სანქციების ქვეშ მყოფ ირანს ამ სადავო საბადოს ათვისების დაწყებას. ამასთან, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე ცვლილებების ფონზე, სავსებით რეალურია მიწისზედა გაზსადენის სამივე სატრანზიტო ქვეყნის – საუდის არაბეთის, იორდანიისა და სირიის მხრივ ნებართვის მიღება. გაზსადენით სირიისა და იორდანიის დაინტერესება აშკარაა, რადგან ისინი, ნავთობისგან განსხვავებით, გაზის დეფიციტს განიცდიან. ამასთან, ერ-რიადისა და ამანის ევროპასთან დაახლოებისა და რეგიონის ახალი რეალიების გათვალისწინებით, გაზსადენის აგებაში ერთადერთი დაბრკოლება ბაშარ ალ–ასადის რეჟიმია.

ამ მარშრუტის განხორციელებაში სირია მნიშვნელოვანი რგოლი კიდევ იმ მიზეზითაა, რომ მის ტერიტორიაზე შეიძლება არა მარტო ყატარის, არამედ ეგვიპტის გაზმაც გაიაროს. ქაიროს ახალი მთავრობა, შემოსავლების მისაღებად დაინტერესებულია ბუნებრივი აირის ევროპაში მიწოდებით. ამ პროექტის წარმატების შემთხვევაში, ეგვიპტის „ძმები მუსლიმანების" მთავრობას აღარ ეყოლება გაზის ერთადერთი მონოპსონიური მყიდველი ისრაელი და აღარ მოუწევს ამ ქვეყანაში იაფი გაზის ექსპორტისთვის მუდმივი თავის მართლება. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ დოჰასა და ქაიროს შორის, სირიის ოპოზიციის მხარდაჭერის საკითხში, სრული ურთიერთგაგება ჩამოყალიბდა.

სირიის გავლით, თავისი ნახშირწყალბადების ხმელთაშუა ზღვის სანაპირომდე მიტანის, ყატარის მსგავსი გეგმები აქვს ირანსაც, მაგრამ ის აქცენტს, სირიის ახლანდელ კლანზე აკეთებს. ერაყის ს. ჰუსეინის მტრული რეჟიმის დამხობის შემდეგ, თეირანს გაუჩნდა მმართველი ნური ალ-მალიქის შიიტური მთავრობის იმედი, რათა ერაყის გავლით სირიაში გადაამისამართოს თავისი ნახშირწყალბადები, რითაც მას მსოფლიო ბაზარზე გასვლის პერსპექტივა ექმნება. ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე თავისი გაზის მიყვანით, ირანს უჩნდება იმის შანსი, რომ დასავლეთის სანქციების მიუხედავად, მესამე ან მეოთხე „ხელის" შუამავლობით, მოახერხოს თავისი ენერგომატარებლების რეალიზაცია.

თუმცა, როდის შეიძლება ამ პროექტების დაწყება, სირიაში მიმდინარე სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის პირობებში, ჯერ გაურკვეველია.

### ვის ინტერესებშია დაძაბულობა ახლო აღმოსავლეთში

ამჟამად, სირიის გავლით ევროპისაკენ „გაზპრომის" კონკურენტული, ახალი გაზსადენის გაყვანაზე საუბარი, ჯერჯერობით, წარმოუდგენელია, ამიტომ მოსკოვის პოზიციაა კონფლიქტის დაკონსერვება პრინციპით – „რაც უარესი, მით უკეთესი". სავარაუდოდ, ამით აიხსნება ის, რომ რეგიონში მოსკოვის უკანასკნელი მოკავშირისადმი მხარდაჭერა შემოიფარგლება გაერო-ს უშიშროების საბჭოში დასავლეთის სამხედრო ჩარევისადმი შეურიგებელი პოზიციით. ვიდრე ყატარი, ირანი და ევროკავშირი სირიის საკითხზე ერთმანეთთან არკვევენ ურთიერთობებს, „გაზპრომი" აგრძელებს თავის მეგაპროექტებს – „ჩრდილოეთის ნაკადს" (მიმდინარეობს მესამე და მეოთხე მილების დამატებაზე მსჯელობა) და „სამხრეთის ნაკადს" (წყალქვეშა სექციის მშენებლობა ჯერ არც კი დაწყებულა).

ამრიგად, თუ რუსეთი მოახერხებს სირიაში ომის დასრულებამდე და „სამხრეთის გაზის დერეფნის" პროექტების განხორციელებამდე, ახალი მილსადენების აგებას, ის სავარაუდოდ, შეინარჩუნებს ევროპის ენერგეტიკულ ბაზარზე მონოპოლიურ მდგომარეობას, რაც მისი ბიუჯეტის შევსებისათვის კრიტიკულად აუცილებელია. ამასთან, ყატარის გაზსადენის ზემოთ განხილული პროექტი, კონკურენტულია „სამხრეთის გაზის დერეფნისადმი" და მაშასადამე, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის, როგორც ამ დერეფნის სატრანზიტო რგოლებისადმი. აქედან გამომდინარე, რაც უნდა უცნაური იყოს, სირიაში დაპირისპირების გაჭიანურება, საქართველოსაც და რუსეთსაც ერთნაირად აწყობთ.



# ჰოროსკოპი
## 8 თებერვალი

**ვერძი** — დღეს იღბალი თან გდევთ და ამიტომ შეგიძლიათ, თამამად და დიად იმოქმედოთ. ფიქრზე დიდ დროს ნუ დაკარგავთ, თქვენი სასიცოცხლო ენერგია იზრდება. სურვილი გაგიჩნდებათ, რამდენიმე საქმე ერთდროულად გააკეთოთ, თუმცა სჯობს, ყველა პრობლემის ერთდროულად მოგვარებისგან თავი შეიკავოთ. დღის მეორე ნახევარი შეგიძლიათ, ხმაურიან წვეულებაზე გაატაროთ, მოგვიანებით კი, ენერგია იმისთვისაც გეყოფათ, გარკვეული დრო ოჯახის წევრებს დაუთმოთ.

**კურო** — კუროებისთვის ემოციურად დაძაბული დღეა. სამსახურში საქმეს თავს ვერ აბამთ, არც პარტნიორის არჩევაში გიმართლებთ, ინტუიციაც გღალატობთ. მოგიწევთ, არჩევანი სასიამოვნოსა და აუცილებელს შორის გააკეთოთ. სურვილი გაგიჩნდებათ, ყოველდღიურ ერთფეროვნებას თავი დააღწიოთ. ნუ დაემორჩილებით ნეგატიურ აზრებსა და გრძნობებს, არავითარ შემთხვევაში, არ დაკარგოთ ოპტიმიზმი.

**ტყუპები** — დღის ბოლოს, შესაძლოა, საკუთარ თავსაც ვერ აუხსნათ, სად ან რაში დახარჯეთ ამდენი ფული, მაგრამ ფინანსური საკითხები თქვენთვის არც ისე მტკივნეული თემაა. მთავარია, ზომიერების გრძნობამ არ გიღალატოთ და მანამდე მოასწროთ შეჩერება, ვიდრე თვის მთელ დანაზოგს ქარს გაატანდეთ.

**კირჩხიბი** — ცვლილებების დღე გელით. შეეცადეთ, ორგანიზებული იყოთ სამსახურში და რაც შეიძლება მეტი შეხვედრა დაგეგმოთ. დღეს დაწყებული ახალი ნაცნობობა, შესაძლოა, საკმაოდ ხანგრძლივი აღმოჩნდეს. მშვენიერი სქესის წარმომადგენლებმა ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას, დღის მეორე ნახევარი კი, სჯობს, მეგობრების წრეში გაატაროთ.

**ლომი** — დღეს ყურადღება დაუთმეთ ახლობლების რჩევებსა და მითითებებს, სწორედ მათი დახმარებითა და საკუთარი ინტუიციით შეძლებთ, შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსვლასა და უსიამოვნებებისთვის თავის არიდებას. საღამოს მოსალოდნელია რომანტიკული შეხვედრა ან ახალი ნაცნობობა, რაც შეიძლება, სერიოზულ ურთიერთობაში გადაიზარდოს.

**ქალწული** — ამ ნიშნის წარმომადგენლებს უამრავი საქმიანი შეხვედრა ელის, რაც პროფესიასთან იქნება დაკავშირებული. შეეცადეთ, კარგად გამოიყურებოდეთ და დღის მეორე ნახევარში, შესაძლო კონფლიქტი ოჯახის წევრებთან, ვერ გაგიფუჭებთ განწყობას. ემოციები მოთოკეთ. საღამოს ყველა საქმე დაივიწყეთ და კარგად გამოიძინეთ.

**სასწორი** — დღეს შესაძლებლობა მოგეცემათ, გარშემომყოფები საკუთარი დამოუკიდებლობითა და მტკიცე ხასიათით გააოცოთ. მართალია, თქვენი ნატურიდან გამომდინარე, გუნდური პრინციპით მოქმედება გირჩევნიათ, მაგრამ დღეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ინდივიდუალიზმი უნდა გამოამჟღავნოთ. კარგი დღეა საქმიან პარტნიორებთან კონტაქტების დასამყარებლად.

**მორიელი** — შესაძლოა, დღეს თქვენმა არასწორმა ნაბიჯებმა გააფუჭოს წამოწყებული საქმე. დიდია სასაცილო სიტუაციაში აღმოჩენის ალბათობა — ეს განსაკუთრებით, სუსტი სქესის წარმომადგენლებს ეხება. აუცილებელია, სერიოზულად მიუდგეთ პროფესიულ მოვალეობას, დღის მეორე ნახევარი კი, სჯობს, ახლობლების წრეში გაატაროთ.

**მშვილდოსანი** — ოჯახში სიმყუდროვესა და სითბოს შეიქმნით. დღის მეორე ნახევარში, შეიძლება, უსიამოვნო ცვლილებებიც მოხდეს და პირად ცხოვრებაში ერთგვარი სიფრთხილე გმართებთ, მაგრამ წარმატების მიღწევას ძალის გამოყენებით ნუ შეეცდებით, გახსოვდეთ, გარკვეული სიურპრიზები და სასიხარულო მოვლენები გელით.

**თხის რქა** — კარგი დღეა საქმიანი მოგზაურობისა და შეხვედრებისთვის. შეეცადეთ, უფრო მიზანდასახული იყოთ. ვარსკვლავები გაფრთხილებენ, საკუთარ ჯანმრთელობას მიხედოთ, რადგან არის ალბათობა, ქრონიკულმა დაავადებებმა იჩინოს თავი. დღეს თქვენი ენერგეტიკული, შემოქმედებითი და სექსუალური პოტენციალი ზემოთ მიიწევს, შეეცადეთ, ეს სასიკეთოდ გამოიყენოთ.

**მერწყული** — ახალ ნაცნობებთან კონტაქტი სერიოზულ პერსპექტივებს გპირდებათ. უმჯობესია, ყურადღება გაამახვილოთ საქმიან შეხვედრებზე, რადგან შესაძლოა, თქვენთვის მნიშვნელოვანი საკითხი სწორედ აქ გადაწყდეს. ცვლილებებისა და ახალი კონტაქტების დღეა, ფინანსური მდგომარეობაც შედარებით გაუმჯობესდება. დღის მეორე ნახევარში შეეცადეთ, ტემპი დააგდოთ და მშვიდ, მყუდრო გარემოში, მეგობრებთან ან საყვარელ ადამიანთან ერთად დაისვენოთ.

**თევზები** — თქვენი ბიუჯეტი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც უმჯობესდება. დღეს არ გირჩევთ, რაიმე ახალი საქმის წამოწყებას, სჯობს, ძველ პრობლემებს მიუბრუნდეთ, მათი მოგვარების შანსი დიდია.

## ამინდის პროგნოზი

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თბილისი | +16 | +16 | +16 |
| ქუთაისი | +23 | +21 | +21 |
| ბათუმი | +20 | +20 | +19 |
| სოხუმი | +20 | +19 | +18 |

| | პარასკევი | შაბათი | კვირა |
|---|---|---|---|
| თელავი | +15 | +15 | +15 |
| გუდაური | +4 | +4 | +3 |
| ბაკურიანი | +6 | +6 | +6 |
| მესტია | +12 | +11 | +8 |


### შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**




ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

**ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ**

**Appraisal.llc**

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



რაკეტის პილოტი
ბურუსი ანუ..
სრული ფიასკო
კოსმოსური სხეული
მანთიადი ანუ..
რძის ნაწარმი
კურორტი ბალტიის ზღვაზე
მარტოსული ანუ..
ცივი იარაღი
პაპის გვირგვინი
ძრავიანი ნავი
ლურჯი საღებავი
მუსიკალ. ინსტრუმენტი
იუპიტერის თანამგზავრი
გაუმაძღარი ანუ..
გულის ცემა ანუ..
ტოიოტას მანქანის მარკა
მოხტუნავე მწერი
საფოსტო გზავნილი
საგაზეთო წერილი
საფრანგეთის მდინარე
ქვეყანა ევროპაში
კომში ანუ..
ქსოვილი
ცეცხლის ენა..
პაპუა ახალი გვინეის ფული
თევზის კერძი
გამოძახილი
ორკაცა ველოსიპედი



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 9 | 4 | 8 |
| 4 | 9 | 3 | 8 | 7 | 6 | 5 | 2 | 1 |
| 2 | 1 | 8 | 5 | 9 | 4 | 3 | 7 | 6 |
| 9 | 4 | 7 | 2 | 3 | 8 | 1 | 6 | 5 |
| 6 | 8 | 2 | 4 | 1 | 5 | 7 | 3 | 9 |
| 5 | 3 | 1 | 9 | 6 | 7 | 4 | 8 | 2 |
| 3 | 5 | 4 | 1 | 8 | 2 | 6 | 9 | 7 |
| 8 | 7 | 9 | 6 | 5 | 3 | 2 | 1 | 4 |
| 1 | 2 | 6 | 7 | 4 | 9 | 8 | 5 | 3 |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 4 | 9 | 7 | 2 | 5 | 1 | 8 | 6 |
| 7 | 8 | 2 | 6 | 1 | 4 | 3 | 9 | 5 |
| 6 | 5 | 1 | 3 | 9 | 8 | 4 | 7 | 2 |
| 2 | 7 | 8 | 5 | 3 | 6 | 9 | 1 | 4 |
| 1 | 3 | 5 | 8 | 4 | 9 | 2 | 6 | 7 |
| 4 | 9 | 6 | 1 | 7 | 2 | 5 | 3 | 8 |
| 9 | 2 | 7 | 4 | 8 | 3 | 6 | 5 | 1 |
| 8 | 6 | 4 | 9 | 5 | 1 | 7 | 2 | 3 |
| 5 | 1 | 3 | 2 | 6 | 7 | 8 | 4 | 9 |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 2 | 4 | 9 | 1 | 8 | 7 | 6 | 5 |
| 1 | 8 | 7 | 2 | 6 | 5 | 9 | 4 | 3 |
| 9 | 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 8 | 1 |
| 2 | 5 | 3 | 6 | 9 | 4 | 1 | 7 | 8 |
| 4 | 1 | 9 | 8 | 2 | 7 | 3 | 5 | 6 |
| 8 | 7 | 6 | 3 | 5 | 1 | 4 | 2 | 9 |
| 6 | 4 | 2 | 5 | 3 | 9 | 8 | 1 | 7 |
| 5 | 9 | 8 | 1 | 7 | 2 | 6 | 3 | 4 |
| 7 | 3 | 1 | 4 | 8 | 6 | 5 | 9 | 2 |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 4 | 2 | 7 | 9 | 8 | 5 | 3 |
| 5 | 9 | 3 | 4 | 6 | 8 | 1 | 7 | 2 |
| 8 | 2 | 7 | 5 | 3 | 1 | 9 | 4 | 6 |
| 9 | 1 | 8 | 3 | 5 | 7 | 2 | 6 | 4 |
| 7 | 5 | 6 | 1 | 4 | 2 | 3 | 9 | 8 |
| 4 | 3 | 2 | 9 | 8 | 6 | 7 | 1 | 5 |
| 6 | 8 | 1 | 7 | 2 | 5 | 4 | 3 | 9 |
| 2 | 4 | 9 | 6 | 1 | 3 | 5 | 8 | 7 |
| 3 | 7 | 5 | 8 | 9 | 4 | 6 | 2 | 1 |



# ჰოროსკოპი
## 9 თებერვალი

**ვერძი** — დროსა და ენერგიას უსარგებლო საქმეებზე ნუ დახარჯავთ. სჯობს, კონცენტრირება რეალურად მნიშვნელოვან საკითხებზე მოახდინოთ, ასეთი კი დღეს მხოლოდ ერთია, ამიტომ ყველა სხვა დანარჩენი საქმე, უმჯობესია, გადადოთ.

**კურო** — ვარსკვლავები დღეს თქვენს მიმართ კეთილგანწყობილნი არიან. ერთნაირად წარმატებული დღეა როგორც ფინანსურ, ასევე შემოქმედებით სფეროში. შეეცადეთ, განახორციელოთ ყველაზე თამამი იდეები და გეგმები, მიღებული შედეგებით თავადაც სასიამოვნოდ გაოცებული დარჩებით.

**ტყუპები** — ნუ შეეწინააღმდეგებით ცხოვრების დინებას, სჯობს, მიჰყვეთ მას. შეეგუეთ იმ ფაქტს, რომ ვიათრება კი არა, მის მიმართ დამოკიდებულება უნდა შეცვალოთ. დღეს ნუ შეიძენთ ისეთ რამეს, რაც რეალურად, არაფერში გჭირდებათ.

**კირჩხიბი** — დღე ისე დაგეგმეთ, ერთი თავისუფალი წუთიც არ დაგრჩეთ. ამით თავს დაიზღვევთ ცუდი ფიქრებისა და მათი ნეგატიური გავლენისგან. კარგი იქნება, თუ საღამოს მხიარულ წვეულებაზე წახვალთ, მთავარია, იყოთ იქ, სადაც ბევრი ხალხი და ხმაურია.

**ლომი** — არასასურველი დღეა ფინანსებთან დაკავშირებული ოპერაციების განსახორციელებლად. ყველა ასეთი საქმე, სჯობს, მომდევნო დღისთვის გადადოთ. არსებობს რისკი, რომ არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებთ. დღის მეორე ნახევარი კი მეგობრების წრეში გაატარეთ.

**ქალწული** — ნუ დაიჯერებთ იმას, რასაც ასე აქტიურად გახვევენ თავს გარშემომყოფები. ენდეთ საკუთარ ლოგიკასა და ობიექტურ აზრს. ვიღაცას ძალიან უნდა თქვენი შეცდომაში შეყვანა.

**სასწორი** — ყურადღებით იყავით თქვენს ირგვლივ განვითარებული მოვლენების მიმართ და სიფრთხილე გამოიჩინეთ, რომ არ გახდეთ შეთქმულების მსხვერპლი. კარგი დღეა რომანტიკული ურთიერთობის დასაწყებად, საღამო კი მშვიდ გარემოში გაატარეთ.

**ლრიანკალი** — დღის პირველ ნახევარში შეეცადეთ, თავი შეიკავოთ მძაფრი რეაქციებისგან, თუნდაც ამისთვის უამრავი მიზეზი გქონდეთ. საღამოსთვის, შესაძლოა, მთელი ძალების მოკრება დაგჭირდეთ საჭირბოროტო საკითხების მოსაგვარებლად. მოგვიანებით, თავს უფლება მიეცით, მოდუნდეთ და გაერთოთ.

**მშვილდოსანი** — საყვარელ ადამიანს დღეს ნუ მოუწყობთ დაკითხვასა და ეჭვიანობის სცენებს, ამით სასურველ შედეგს ნამდვილად ვერ მიაღწევთ, პირიქით, გააფუჭებთ ურთიერთობას. მოვა დრო, ის თავად აგიხსნით ყველაფერს. ვარსკვლავები გირჩევენ, დღეს ფული კარგ საქმეში დააბანდოთ.

**თხის რქა** — დღეს მოსალოდნელია, შორეული ნათესავი გესტუმროთ ან ისეთი ადამიანი, რომელიც არ გესიმპათიურებათ, თუმცა იძულებული იქნებით, მას პრობლემების მოგვარებაში დაეხმაროთ. შეეცადეთ, არ გამოამჟღავნოთ გაღიზიანება.

**მერწყული** — თუ მართლა ფიქრობთ, რომ ყოველთვის მართალი ხართ, დღეს მოგიწევთ ამაზე სერიოზულად დაფიქრება. საკუთარი შეცდომების აღიარება ადვილი არაა, მით უმეტეს, თუ ხელმძღვანელი ხართ, მაგრამ გამოიჩინეთ გამბედაობა და ყველაფერი კარგად იქნება.

**თევზები** — თევზებს ვარსკვლავები ურჩევენ, დღეს მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინონ, რადგან დიდია ალბათობა დანაკარგისა. შესაძლებელია, ეს საბუთები ან რაიმე ძვირფასი ნივთი იყოს. მთლიანად დღე დაძაბული იქნება, მაგრამ ეცადეთ, წინასწარ გათვალოთ ყველა ნაბიჯი და თავიდან აირიდოთ უსიამოვნებები. საღამოს შეგიძლიათ მოეშვათ და ოჯახურ გარემოში დაისვენოთ.

## იაპონელებში კუდების მოდაა



ერთ-ერთმა კომპანიამ ამომავალი მზის ქვეყნიდან უცნაური გასართობი — „ემოციური კუდი“ შექმნა. ცნობილია, რომ ცხოველებს კუდი მხოლოდ მწერების დასაფრთხობად კი არა, ემოციების გამოსახატადაც სჭირდებათ. სიხარულისა თუ უკმაყოფილების საჩვენებლად ადამიანებს საკმარისი ხერხები გვაქვს, თუმცა, როგორც ჩანს, იაპონელი სწავლულები ასე არ ფიქრობენ. მათ ახალ მოწყობილობას Shippo ჰქვია და ის ძალიან მარტივად მუშაობს. კუდს წელზე, სპეციალური სენსორის დახმარებით ამაგრებენ. სენსორი გულისცემის მონიტორინგის სისტემით არის აღჭურვილი. შედეგად, კუდის მფლობელს, რაც უფრო ხშირი გულისცემა აქვს — მაგალითად, რაიმე ძალიან უხარია, „ემოციურ კუდს“ უფრო სწრაფად აქიცინებს.

## სახლებს სირაქლემები იცავენ



უკრაინაში მდიდარი ადამიანები საკუთარი აგარაკების დაცვას ძაღლებს კი არა, სირაქლემებს ანდობენ და ირწმუნებიან, რომ ეს ფრინველები მშვენივრადართმევენ თავს ამ მოვალეობას. ჩანს, მოდარაჯე ძაღლებს სერიოზული კონკურენტი გაუჩნდათ. კიევთან ახლოს მდებარე სირაქლემების ფერმაში აცხადებენ, რომ სახლის დაცვაში ეს ფრინველები უფრო ეფექტურები არიან, ვიდრე ოთხფეხა მეგობრები. მოზრდილი აფრიკული სირაქლემას სიმაღლე 2,5 მეტრი, წონა კი 200 კილოგრამია, მას საკუთარი ტერიტორიის დაცვის განსაკუთრებული ინსტინქტი აქვს, უცხოების გამოჩენას მის სამფლობელოზე თავდასხმად აღიქვამს და შეტევაზე გადადის. უტევს საკმაოდ აგრესიულად და შეუძლია, ფეხის დარტყმით ადამიანს ხერხემალი დაუმტვრიოს. სირაქლემების კიდევ ერთი პლუსი ის არის, რომ ძალიან კარგად იციან თავისიანისა და უცხოს გარჩევა. ნაკლი კი ისაა, რომ მარტო ცხოვრება არ შეუძლიათ, ამიტომ სადარაჯოდ ამ ფრინველის ყიდვისას, ერთი კი არა, 3 ან 4 უნდა შეიძინოთ. დიდი ზომის ფრინველთა ამხელა ოჯახისთვის მიწის ნაკვეთიც შესაბამისი უნდა გქონდეთ.

# ყველაზე მდიდარი მონარქი ბრიტანელებს ჰყავთ



ცნობილ გამოცემა „ფორბსის“ ვერსიით, დიდი ბრიტანეთის დედოფალი ელისაბედ II თანამედროვეობის ყველაზე მდიდარი მონარქია. მისი ქონება 94,8 მილიარდ დოლარადაა შეფასებული. ამ თანხაში შედის სამეფო რეზიდენციების (ბუკინგემისა და კენსინგტონის სასახლეები), ჰოლირუდისა და სენტ-ჯეიმსის სასახლეების, უინძორის ციხესიმაგრისა და ხელოვნების ნაწარმოებების უნიკალური კოლექციის ღირებულება. აღსანიშნავია, რომ გამოცემის რეიტინგში სულ ორი მანდილოსანია: ელისაბედი და ნიდერლანდების დედოფალი ბეატრიქსი 15,8 მილიარდი დოლარის ქონებით. ის სიის მე-7 საფეხურზეა. ყველაზე მდიდარი მონარქების ლიდერთა სამეულში შევიდნენ სპარსეთის ყურის წარმომადგენლები: საუდის არაბეთის 87 წლის მეფე აბდულა (63,2 მილიარდი დოლარი) და არაბთა გაერთიანებული საამიროების პრეზიდენტი, აბუ-ზაბის შეიხი ალ-ნაჰიანი (47,4 მილიარდი დოლარი). რეიტინგში მოხვდნენ ასევე ნავთობით მდიდარი ხუთი ქვეყნის მეფეები, რომელთაგან ყველაზე „ღარიბი“ ბაჰრეინელი მონარქია 5,53 მილიარდი დოლარით.

## ევროკავშირი კოსმეტიკის შეტანას კრძალავს




როგორც ჩანს, მალე, ევროკავშირის ქვეყნებში კოსმეტიკის დეფიციტი შეიქმნება, რადგან გაერთიანება ათეულობით ბრენდის ნაწარმის შეტანას კრძალავს. საქმე ისაა, რომ ევროკავშირმა, როგორც იქნა, დააფიქსირა საბოლოო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ კოსმეტიკური პროდუქციის ტესტირება ცხოველებზე დაუშვებელია და ამიტომ ასეთი ნაწარმის იმპორტი აიკრძალება. გადაწყვეტილება ძალაში უკვე მარტიდან შედის და რასაკვირველია, გავლენას მოახდენს სილამაზის ინდუსტრიაზე. იმის თაობაზე, თუ რამდენად ძლიერად შეიცვლება პროდუქციის ასორტიმენტი ევროპულ დახლებზე, შეგვიძლია კომპანიების რეესტრით ვიმსჯელოთ, რომლებიც კვლავ ჯიუტად განაგრძობენ ტესტებს ცხოველებზე. „შავი სიის“ მიხედვით, რომელიც ცხოველთა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის ეტა საიტზეა განთავსებული, ევროპელებს მოუწევთ, უარი თქვან ცუვუე-ს კონტაქტურ ლინზებზე, Alway-ის ჰიგიენურ საშუალებებზე, Aquafresh-ის კბილის პასტებზე და Avon-ის კოსმეტიკაზე. მამაკაცებს Axe-ს საშუალებების დავიწყება მოუწევთ, გოგონებს კი Bobbi Brown-ის დეკორატიული კოსმეტიკისა. ევროპაში აღარც Gucci-სა და Ralph Lauren-ის პარფიუმები გაიყიდება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ბრენდების გრძელი სიის დასაწყისია, რომელთაც ევროპული ბაზრის დავიწყება მოუწევთ.



## კვირაში ერთხელ კამათი სასარგებლოა

მეუღლეებს შორის ურთიერთობების კვლევისას, ამერიკელი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ოჯახის შესანარჩუნებლად კამათი აუცილებელია, მაგრამ არა ყოველდღიური, არამედ კვირაში ერთხელ. ანალოგიური კვლევა ჩატარდა ერთ-ერთ ინდურ პორტალზეც. რესპონდენტთა 44% დაეთანხმა იმ მოსაზრებას, რომ კამათი უკეთ საუბრის საშუალებას აძლევთ და სტრესსაც უხსნით, დადებითად მოქმედებს გარშემომყოფებზეც. ოჯახში კი მის შემდეგ დაძაბულობა მოხსნილია და იდილია სუფევს. იტალიაში, სადაც ოჯახური გარჩევები ლამის ეროვნული ტრადიციაა, 1 000 ოჯახურ წყვილზე სულ 180 განქორწინება მოდის. ფსიქოლოგების განცხადებით, უთანხმოება უნდა მოგვარდეს და ამის საუკეთესო საშუალება კამათია. განსაკუთრებით არასასურველი ემოციების შეკავება მამაკაცისთვისაა. ისინი, ვინც კამათის დროს ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ და საკუთარი აზრის გამოთქმას ერიდებიან, ყველაზე ხშირად ავადდებიან გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით.

# სუდოკუმანია

## ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | 8 | 2 |
| | 3 | | | 8 | | 6 | | |
| | | | 6 | | 4 | 1 | | 7 |
| | | 9 | | | | | 7 | 4 |
| 8 | | | 5 | 9 | 2 | | | 1 |
| 3 | 2 | | | | | 5 | | |
| 9 | | 4 | 8 | | 6 | | | |
| | | 3 | | 2 | | | 1 | |
| 5 | 6 | | | | | | | |

## სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 6 | | | | | | | |
| 9 | | | | 5 | | | | 3 |
| | 7 | | 4 | | | | | 9 |
| | 1 | 4 | | | 5 | | | |
| | | 2 | 3 | | 4 | 8 | | |
| | | | 2 | | | 9 | 3 | |
| 2 | | | | | 1 | | 6 | |
| 7 | | | | 3 | | | | 5 |
| | | | | | | | 7 | |

## რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 4 | | | | | 9 | 6 |
| 9 | | | | 4 | | 5 | 3 | |
| | | 1 | 5 | | | 8 | | |
| | | | | 3 | 5 | | | |
| | | 2 | 4 | | 9 | 7 | | |
| | | | 2 | 6 | | | | |
| | | 5 | | | 1 | 3 | | |
| | 6 | 8 | | 5 | | | | 1 |
| 1 | 2 | | | | | 4 | | |

## ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 8 | | | | |
| | | | 3 | 7 | | 2 | 1 | 8 |
| | 8 | | 5 | | | | 6 | 9 |
| | 7 | 4 | | 3 | | | | |
| 1 | | 3 | | | | 4 | | 5 |
| | | | | 6 | | 8 | 7 | |
| 7 | 4 | | | | 3 | | 8 | |
| 9 | 3 | 1 | | 2 | 8 | | | |
| | | | | 1 | | | | |



## ვაშლი კბილებისთვის საზიანოა?

ლონდონის სტომატოლოგიის კოლეჯის სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ზიანის მხრივ, ვაშლის მოქმედება 4-ჯერ (!) აღემატება გაზიან ტკბილ სასმელს. ინგლისელი დანტისტები შეეცადნენ, დაედგინათ კავშირი დიეტასა და კბილების მდგომარეობას შორის. მათ ექსპერიმენტში 18-დან 30-წლამდე ასაკის, 1 000-ზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა. აღმოჩნდა, რომ მათ, ვინც ვაშლს ჭამდა, კბილის ემალის დაზიანების ალბათობა 3,7-ჯერ უფრო მაღალი ჰქონდა. კბილებზე მავნე ზემოქმედებით ვაშლი ლუდზე უარესიც კი ყოფილა — ქარვისფერი სითხე კბილების დაზიანების რისკს „მხოლოდ“ 3-ჯერ ზრდის. მეცნიერთა მოსაზრებით, ეს ხილი ადამიანის ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა, მაგრამ კბილებისთვის საზიანო. როგორც მკვლევარები აცხადებენ, თუ ვაშლს რეგულარულად და ნელ-ნელა მიირთმევთ, მაღალი მჟავიანობა აუცილებლად აისახება კბილების მდგომარეობაზე. უფრო მეტიც, ხილის ზოგიერთი ჯიში 4 ჩაის კოვზ შაქარს შეიცავს, რაც პირის ღრუში მჟავიანობის დონეს მკვეთრად ზრდის.




## კიბოს წამალი აღმოაჩინეს?

კანადელმა მეცნიერებმა ედმონტონის უნივერსიტეტიდან სიმსივნის წამალს მიაგნეს, თუმცა ეს ინფორმაცია მედიის ყურადღებისმიღმა დარჩა. სწავლულების განცხადებით, კარგად ცნობილი პრეპარატი დიქლორაცეტატი (დიცჰლოროაცეტატე), რომელიც ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას გამოიყენება და არ წარმოადგენს რთულ ქიმიურ ნივთიერებას, კიბოს უჯრედებს არნახული ეფექტით ანადგურებს, ხოლო ჯანმრთელ უჯრედებს არ ეხება. სენსაციური შედეგით დასრულდა კონკრეტული ექსპერიმენტი, როდესაც ეს პრეპარატი მკერდის რბილი ქსოვილებისა და ტვინის უჯრედების სიმსივნისას გამოიყენეს. აღმოჩნდა, რომ დაავადებული უჯრედები სრულად განიკურნა, ხოლო ჯანმრთელი ხელუხლებელი დარჩა. ნებისმიერ ორგანიზმში არსებობს კიბოს საწინააღმდეგო უჯრედები, მაგრამ მათი ამოქმედებაა საჭირო. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ პრეპარატის — დიქლორაცეტატის მიღების შედეგად, ორგანიზმში მათი გააქტიურება მოხდა. მეცნიერები ამ ნივთიერებას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, რადგან იმედოვნებენ, რომ მისი გამოყენებისას, გვერდითი მოვლენები მინიმალური იქნება და არც რაიმე განსაკუთრებული პატენტი დასჭირდება მკურნალობის ამ ხერხს.

## სიზმრებს რობოტი დახატავს



21-ე საუკუნეში რობოტები რომ თითქმის ყველა სფეროში არიან, გასაკვირი აღარავისთვისაა — მათ ჯერ საწარმოებში ჩაანაცვლეს ადამიანები, ახლა კი, ძილის დროს, თქვენს გონებაში შემოღწევასაც ცდილობენ, თუმცა ამას მხოლოდ „კეთილი სურვილით“ აკეთებენ. ახალ მანქანებს ადამიანის სიზმრის ნახატად გადაქცევა შეუძლიათ. ასეთი რობოტები სასტუმროთა ქსელში Ibis Hotels, პარიზში, ბერლინსა და ლონდონში „მუშაობენ“. იმისთვის, რომ მანქანამ თქვენი ძილი „დახატოს“, სპეციალურ მატრასზე დაწოლაა საჭირო, რომელსაც 80 სენსორი აქვს ჩამონტაჟებული. სენსორები ძილის დროს აფიქსირებენ წნევას, ხმას, მოძრაობასა და სხეულის ტემპერატურას. მიღებულ ინფორმაციას მატრასი, უკაბელო კავშირის მეშვეობით, პარიზის სამხატვრო აკადემიაში გზავნის, სადაც ალგორითმი მონაცემებს აანალიზებს და ვიზუალურად, ტილოზე გამოსახავს.

## ტაივანელებმა ბარბი-კაფე გახსნეს




ქალაქ ტაიბეიში მსოფლიოში პირველი ოფიციალური კაფე გაიხსნა, რომელიც მთლიანად თოჯინა ბარბის ეძღვნება. საზოგადოებრივი კვების დაწესებულება ვარდისფერია, სადაც ყოველ ნაბიჯზე შეგხვდებათ ამ გლამურული თოჯინას სკულპტურები თუ პორტრეტები. კაფესთვის სპეციალურად შეირჩა ოფიციანტი გოგონები და ბარმენები. „ბარბი-კაფე“ იმიტომ გავხსენით, რომ აქ საკმაოდ პოპულარულია პატარა თემატური რესტორნები. დარწმუნებულები ვართ, ჩვენი კაფეტერიაც წარმატებული იქნება და კარგ შემოსავალს მოგვიტანსო, — აცხადებენ მფლობელები.

## ყავის მოყვარულებს სიბრმავე ემუქრება



ამერიკელი სწავლულების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ დღეში სამი ფინჯანი ყავაც კი საშიში ყოფილა ადამიანის ჯანმრთელობისთვის. მათი მოსაზრებით, ეს სასმელი მნიშვნელოვნად ზრდის გლაუკომას განვითარების რისკს, რასაც შედეგად, შესაძლოა, მხედველობის დაკარგვა მოჰყვეს. ოფთალმოლოგები, რომლებიც ატარებდნენ ამ გამოკვლევას, ყავის მოყვარულებს მისი დღიური დოზის მნიშვნელოვნად შემცირებას ურჩევენ. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ გზით დაავადების წარმოქმნის რისკი თავიდან აიცილოთ, ანდა გლაუკომას არსებობის შემთხვევაში, მისი განვითარება შეაფერხოთ. თვალის ეს მძიმე დაავადება დღემდე ბოლომდე არაა შესწავლილი და არც მისი გამომწვევი მიზეზებია ცნობილი, ამიტომ როგორც მკვლევარები აცხადებენ, სჯობს, დილით ერთი ფინჯანი ყავით დავკმაყოფილდეთ, ჩვენს ჯანმრთელობას ეს მაინცდამაინც დიდ ზიანს არ მიაყენებს. სტატისტიკური მონაცემებით, ადამიანების უმრავლესობა საუზმესთან ერთად, შავ ყავას ანიჭებს უპირატესობას (33%), რძიან ყავას — 25%, დანარჩენები კი მწვანე ან შავ ჩაის, კაკაოს, ან უბრალოდ წყალს მიირთმევენ.



# ჰოროსკოპი

## 10 თებერვალი

***ვერძი*** — კარგი დღეა თანამოაზრეებთან, მეგობრებთან, საყვარელ ადამიანთან ურთიერთობისთვის, ამიტომ თამამად დაგეგმეთ მეგობრებთან ერთად პიკნიკი, ანდა რომანტიული ვახშამი. დღე არასასურველია მუშაობისთვის. შეეცადეთ, ეს დრო დასვენებისა და გართობისთვის გამოიყენოთ, რათა მომდევნო დღეებისთვის ენერგია აღიდგინოთ.

***კურო*** — თქვენი მისწრაფება კომფორტისა და სიამოვნებისკენ ძალიან დიდია, მთელი დღე, შესაძლოა, აღმაფრენაში გაატაროთ. ვარსკვლავებიც გირჩევენ, თვითკონტროლი მოადუნოთ და დღეს უარი თქვათ სამუშაოზე. კარგი დღეა შენაძენისთვის — სახლისთვის რაიმე ლამაზი ნივთი იყიდეთ. დღის მეორე ნახევარში დიდია ალბათობაა რომანტიკული შეხვედრისა.

***ტყუპები*** — დღეს იზრდება სასიამოვნო შთაბეჭდილებების მიღების ალბათობა, ემოციების დაფარვასაც ვერ ახერხებთ, თუმცა ცდილობთ, საქმეში ცოტა ეშმაკობა ჩართოთ. მხოლოდ შეეცადეთ, ეს თვისებები კეთილი საქმეებისკენ მიმართოთ და არა, სხვადასხვა მაქინაციების განსახორციელებლად.

***კირჩხიბი*** — დღის განმავლობაში, თანდათან იზრდება ინტერესი რთული და დაფარული თემებისადმი. თუ რაიმეს გამოძიებას დაიწყებთ, იმედგაცრუებისთვისაც მზად იყავით, რადგან დაბრკოლებები გელით. ვარსკვლავები გირჩევენ, ეს დღე საოჯახო საქმეებს მოახმაროთ, სამსახურში კი ძნელად გადასაჭრელი პრობლემები სხვა დროისთვის გადადეთ.

***ლომი*** — შეეცადეთ, გულთან ახლოს არ მიიტანოთ უფროსობის მოსაზრებები და განწყობა. ყველაფერი ვერ ასრულდება, ამიტომ დიდად ნუ ინერვიულებთ. გაავლეთ ზღვარი რეალობასა და თქვენს ფანტაზიებს შორის. კარგი დღეა ახალი საქმეების წამოსაწყებად, მხოლოდ თანამოაზრეების მოძებნა უნდა შეძლოთ. ამ საქმეში ვარსკვლავები წარმატებას გპირდებიან.

***ქალწული*** — გახსოვდეთ, რომ ფინანსების განკარგვა მხოლოდ თქვენი პრეროგატივაა და კარგი იქნება, თუ ამ საქმეში ჩარევის უფლებას ნაკლებად მისცემთ ვინმეს. მატერიალურ საფუძველზე წარმოქმნილი გაღიზიანება თქვენს შრომისუნარიანობაზეც უარყოფითად აისახება. საღამოს გატარებას ვარსკვლავები მყუდრო გარემოში გირჩევენ.

***სასწორი*** — თქვენს ყურადღებას ექსპერიმენტები და კრიტიკული სიტუაცია მიიქცევს. წარსულს გადახედეთ ან მოემზადეთ რთული პრობლემების გადასაჭრელად. კარგი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისთვის, სასურველ შედეგს აუცილებლად მიაღწევთ. პირად ურთიერთობებში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის, ამიტომ ჩვეული, თბილი ურთიერთობა შეინარჩუნეთ ახლობლებთან.

***მორიელი*** — პარტნიორთან ურთიერთობისას, ბაქიაობას ნუ დაიწყებთ, დღეს საკმაოდ ემოციური ხართ და დიდია ალბათობა, თქვენი პარტნიორიც ამ მდგომარეობაში იყოს. მოერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციას. ვიდრე ვინმეს ბრალს დასდებდეთ, საკუთარი საქციელი შეაფასეთ. დღე კარგია ქველმოქმედებისთვის.

***მშვილდოსანი*** — დღეს არც ისე თავისუფალი ხართ, როგორც გეგონათ. ყოველ შემთხვევაში, მატერიალურმა მხარემ, შესაძლოა, ურთიერთობებში პრობლემები შეგიქმნათ. გაწეულ სამსახურზე მადლობას თუ არ გეტყვიან, ნუ განაწყენდებით. დღეს ემოციები უფრო სჭარბობს, ვიდრე რაციონალური და ადეკვატური რეაქცია.

***თხის რქა*** — დღეს სრული უფლება გაქვთ, მოეშვათ და სიამოვნება მიიღოთ. შეეცადეთ, ზომიერი იყოთ ალკოჰოლთან მიმართებაში. თუ თქვენი საქმიანობა დაკავშირებულია ბიზნესთან, ფრთხილად მიუდექით ხარჯებს. საღამოს მეგობრების წრეში, სადმე გაისეირნეთ და ხმაურიან წვეულებაზეც ნუ იტყვით უარს.

***მერწყული*** — დღეს არ ღირს ყველაფერში ეკონომია, სჯობს, ახლობლები საჩუქრებითა და სურვილების ასრულებით გაანებივროთ, თუმცა ზედმეტი არ მოგივიდეთ. ამ დღეს ხშირია ხასიათის რადიკალური ცვალებადობა, მაგალითად სიხარული, მოულოდნელად, შეიძლება, წყენით შეგეცვალოთ.

***თევზები*** — დღის განმავლობაში დიდია ალბათობა ახალი, მოულოდნელი ნაცნობობისა. შესაძლოა, ისეთ ადამიანს შეხვდეთ, ვინც არ იმსახურებს თქვენს ნდობას. მოსალოდნელია ცრუ ინფორმაციის მიღებაც, რაც ხასიათს გაგიფუჭებთ. დღის მეორე ნახევარი კი, შეეცადეთ, ახლობლების წრეში გაატაროთ.



ზვიად გამსახურდია
ZVIAD GAMSAKHURDIA




მერაბ კოსტავა
MERAB KOSTAVA

# „საარქივო მოამბე" მერაბ კოსტავას ფსიქიატრიული ექსპერტიზის საიდუმლო დოკუმენტს აქვეყნებს

ჟურნალი „საარქივო მოამბე" მერაბ კოსტავას დაპატიმრების გრიფით „საიდუმლო" დოკუმენტებს აქვეყნებს.

დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ 1977 წელს, მერაბ კოსტავა ფსიქიატრიული შემოწმებისთვის ორთაჭალის ციხის საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში გაგზავნეს.

სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ დადგენილებაში კოსტავა დახასიათებულია, როგორც **„კეთილი, სამართლიანი, გულისხმიერი, არაქედმაღალი, ცოტა ჯიუტი [პიროვნება, რომლის გადარწმუნებაც რთულია. ალკოჰოლურ სასმელს არ ეტანება".**

ფსიქიატრთა დასკვნაში ნათქვამია, რომ **„კანონდარღვევის დროს ფსიქიკური აშლილობა არ შეინიშნებოდა, [კოსტავა თავის ქმედებებზე პასუხისმგებელია, ამიტომ ის შეიძლება ჩაითვალოს შერაცხადად".**

აღსანიშნავია, რომ, როგორც გამოქვეყნებული მასალებიდან ჩანს, კოსტავამ უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ალ. ინაურს, პატიმრობისას წერილიც მისწერა. ქართველი დისიდენტი წერილში ფსიქიატრიულ შემოწმებაზე გაგზავნას აპროტესტებს:

**„რატომ მაინცდამაინც დისიდენტები გამოდიან ფსიქიატრიულად დაავადებულები? რატომ ერთხელაც არ მოგსვლიათ აზრად, უშიშროების რომელიმე მუშაკი გაგეგზავნათ ექსპერიმენტისთვის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში? დისიდენტებს იმიტომ ეკერებათ ფსიქიკურად დაავადებულის იარლიყი, იდეოლოგიური სტანდარტიდან გადახვევას რომ ვერ იტანს ჩვენი ოფიციალობა",** — ნათქვამია წერილში.




დავეხმაროთ დიტოს!

დარეკეთ 0901-08-08-06

ყველა მობილური ოპერატორიდან და სილქნეტის ყველა ქსელიდან

ზარის ღირებულებაა 1 ლარი

დიმიტრი ცინცაძეს აქვს სიმსივნე, კერძოდ დიფუზური მსხვილუჯრედიანი არაჰოჯკინის ლიმფომა. ჩაუტარდა ქიმიოთერაპიის 2 კურსი, მაგრამ კვლავ საჭიროებს კურსის გაგრძელებას და შემდგომში ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვის გადაუდებელ ოპერაციას საზღვარგარეთ. ოპერაციის ფასი 100 000-დან 150 000 ევრომდეა. მას ესაჭიროება თქვენი დახმარება და მხარდაჭერა.

ბანკის რეკვიზიტები:
კორ სტანდარტ ბანკი

ბანკის კოდი: KSBGG22

ანგარიშის ნომერი:
GE27KS0000360101317201 ლარი
მიმღები:
დიმიტრი ცინცაძე COBADEFF COMMERZBANK AG FRANKFURT AM MAIN GERMANY DEUTDEFF DEUTSCHE BANK AG FRANKFURT AM MAIN GERMANY KASBGGE22 JSC "KOR STANDARD BANK" GE27KS0000360101317201 FOR EUR ევროში
BENEFICIARY NAME:
DIMITRI TSINTSADZE BKTRUS33 DEUTSCHE BANK TRUST COMPANY AMERICA KSBGGE22 JSC "KOR STANDARD BANK" GE27KS0000360101317201 FOR USD დოლარში
BENEFICIARY NAME: DIMITRI TSINTSADZE



იკითხეთ თქვენი www.versia.ge
ვერსია
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net; dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com